ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე

III

თბილისი
2020

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის შრომების კრებულია. მასში ასახულია, აღმოსავლეთის ისტორიის, პოლიტიკის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი საკითხები.

რედაქტორი: პროფესორი ემზარ მაკარაძე
ტომის რედაქტორი: ასოც. პოროფესორი მანუჩარ ლორია

სარედაქციო საბჭო: პროფესორი გიორგი სანიკიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), პროფესორი ნანი გელოვანი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), პროფესორი სულხან კუპრაშვილი (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი). პროფესორი მარინე არაშიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), აკადემიკოსი შაჰინ მუსტაფაევი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აზერბაიჯანი), ასოცირებული პროფესორი ჰარუნ ჩიმქე (რ.თ.ერდოღანის უნივერსიტეტი, თურქეთი).

რეცენზენტები: პროფ. ოთარ გოგოლიშვილი;
ასოც. პროფ. ჯემალ კარალიძე

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისს.

© აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი
მისამართი: საქართველო, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი №46.
E-mail : emzar.makaradze@bsu.edu.ge
გამომცემლობა ,,დანი” 2018
ქ. თბილისი ა. წერეთლის 112
ტელ: 599 789 003
ISSN 2587–490X
ISBN 978-9941-9662-6-2

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

Faculty of Humanities

Department of Oriantal Studies

HERALD OF ORIANTAL STUDIES

III

Tbilisi - 2020

Herald of Oriantal Studies is the collection of papers of the department of Oriental Studies at the faculty of Humanities at Batumi Shota ProfessRustaveli State University. The papers are about the noteworthy issues of history, politics, archaeology, ethnology, introduction to linguistics and literary studies of the Eastern countries.

EDITOR: **Professor Emzar Makaradze**
VOLUME EDITOR: **Associate Professor Manuchar Loria**

EDITORIAL BOARD: Professor Giorgi Sanikidze (Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University), Professor Nani Gelovani (Institute of Oriental Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Professor Sulkhan Kuprashvili (Kutaisi Akaki Tsereteli State University). Professor Marine Aroshidze (Batumi Shota Rustaveli State University), Academic Shahin Mustafaevi (Azerbaijan National Academy of Sciences, Azerbaijan), Associate Professor Harun Chimke Recep Tayyip Erdogan University, Turkey).

REVIEWERS: **Professor Otar Gogolishvili,**
Associate Professor Jemal Karalidze.

© Department of Oriental Studies
Address: Rustaveli/Ninoshvili Str. 32/35, Batumi, Georgia, 6010, Batumi Shota Rustaveli State University, Department of Oriental Studies, Room 46
E-mail : emzar.makaradze@bsu.edu.ge
Publishing House ,,Dani" 2018
Tbilisi, A. Tsereteli Str. 112. Tel.: 599 789 003
ISSN 2587-490X
ISBN 978-9941-9662-6-2

ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

ემზარ მაკარაძე
პოლიტიკური დევნის საკითხები თანამედროვე თურქეთში -----9
Emzar Makaradze
Issues of political persecution in modern Turkey
მაია კაპანაძე, შორენა სიგუა
საერთო რელიგიური სიწმინდეები და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე----------19
Maia Kapanadze, Shorena Sigua
Common religious shrines and its influenceon regional security
ბუხუტი სიჭინავა
ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ----------28
Bukhuti Sitchinava
The Kurds in Iran
სიმონ გურეშიძე
აშშ-ტალიბანის სამშვიდობო შეთანხმება, წარმატებული ნაბიჯი თუ ახალი გამოწვევების დასაწყისი? ----------40
Simon Gureshidze
U.S.-Taliban peace deal, successful move or the beginning of the new challenges?
ბექა მაკარაძე
თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ პერიოდში----------57
Beka Makaradze
Relations between the Republic of Turkey and the United States during the Cold War
მაია მანჩხაშვილი
თურქეთის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა----------75
Maia Manchkhashvili
Doctrine of Turkish Foreign Policy

მადონა გოგიტიძე
სამხრეთ კავკასიის რეგიონული თანამშრომლობა ახლო აღმოსავ-ლეთის გეოპოლიტიკურ ჭრილში----------84
Madona Gogitidze
South Caucasus Regional Cooperation In the geopolitical context of the Middle East
ზაზა ბერიძე
რეჯეფ თაიფ ერდოღანის პოლიტიკური გზა----------92
Zaza Beridze
Recep Tayyip Erdogan's political way
ოთარ გოგოლიშვილი
საქართველოს ხსნა ევროპაშია ----------99
Otar Gogolishvili
Europe will rescue Georgia
დავით ეცადეიშვილი
საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი 1990-1991 წწ. ----------109
Davit Etsadeishvili
Some Issues of Georgia's Foreign Policy 1190-1991s

არქეოლოგია, ეთნოლოგია
ARCHEOLOGY, ETHNOLOGY

თამილა ლომთათიძე, მანუჩარ ლორია
ტრადიციულ ღირებულებათა ახალ რეალობასთან ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი პოსტტოტალიტარულ ბათუმში----------117
Tamila Lomtatidze, Manuchar Loria
Some aspects of traditional values integration into a new reality in post-totalitarian Batumi

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

ციალა ლაგვილავა
„სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ რეპრეზენტაციის ენობრივი საშუალებები (ქართულსა და თურქულ ენებში)----------128
Tsiala Lagvilava
Linguistic Means for Representation of „Death“ and „Life“ (In Georgian and Turkish Languages)
ლაშა ბოლქვაძე
ენა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ინსტრუმენტი დიპლომატიურ დისკურსში და მისი თარგმანის თავისებურებანი----------139
Lasha Bolkvadze
Language as an instrument of international relations in diplomatic discourse and the peculiarities of its translation

თარგმანი
TRANSLATION

აბდულჰაკ ჰამიდი (1851-1937), პოემა „საფლავი“. **თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ**----------145

რეცენზია
REVIEW

ემზარ მაკარაძე
რეცენზია - ჯემალ ბერიძის მონოგრაფიაზე - „საქართველო - თურქეთის ურთიერთობები 1992-2012 წლებში (სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ - ეკონომიკური ასპექტები), გამომცემლობა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2020----------151

მანუჩარ ლორია
რეცენზია - ბექა მაკარაძის მონოგრაფიაზე - „თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში“ (2000-2017 წწ.), გამომცემლობა „დანი“, თბილისი, 2019----------153
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი
რეცენზია - ემზარ მაკარაძის, ოთარ გოგოლიშვილის და დავით ანდღულაძის ნაშრომზე - „ლაო ჯონჯაუს მოღვაწეობა საქართველოში“ ინგლისურ და ჩინურ ენებზე. გამომცემლობა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,ბათუმი,2020----------155

იუბილე
JUBİLEE

ემზარ მაკარაძე - 50----------157

ემზარ მაკარაძე

პოლიტიკური დევნის საკითხები თანამედროვე თურქეთში

აბსტრაქტი

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში არშემდგარ სახელმწიფო გადატრიალებაში ცნობილ თურქ თეოლოგს - ფეთულაჰ გიულენსა - და მის მომხრეებს ადანაშაულებს.

სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თანამედროვე თურქეთში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პოლიტიკური დევნის.

2016 წლის აგვისტოში, გადატრიალების მცდელობიდან ერთ თვეში, თურქეთიდან თავშესაფრის მოთხოვნათა რიცხვი ევროკავშირში 45%-ით გაიზარდა. მოთხოვნების კუთხით, პირველ სამეულში მოხდა: გერმანია, საფრანგეთი და შვეიცარია. 2017 წელს ევროკავშირს თავშესაფრის მოთხოვნით თურქეთის 14, 640-მა მოქალაქემ მიმართა.

თურქეთში პოლიტიკური დევნის ობიექტად იქცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომლებიც თურქეთის ხელისუფლების მიერ იყვნენ შევიწროებულნი და ცდილობდნენ დაეტოვებინათ სამშობლო, ლეგალურად თუ არალეგალურად თავი შეეფარებინათ მეზობელი სახელმწიფოებისთვის, რათა შემდეგ უმოკლესი გზით მოხვედრილიყვნენ ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში.

ადამიანის უფლებების დარღვევისა და პოლიტიკური დევნის ობიექტად ქცეული თურქეთი, როგორც ჩანს, დიდი ხნით დაიხურავს ევროკავშირში შესასვლელ კარს, ხოლო საზოგადოების ის ნაწილი, რომლებიც პოლიტიკური დევნის ობიექტი გახდა, სერიოზული დანაკლისი იქნება თურქეთისათვის. ეს იმ საძირკველს აცლის საყრდენს, რაზეც დგას თურქეთის ევროპული პერსპექტივა. იმედს გამოვთქვამთ, რომ თურქეთი ევროპის სახე-

ლმწიფოების გვერდით დაიკავებს სათანადო ადგილს ცივილ-იზებულ სამყაროში.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დევნა; თანამედროვე თურქეთი; რეჯეფ თაიფ ერდოღანი; სახელმწიფო გადატრიალება.

შინაარსი

2016 წლის 15 ივლისის არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რესპუბლიკურ თურქეთში დაიწყო მძიმე და რთული პერიოდი. ხელისუფლებამ ქვეყანაში გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც დღემდე მოქმედებს. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რეჯეფ თაიფ ერდოღანი, გადატრიალებაში ცნობილ თურქ თეოლოგს - ფეთულაჰ გიულენს და მის მომხრეებს ადანაშაულებს.

სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თანამედროვე თურქეთში ადამიანის უფლებების დარღვევისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პოლიტიკური დევნისა და მასობრივი დაპატიმრებებისა. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ქვეყანა იმართება სპეციალური დეკრეტებით, რომელთაც კანონის ძალა აქვს. აღნიშნული დეკრეტების შესაბამისად, სახელმწიფომ, ეჭვის საფუძველზე, დახურა სხვადასხვა მედიასაშუალება (ტელევიზიები, ჟურნალ-გაზეთები და რადიოები), კომერციული ორგანიზაციები, მოხდა ქონების კონფისკაცია, სამსახურიდან გაათავისუფლეს ათიათასობით სახელმწიფო მოსამსახურე. მოსალოდნელია, რომ ე.წ. „წმენდები“ მომავალშიც გაგრძელდება.

პრეზდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რევოლუციის მცდელობის შემდეგ სიტყვა დადო, რომ თავისი მტრების ლიკვიდაციას მოახდენდა ქვეყანაში. ამ დაპირების შემდეგ მის მიერ წარმოებული პოლიტიკური დევნა და რეპრესიები თურქეთის საზღვრებსაც გასცდა.

სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის მთავარ ორგანიზატორად მიჩნეულ და ამერიკაში მცხოვრებ იმამთან კავშირის საბაბით 79 974 ათასზე მეტ მოქალაქეს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. პარალელურად მიმდინარეობს გიუ-

ლენის ავტორიტეტის შებღალვის მცდელობა, რასაც მთავრობის წევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და რამაც გლობალური მასშტაბები შეიძინა კიდეც. თურქეთი ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში ადანაშაულებს იმ პირებსაც კი, რომლებსაც განსხვავებული პოზიცია გააჩნია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ ფ. გიულენთან კავშირში ბრალდებული ათასობით თურქეთის მოქალაქე საზღვარგარეთ გაიქცა. ფ. გიულენსა და „ჰიზმეთს“ (რაც მსახურებას ნიშნავს), რომელსაც მილიონობით მიმდევარი ჰყავს, თურქეთსა და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, მათ არ აქვთ პოლიტიკური ამბიციები და არც ისეთი შეხედულებები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს. იმ პირობებში, როდესაც ისლამური სახელმწიფოების უმრავლესობაში მძვინვარებს ტერორიზმი და რადიკალიზმი, რომელსაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, „ჰიზმეთის“ მოძრაობა ცდილობს აღზარდოს თაობები, რომელთათვისაც უმთავრესი იქნება განათლება და დიალოგი, როგორც ცხოვრების ძირითადი პრინციპები [**მაკარაძე,2019:233**].

მეორეს მხრივ, მოძრაობის მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ ისინი არიან ღია საზოგადოება, რომელიც იცავს ლიბერალური ისლამის იდეოლოგიას. მათი სკოლები და კოლეჯები ბევრ ქვეყანაში წარმატებულად საქმიანობს. მიუხედევად ამისა, მათ ორგანიზაციას მაინც ფრთხილად ეპყრობიან. თურქეთი ცდილობს, რომ, ერთი მხრივ, დაარწმუნოს მხარეები, რათა დახურონ სკოლები და ეჭვმიტანილები გადასცენ თურქეთს, მეორეს მხრივ კი, გაართულოს მოძრაობა „ჰიზმეთთან“ დაკავშირებული პირების ცხოვრება უცხოეთში და ამისათვის ყველანაირ ბერკეტს იყენებს [**მაკარაძე,2016:123**].

2016 წლის 15 ივნისიდან თურქეთში სახელმწიფოს მიერ დაკავებული იქნა 140 452 ადამიანი, ხოლო ოფიციალურად დაპატიმრებული-79 974, რომელთა შორისაც არიან: განათლების სამინისტროს, პოლიციის, სამხედრო ძალების, ჯანმრთელობის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალი, პროკურ-

ორები, რელიგიის საქმეთა სამმართველოს, შემოსავლების სამსახურის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები.

გარდა ამისა, სამხედრო სკოლებიდან გარიცხეს 16 409 კადეტი. ლიცენზია შეუჩერეს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე 21 000 მასწავლებელს, 107 000-მდე საჯარო მოხელე გაათავისუფლეს სამსახურიდან[**netgazeti.ge/293713/20.07.2018**]. დაიხურა 189 მედია საშუალება, ხოლო დაპატიმრებული იქნა 319 ჟურნალისტი. მაუწყებლობა შეწყვიტა არაერთმა ცნობილმა ტელევიზიამ, რადიომ და გამომცემლობამ, დაიხურა 3 003 უნივერსიტეტი, სკოლა, საერთო საცხოვრებელი და ა.შ.

განათლების სისტემაში ჩატარებული „წმენდის“ შემდეგ, თურქეთის უნივერსიტეტებში კვლევითი საქმიანობა 28%-ით შემცირდა.

2016 წლის აგვისტოში, გადატრიალების მცდელობიდან ერთ თვეში, თავშესაფრის მოთხოვნათა რიცხვი EU-ში 45%-ით გაიზარდა. ამ მხრივ, პირველ სამეულში მოხდა: გერმანია, საფრანგეთი და შვეიცარია.

2017 წელს ევროკავშირს თავშესაფრის მოთხოვნით თურქეთის 14, 640-მა მოქალაქემ მიმართა [**netgazeti.293713/ 20.07.2018**].

თურქეთში პოლიტიკური დევნის ობიექტად იქცა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც ეხება თურქეთის მოქალაქეებს, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის, მთავრობის მხრიდან პოლიტიკური დევნის ობიექტი გახდნენ.

პოლიტიკური შევიწროებისა და დევნის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, ერთი რიგითი მასწავლებლის, თურქეთის მოქალაქე მუსტაფა ემრე ჩაბუქის მოღვაწეობაც, რომელიც 2002-2018 წლებში საქართველოში ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას. იყო ბათუმის შაჰინის სკოლა-ლიცეუმის მასწავლებელი, „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2017 წლის 24 მაისს, სამართალდამცავმა ორგანოებმა მუსტაფა ემრე ჩაბუქი, ფეთულაჰ გიულენის ორგა-

ნიზაციასთან კავშირის ბრალდების გამო, თურქეთის მთავრობის მოთხოვნით დააკავეს და მას საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდეს. თურქეთის ხელისუფლება მის გადაცემას მოითხოვდა, რათა გაესამართლებინათ თურქული კანონმდებლობით. დღეს მუსტაფა ემრე ჭაბუკი, ოჯახთან ერთად იმყოფება ევროპაში, კერძოდ, შვეიცარიაში.

თურქეთის ხელისუფლების მხრიდან, პოლიტიკური დევნის ობიექტი გახდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი (2009-2014 წწ.), პროფესორი, ილიას ჩილოღლუ, რომელმაც თურქულ-ქართულ საგანმანათლებლო საქმიანობაში განსაკუთრებულო როლი შეასრულა. 2019 წელს ილიას ჩილოღლუ იძულებული გახდა ოჯახთან ერთად ევროპაში, კერძოდ, შვეიცარიაში წასულიყო.

არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, თურქეთის ხელისუფლების ზეწოლის შემდეგ, სტამბოლში, ფათიჰის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი შერიფ ალი თექალანი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და ამერიკის შეერთებულ შტატებში წასულიყო.

პროფესორ შერიფ ალი თექალანს დღეს, ტეხასის უნივერსიტეტში რექტორის თანამდებობა უკავია.

თურქეთში, ბოღაზიჩის უნივერსიტეტის პროფესორი იბრაჰიმ ოზთურქი, რომელიც დღეს ამერიკაში ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. ერთ დროს იყო პრეზიდენტ რ. თ. ერდოღანის მრჩეველი ეკონომიკის სფეროში.

თურქეთის ხელისუფლებამ პოლიტიკური დევნა განახორციელა მსხვილ ბიზნესმენებზეც. ბიზნესმენი აქინ იფექი გახლდათ თურქეთში ოქროს საბადოების „კოზა ჰოლდინგის“ მეპატრონე. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ის იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და ინგლისში გადასულიყო. თურქეთის მთავრობამ მას მთელი ქონება არაკანონიერად ჩამოართვა.

თურქეთში მილიონიანი ტირაჟის მქონე გაზეთ „ზამანის“ გენერალური დირექტორი ექრემ დუმანლი გახდა ასევე პოლი-

ტიკური დევნის ობიექტი და იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა ქვეყანა და ევროპაში გადასულიყო.

პოლიტიკური დევნის ობიექტი გახდა ასევე ცნობილი სპორტსმენი, გალათასარაისა და თურქეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი, ჰაქან შუქური, რომელიც თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტი) წევრი იყო. ის ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს. რ. თ. ერდოღანის რეჟიმმა, მთელი მისი ქონება სახელმწიფო ხაზინას დაუქვემდებარა.

სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური დევნის მსხვერპლი გახდა თურქული წარმოშობის გერმანელი მწერალი დოჩან ახანლი, რომელიც თურქეთის ხელისუფლების მიერ გავრცელებული დაპატიმრების ორდერის საფუძველზე ესპანეთში იქნა დაკავებული. ის მადრიდის სასამართლომ საპატიმროდან გაათავისუფლა.

დოჩან ახანლიმ, თურქეთის საპატიმროებში ყოფნის შემდეგ დატოვა ქვეყანა და გერმანიაში მოიპოვა პოლიტიკური თავშესაფარი. ესპანეთში დაკავების შემდეგ გერმანიამ მოუწოდა მათ, არ გადაეცა თურქეთისთვის ახანლი, რომელიც თურქეთში ადამიანის უფლებების შესახებ კრიტიკულ სტატიებს წერდა. მწერალთა გაერთიანება „პენი“ თვლის, რომ ახანლის დევნა თურქეთში პოლიტიკურადაა მოტივირებული, რადგან ის მუშაობს ოსმალეთის იმპერიაში პირველი მსოფლიო ომის დროს სომეხთა მასობრივი მსხვერპლის, გენოციდის საკითხებზე, რასაც თურქეთის ხელისუფლება არ ეთანხმება [radiotavisu pleba.ge/.20.08. 2017].

2016 წელს თურქეთში არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ თურქეთის ხელისუფლების მიერ შევიწროებული ადამიანები ცდილობენ დატოვონ სამშობლო და ლეგალურად თუ არალეგალურად შეაფარონ თავი მეზობელ სახელმწიფოებს, რათა შემდეგ უმოკლესი გზით მოხვდნენ ევროპაში. ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ მაგალითს, თურქეთის მოქალაქე ჯევრიე ოკუიუჯუ ყალბი პასპორტით სომხეთის საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს. სომეხი უფლებადამცველების თქმით, იგი სამშობლოში პოლიტიკურ დევნას გამოექცა, თუმცა სომ-

ხეთის ხელისუფლება თურქეთისთვის მის გადაცემას აპირებდა. თურქეთში დაბრუნება კი მისი თავისუფლებისა და ხელშეუ-ხებლობისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, რადგანაც სამშობლ-ოში მისი დაპატიმრების გადაწყვეტილება არის გამოტანილი, დაბრუნებისას ის პატიმრობაში აღმოჩნდება და, შესაძლოა, აწა-მონ კიდეც [jam-news.net/ge.25.07.2018].

ანკარამ დღემდე არაერთი მოქალაქის პასპორტი გააუქმა. მათ შორის აღსანიშნავია ამერიკაში NBA-ს კალათბურთელი ენეს კან-თერის სამოგზაურო დოკუმენტაციის გაუქმების შედეგად რუმი-ნეთის აეროპორტში დაკავება.

კანთერი ღიად უჭერს მხარს ფეთჰულაჰ გიულენს. თურ-ქეთის მთავრობა ივნისში 130 ეჭვმიტანილს დაემუქრა მოქალა-ქეობის ჩამორთმევითა და უკან არდაბრუნების შემთხვევაში უსამშობლოდ დატოვებით.

ევროპაში არაერთი მასმედიის ორგანოს ინფორმაციით თურ-ქეთის საელჩოებში მისულ მოქალაქეებს ართმევდნენ პასპორ-ტებს. თურქეთის მთავრობა ეჭვმიტანილი „გიულენისტების“ დეპორტირებას დღემდე იურიდიული გზებით ცდილობს. დღე-მდე არც ამერიკის და არც ევროპის მხრიდან არ მომხდარა ეჭვმი-ტანილი პირების გადაცემა თურქეთისთვის[politico.eu/].

თურქეთში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო თავისუფლებაღკვეთილ ადამიანებს საპატიმროებში არაად-ამიანურად ეპყრობიან: შეაურაცხყოფას აყენებენ, სცემენ, აწამ-ებენ, ნამუსს ხდიან, უგზოუკვლოდ იკარგებიან და ამიტომ ასეთ სიტუაციაში თურქეთის მოქალაქეები, რომლებიც პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ, ანკარას არ უნდა გადასცენ.

დასკვნა

2016 წლიდან თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდო-ღანის მთავრობამ ყველა განსხვავებული აზრის მქონე თურქ-ეთის მოქალაქე „დამნაშავე რეჟიმად“ გამოაცხადა. ასეთი პოზი-ციის დაფიქსირება კი აუფასურებს ყველა იმ მიღწევას, რაც ხელ-ისუფლებამ განახორციელა 2002 წლიდან დღემდე. სწორედ ამ

პერიოდში, თურქეთი, სწრაფად განვითარებად ქვეყნად ჩამოყალიბდა, რაც თურქი ხალხის მონაპოვარია და მათი ელიტარული ნაწილის „დამნაშავე რეჟიმად“ გამოცხადება კი, დიდი ზიანის მომტანი იქნება თურქეთისთვის.

თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური დევნა მართლმსაჯულების ისედაც მყიფე სისტემისთვის „ხელში ცხელი კარტოფილის შეჩეჩებას“ ჰგავს. დავანებოთ თავი რ.თ.ერდოღანის მთავრობის მხრიდან სასამართლოზე ზეწოლას. ესეც რომ არ იყოს, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ ასეთ მგრძნობიარე საქმეებზე, როცა საზოგადოების დიდ ნაწილს არაობიექტურობის და მიკერძოებულობის განცდა რჩება. ასე, თურქეთში დამოუკიდებელი სასამრთლოს ჩანასახიც კი ისპობა. თანამედრვე თურქეთში განსხვავებულ შეხედულებებზე პოლიტიკური დევნა არახალი თემაა. დემოკრატიული ფასეულობა და ღირებულება ჩიხშია შესული და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, ვინც ვერ შეეგუა აღნიშნულ ვითარებას, უცხოეთს შეაფარა თავი, ხოლო ის ნაწილი, რომლებმაც სამშობლო არ დატოვეს გაჩუმებულია და ელოდება ცვლილებას. ეს კი ქვეყნის დემოკრატიული და პოლიტიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია.

თურქეთი ნატოს წევრი და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოა, რომლებიც შეშფოთებული არიან თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო.

ადამიანის უფლებების დარღვევისა და პოლიტიკური დევნის ობიექტად ქცეული თურქეთი, დიდი ხნით დაიხურავს ევროკავშირში შესასვლელ კარს, ხოლო საზოგადოების ის ნაღები ნაწილი, რომლებიც პოლიტიკური დევნის ობიექტი გახდა დიდი დანაკლისი იქნება თურქეთისათვის. იმ საძირკველს აცლის საყრდენს, რაზეც დგას თურქეთის ევროპული პერსპექტივა. მჯერა, რომ დადგება დრო, როდესაც ევროპის სახელმწიფოების გვერდით თურქეთი დაიკავებს სათანადო ადგილს ცივილიზირებულ სამყაროში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკარაძე ე., თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სალექ-ციო ჩანაწერები), თბილისი, 2019;
2. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლე-ბში, თბილისი, 2016;
3. დევნა რიცხვებში - თურქეთის ორი წელი გადატრიალების მცდელობიდან, https:// netgazeti.ge/news/293713/ 20.07.2018;
4. თურქეთის მიერ ძებნილი გერმანელი ავტორი ესპანეთის სასამართლომ პირობით გაათავისუფლა, https://www. radiot avisupleba.ge/a/28686878.html. 20.08.2017;
5. თურქეთის მოქალაქე ქურთი დისიდენტი თავშესაფარს სომ-ხეთში ითხოვს, მაგრამ ხელისუფლება უარზეა, https://jam-news.net/ge.25.07.2018;
6. Long arm of Turkey's anti-Gülenist purge, http://www.politico. eu/article/long-arm-of-turkeys-anti-gulenist-purge/ amp/.

Emzar Makaradze

Issues of political persecution in modern Turkey

Abstract

President of the Turkish Republic Recep Tayyip Erdogan accuses the renowned Turkish theologian Fethullah Gulen and his supporters of organizing the failed coup in Turkey on July 15, 2016. This has become one of the main reasons for massive human rights violations and political persecution of certain segments of the population in modern Turkey.

In August 2016, one month after the attempted coup d'état, the number of asylum applications from Turkey to the EU increased by 45%. Among the countries that have granted asylum to political refugees, the top three are Germany, France and Switzerland. 14,640 Turkish citizens applied for asylum in the European Union in 2017.

The target of political persecution in Turkey was certain sections of society that tried to leave their homeland legally or illegally, in order to take refuge in neighboring countries and get to Europe and the rest of the world by the shortest route.

It seems that “doors” to the EU are closing for a long time to Turkey, and the part of society that has become the target of political persecution, will be a serious loss for Turkey, This factor destroys the foundation on which Turkey's European perspective stands. I believe that the time will come when Turkey will take its rightful place in the civilized world along with European states.

მაია კაპანაძე, შორენა სიგუა

საერთო რელიგიური სიწმინდეები და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე

აბსტრაქტი

ებრაელები და არაბები საერთო სემიტური წარმომავლობის ხალხია. აბრაამი კი - მათი საერთო წინაპარია. აქედან გამომდინარე, მათ გააჩნიათ საერთო სიწმინდეები, რომელიც მათ შორის დავის უმთავრესი საგანია უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში. კონფლიქტის მოგავრება ამ ნიადაგზე ვერ ხერხდება, როგორც ებრაელები, ისე არაბები საერთო რელიგიურ სიწმინდეებზე თავიანთი ექსკლუზიური უფლებების აღიარებას ითხოვენ. ამ კონფლიქტში ჩართულია რეგიონს გარეთა ძალებიც, რაც პრობლემაც ახანგრძლივებს და უარყოფითად აისახება რეგიონულ უსაფრთხოებაზე. სხვა საერთო სიწმინდეებთან ერთად სერიოზულ დავას იერუსალიმი წარმოადგენს, რომელიც თავის დედაქალად მაიჩნია როგორც ისრაელს, ისე პალესტინას. აქვე აღსანიშნავია რომ, იერუსალიმი წმინდა ქალაქია როგორც იუდეველების, ისე მუსლიმებისათვისაც.

ბოლო პერიოდში, იერუსალიმის შესახებ აშშ-ს პოზიციამ სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენა ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების საკითხი. აშშ-სგან იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად ცნობამ, არა მარტო პალესტინელების, არამედ მთლიანად მუსლიმური სამყაროს შეშფოთება გამოიწვია, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ქალაქი წმინდაა ორი ამ რელიგიის აღმსარებლისთვის. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ამ ქალაქში არის საერთო რელიგიური - იუდეური და ისლამური სიწმინდეებიც.

საკვანძო სიტყვები: რეგიონი, უსაფრთხოება, რელიგია, ისლამი, იუდაიზმი.

შინაარსი

სახელმწიფო, მისი მართვა, პოლიტიკა და რელიგია, თვისობრივად ეს სრულიად განსხვავებული ცნებებებია, მაგრამ ხშირად უხილავად და შეიძლება ითქვას, მჭიდროდ და ხილულადაც დაკავშირებულია კიდეც ერთმანეთთან. მათი ჰარმონიული შერწყმა, კლერიკალური, თეოლოგიური თუ პოლიტიკური საზოგადეობის მშვიდი თანაცხოვრების აბსოლუტური გარანტია. თუმცა, მცირე არათანხვედრაც კი პოლიტიკურ კრიზისს და ქაოსს წარმოშობს, რაც გარკვეული რეგიონს, ამ შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ უსაფთხოებას მნიშვლევნა პრობლემს უქმნის.

საუკუნეების მანძილზე, რელიგიას მშვიდობისმყოფელის როლი ეკისრებოდა და ხანგრძლივი ომების დაზავება და შეწყვეტაც მისი პრეროგატივა იყო. თუმცა, ამავდროს რელიგიური საკითხებით გამოწვეული არაერთი კონფლიქტი და ომი ახსოვს დღემდე კაცობრიობას.

რელიგიასა და წმინდა ადგილებს, დასაბამიდან ძალზედ დიდი მისტიური გავლენა ჰქონდა როგორც სეკულარულ, ისე სულიერ სამყაროში. რელიგიას ასევე საკრალურ წესებთან და რიტუალებთან ერთად, პოლიტიკურად დომინანტური როლი გააჩნდა და დღემდე გაჩნია სახლმწიფოს შექმნასა და მის ჩამოყალიბებაში, მისი გავლენა წარმოუდგენლად დიდი და მრავალწახნაგოვანია. წმინდა ადგილების დაუფლების მიზეზით, არაერთი ომი თუ დაუსრულებელი კონფლიქტი გაჩაღდა და დიდი ხნის განმავლობაში მისი მოგვარება შეუძლებელი ხდებოდა.

წმინდა ადგილების როლი

აღსანიშნავია რომ წმინდა ადგილები და მისით გამოწვეული პრობლემები განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობენახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში და სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონულ უასფრთხოებას. ამ რეგიონში პოლიტიკამ საკუთარ იარაღად გამოიყენა საერთო რელიგიური (მუსლიმური და იუდეური) წმინდა ადგილები, რაც ბუნებრივია თავისებურად ზემოქმედებს პოლიტიკურ თუ გეოგრაფიულ სივრცეზე.

იერუსალიმი - წმინდაა და საკრალურია მსოფლიოს ისეთი სამი ძირითადი რელიგიისათვის როგორიცაა - იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. აღნიშნულ ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ იერუსალიმის სიწმინდეზე, როგორც იუდეველების, ისე მუსლიმებისთვის. სწორედ ამ წმინდა ადგილის მნიშვნელოვნობა და წარმომავლობა იწვევს ებრალებსა და არაბებს (პალესტინელებს) დაუსრულებელ უთხანხმოებას, რომელიც უკვე გრძელდება რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. ამ ქალაქში არსებული საკრალური ადგილების ფლობის სურვილმა, დღემდე მოუგვარებელ კონფლიქტამდე მიიყვანა ებრაელები და პალესტინელი არაბები, რაც მთლიანად რეგიონზე და მის უსაფრთხოებაზე აისახა საკმაოდ ნეგატიურად. ეს პრობლემა ასევე გასცდა რეგიონის ფარგლებსაც, რადგანაც მასში ხშირად ერევიან რეგიონს გარე ძალები და ცდილობენ აღნიშნულ პრობლემაში ჩარევა გამოიყენონთავიანთი ინტერსებისათვის, რაც რეგიონში მშვიდობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

იერუსალიმის როლი

ებრაელთათვის „აღთქმულ მიწაზე“ დაბრუნება მათი რელიგიის წიაღშივე იშვა, რის აღსრულებისკენაც მიილტვიან საუკეების მანძილზე, სწორედ ის რელიგიური მოტივია, რომელსაც საფუძვლად პოლიტიკური სარჩულიც თან ახლავს. მსოფლიოს ყველა კუთხეში გაფანტულ ებრაელთათვის გამაერთიანებელი რგოლი მათი რელიგია და ღვთის რჩეულ ერთათვის განკთუვნილ მათ წმინდა ადგილში - იერუსალიმში დაბრუნების სურვილი იყო.

ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ, იერუსალიმის დედაქალაქობაზე პრეტენზიას როგორც ისრაელი, ისე პალესტინელები თანაბრად აცხადებდნენ; ამის მიზეზი კი - იუდეველებსა (ებრაელებს) და მუსლიმებს (ამ შემხვევაში ხაზს ვუსმავთ პალესტინელ არაბებს) შორის იერუსალიმში არსებული ერთი და იგივე წმ. ადგილებია, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს არის მიზეზი მათ შორის მუდმივი შეუთანხმებლობისა, რის გამოც ეს დავა დღემდე გადაუჭრელი რჩება [**3.104-114**].

იერუსალიმი - მსოფლიო სამი რელიგიის წმინდა ქალაქი _ ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული კონფლიქტის ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. როგორც უკვე აღვნიშ-ნეთ, ორივე მათგანი მას თავის დედაქალაქად მიიჩნევს.

იერუსალიმი წმინდაა არა მარტო ებრაელებისა და კონკრეტ-ულად პალესტინელებისათვის, არამედ მთლიანად არაბებისა-თვის, რადგანაც ისინი საერთო - აბრაამისტული წარმომავლობის ხალხია. ამავ დროს იერუსალიმიწმინდაა ყველა მუსლიმისათ-ვისაც. აქედან გამომდინარე პრობლემა ბევრად სერიოზული და სიღრმისეულია, რაც მთლიანად რეგიონულ უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას ახდენს.

სწორედ წმინდა და საკრალური ადგილებია პალესტინელე-ბსა და ებრაელებს შორის დღემდე მოუგვარებელი უთანხმოების და სისხლისმღვრელი კონფლიქტის ძირითადი მიზეზი, რაც კონფლიქტის ჭრილობას უფრო და უფრო აღრმავებს და მოშუ-შების ადგილს არ ტოვებს.

იუდეველებისთვის წმინდაა მთელი ისრაელი, რომელიც თორას მიხედვით, მათივე ღმერთმა აღუთქვა. განსაკუთრებული სიწმინდეა მათთვის ტაძრის მთა (ჰარ ჰა-ბაითი), სადაც ისინი არ/ვერ ადიან და მის დასავლეთ კედელს (კოტელ ჰა-მაარავი), სადაც ისინი ლოცულობენ. ასევე ეს ადგილი წმინდაა მუსლ-იმებისთვისაც.

საერთო წმ. ადგილები

ქალაქ ჰებრონში მდებარე პატრიარქთა სამარე (აბრაჰამის, იცხაკის, იაკობის საფლავებს მახპელას მღვიმეში,) ებრაელებისა და მუსლიმებისათვის თანაბარი სიწმინდის მქონე ადგილია, რადგან იქ ორივე მათგანისთვის საერთო მამამთავარი იბრაჰიმი იგივე აბრაჰამია დაკრძალული, სადაც მე-7 საუკუნეში აშენდა მიზგითი ალ-ჰარამ ალ ჰალილი.

მუსლიმებისათვის მექასა და მედინას შემდეგ, მესამე- წმი-ნდა ქალაქია იერუსალიმი-იგივე ალ-კუდსი, სადაც მდებარეობს [ბორცვი] ალ-ჰარამ აშ-შარიფზე მდებარე ალ-აკსას მიზგითი („წმინდა ნაკრძალი“), რომელსაც ებრაელები ზუსტად იმავე

ადგილს ჰარ ჰა-ბაითს უწოდებენ და ალ-კუბბათ ას-სახრა (კლ-დის გუმბათი) [**2.230-235**].

თუკი *„წმინდა ადგილზე პრეტენზია ორ ან მეტ რელიგიას გააჩნდეს, მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია იქამდე, ვიდრე ამ წმინდა ადგილზე ერთ-ერთი რელიგიის განსაკუთრე-ბულ უფლებას სხვა რელიგიებიც ცნობენ, თვითონ კი ეგუებიან იმ აზრს, რომ მათაც გააჩნიათ იქ ლოცვის საშუალება და უფ-ლება. თუმცა, ამ ექსკლუზიური უფლების შეცვლის მცდელობა, მძაფრ პროტესტს და ხანდახან სისხლიან დაპირისპირებასაც კი იწვევს“*[**4.500-504**].

იერუსალიმი საკულტო ცენტრი იყო ათასწლეულით ადრე, ვიდრე მას ებრაელთა მეფე დავითი იებუსელებისაგან დაიპყრ-ობდა და იუდეველების რელიგიურ ცენტრად აქცევდა მას.

მუსლიმთა რწმენის თანახმად, მუჰამედმა ფრთოსანი არსე-ბის, ალ-ბურაკის მეშვეობით სასწაულებრივად იმოგზაურა ერთ ღამეში მექადან მედინაში, მედინადან იერუსალიმში, საიდანაც მოახდინა ასვლა ზეცაში (ამ ასვლას ეწოდება მირაჯი). მუჰამე-დის ამ მოგზაურობით, ისლამმა თავი დაუკავშირა იერუსალიმის იმ განსაკუთრებულ სიწმინდეს, რომელიც უკვე მყარად იყო დამკვიდრებული იუდაიზმში.

ორი რელიგიისათვის წმინდა ადგილის გეოგრაფიული თან-ხვედრა, რასაკვირველია იდეოლოგიურ დაპირისპირებას ქმნის, რაც მისი გადაჭრის გზებს საკმაოდ ართულებს. მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ამ ტერიტორიულ და რელიგიურ კონფლიქტში ჩართული გარე ძალები საერთო რელიგიურ სიწმინდეებს პალე-სტინელებსა და ებრაელებს შორის უთანხმოების გასამწვავებ-ლად იყენებენ [**2.235-237**].

ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ აშშ-ს ამჟამი-ნდელმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, 2017 წელს იერუსა-ლიმი ისრაელის დედაქალად აღიარა.

„იერუსალიმი იყო და უნდა დარჩეს ის ადგილი, სადაც ებრა-ელები გოდების კედელთან, მუსლიმები კი - „ალ-აქსას“ მეჩეთ-თან, ხოლო ქრისტიანები ქრისტეს საფლავის ტაძარში ლოცუ-ლობენ. მაგრამ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქია. ეს ფაქტია

და ის უნდა ვაღიაროთ, რასაც მე ვაკეთებ“-განაცხადა ტრამპმა [**www.nytimes.com/ 2017/12/06/**].

იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადება, კონფ-ლიქტს ისრაელსა და პალესტინას შორის უფრო ღრმა ფაზაში შეიყვანა და მოექცა ისეთ ჩიხში, რომლისგანაც გამოსვლა უკვე ძალიან რთულია.

იერუსალიმის გარდა, ასევე მოუგვარებელი პრობლემის ძირი და სათავეც ის გახლავთ რომ ებრაელებს და პალესტინელებს - საერთო მამამთავარი აბრაამი ჰყავდათ და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იერუსალიმის გარდა მათ საერთო რელიგიური სიწმინდეებიც გააჩნია. სწორედ გარდა ამ ქალაქისა საერთო სიწმინდეების ფლობის სურვილი უფრო და უფრო ამწვავებს მათ შორის დღემდე არსებულ უთანხმოებას, რაც სისხლისმღვრელ კონფლიქტშია გადაზრილი და აქამდე ერთ-ერთი ცხელ კერად რჩება აგერ უკვე ათეული წლებია თანამედროვე მსოფლიო რუკ-აზე და სერიოზული საფრთხეს უქმნის რეგიონსი მშვიდოის დამყარებას.

პატრიარქების ეპოქაში, სანამ ებრაელები იერუსალიმს დაეუ-ფლებოდნენ, მათთვის საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა შილოს, ბეთ-ელს, შხემს (არაბები ამ უკანასკნელს ნაბლუსს უწოდებენ, რაც ბერძნული ნეაპოლისის, ანუ ახალი ქალაქის არაბული სახე-ლია). როდესაც ებრაულმა სახელმწიფომ შეწყვეტა არსებობა, იერუსალიმმა თავისი სიმბოლური როლი მაინც შეინარჩუნა [**2.174-183**].

მორწმუნე ებრაელებს სჯერათ, რომ მესამე ტაძარს აღმართავს მაშიახი (მესია, ღვთის მიერ მოვლენილი მხსნელი), მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მზად არიან თვითონვე ააშენონ მესამე ტაძარი იმ ადგილზე, სადაც მათი ვარაუდით იდგა წინა ორი. ეს გულისხმობს იმავე ადგილზე მდგარი ისლამური სიწმინდის - კლდის გუმბათის - შემუსვრას. თუმცა საღად მოაზროვნე ისრაე-ლელ პოლიტიკოსებს კარგად ესმით, რომ ასეთი რამის მცდე-ლობაც კი - უდიდესს საერთაშორისო პრობლემას შექმნის.

ორთოდოქსული იუდაიზმი უკრძალავს ებრაელს ჰარ-ჰა ბაითზე ასლვას, რადგან მას შეუძლია შემთხვევით დაადგას ფეხი

და შებღალოს ის ადგილი, სადაც იმყოფებოდა ტაძრის წმინდათა წმინდა. თუმცა, ორი ათასწლეულია რაც ტაძარი აღარ არსებობს და „წმინდათა წმიდის“ ზუსტი მდებარეობა უცნობია.

1947 წლიდან გაეროს გადაწყვეტილებით იერუსალიმი გამოცხადდა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც მხოლოდ გაეროს ემორჩილებოდა. 1948-1949 წლებში არაბ-ისრაელთა ომის დროს, იერუსალიმი ორად გაიყო: მისი აღმოსავლეთი ნაწილი იორდანიას გადაეცა, ხოლო დასავლეთი -ისრაელს.

1950 წელს ისრაელის მთავრობამ გაეროს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, იერუსალიმი, ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა და ამის შემდეგ აღმოსავლეთ ნაწილიც შეიერთა. ამის გამო, დღემდე ბრძოლაა ისრაელსა და პალესტინას შორის.

ადგილის სიწმინდის ფორმირება ყოველთვის ერთნაირად არ ხდება. იერუსალიმის სიწმინდისადმი მსოფლიოს ორი მონოთეისიტური და ამავ დროს -აბრაამისტული რელიგიის (ჩვენი კვლევის ძირითადი პრონციპიებიდანმ გამომდინარე ქრისტიანობაზე ყუარდღებას არ ვამახვილებთ) მიდგომის შედარება ასეთ სურათს გვაძლევს:

მუსლიმებსა და იუდეველებს, ერთსა და იმავე რელიგიურ სიწმინდეებზე აქვთ პრეტენზია, რაც ახანგრძლოვებს მათ შორის მორიგების მცდელობებს.

ჩვენი ვარაუდით, სხვა ძალთა უხეშად ჩარევა და საერთო წმინდა ადგილების ფლობის სურვილი, კიდევ უფრო ზრდის ამკონფლიქტის ხანგრძლივობას და პრობლემას უქმნის რეგიონის უსაფრტხოებას.

აშშ-ს მიერ 2017-2018 წლებში გადადგმულმა ნაბიჯმა - იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებამ მკვეთრად უარყოფითი ასახვა ჰპოვა არამარტოპალესტინელებსა და ებრაელებზე, არამედ მთლიანად ისლამური სამყაროზე.

დასკვნა

თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო პერიოდში (2020 სექტემბერი-ოქტომბერი) იმავე აშშ-ს ჩარევით მოხდა ისრაელსა და

რამდენიმე არაბულ ქვეყანას: ბაჰრეინს, გაერთიანებულ არაბულ საემიროსა (გას-ი) და სუდანს შორის ურთიერთობის დათბობა-ნორმალიზება. ამ ქვეყნების „ერთგვარ დაახლოებაში“ იერუსლა-მის და სხვა საერთო რელიგიური სიწმინდეების ფლობისპრო-ბლემას თითქოსდა თავი არ უჩენია. ამ სამი არაბული ქვეყნიდან საერთო სიწმინდეებზე ყურადღება ისრაელზე არცერთ მათგანს არ გაუმახვლიებია. ფაქტია, რომ საერთო სიწმინდეებისათვის დავა მხოლოდ პალესტინელ არაბებსა და ებრაელებს შორის არ ხდება, ისინი წმინდაა სხვა არაბებისთვისაც. თუმცა, ვფიქრობთ, რომ პალესტინელებსა და ებრაელებს შორის დავა საერთო რელიგიურსიწმინდეებს სცდება და ტერიოტორიულ პრობლემე-ბსაც მოიცავს, რაც თავისთავდ არ არსებობს დანარენს არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბათიაშვილი გ., „დავით ბენ გურიონი“, თბილისი, 2018;
2. გაჩეჩილაძე რ., „ახლო აღმოსავლეთი“. თბილისი, 2019;
3. Дайан М., „Жить с Библией“, Тель-Авив, 1989;
4. Goldschmidt, 2006: 278; Mayir, 1982;
5. Evron, B. (1995). Jewish state or Israeli Nation? Bloominghton and Indianapolis: Indiana University Press.P. 187
6. Gonen Rivka, „Biblical Holly Places“ , Italy,2000. „Contested holiness: Jewish, Muslim, and Christian perspectives on the Temple Mount in Jerusalem“,Jerusalem, 2017;
7. Mc Dowall , 1975: 7; Mansfield, 1992: P. 173; https://mili tarium.org/israeli-vs-palestina/;https://www.nytimes.com/2017 /12/06/world/middleeast/trump-jerusalem-israel-capital. html.

Maia Kapanadze, Shorena Sigua

Common religious shrines and its influenceon regional security

Abstract

Jews and Arabs are people of common Semitic descent. And Abraham is their common ancestor. Therefore, they have common sanctities, which have been a major point of contention between them for several years. Conflict cannot be resolved on this ground, both Jews and Arabs are demanding recognition of their exclusive rights to common religious shrines. External forces in the region are also involved in this conflict, which prolongs the problem and has a negative impact on regional security. There is a serious dispute over Jerusalem besides other common sanctuaries that recognize both Israel and Palestine as its capital. It should also be noted that Jerusalem is a holy city for both Jews and Muslims.

Recently, the US position on Jerusalem has posed a serious problem for the security of the Middle East. The recognition of Jerusalem as the capital of Israel by the United States has caused concern not only to the Palestinians, but to the Muslim world as a whole, because, as we have already mentioned, this city is sacred to both of these religions. Added to this is the fact that the city has common religious - Jewish and Islamic shrines.

Keywords: region, security, religion, Islam, Judaism.

ბუხუტი სიჭინავა

ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში

აბსტრაქტი

ქურთების საკითხი ერთ-ერთ რთულ და გადაუჭრელ პრობლემად ითვლება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ ქურთები რეგიონში მრავალი საუკუნეა ცხოვრობენ, მათ დღემდე არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფო. სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მსოფლიოში 35-45 მილიონამდე ქურთია. რეგიონში ისინი წარმოდგენილნი არიან ოთხ სახელმწიფოში, ესენია: თურქეთი, ერაყი, სირია და ირანი.

ირანში მცხოვრები ქურთები, რომლებიც სხვა დანარჩენი ქურთების მსგავსად ავტონომიის მოთხოვნით გამოდიან, ხშირად აწყდებიან წინააღმდეგობებს ირანის ხელისუფლების მხრიდან, რის გამოც მთავრობამ ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული პარტიები და დაჯგუფებები საერთოდ აკრძალა ქვეყანაში. ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, გასულ საუკუნეში, ირანში რამდენიმე ქურთული პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა. ისინი ავტონომიის მოპოვების გარდა ირანის დემოკრატიულ, სეკულარულ და ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას უჭერენ მხარს.

ქურთულ პოლიტიკურ პარტიებსა და დაჯგუფებებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, რადგანაც ქურთული იდენტობის შენარჩუნება მათი აქტიური პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობის შედეგია. ირანელი ქურთების მიერ შექმნილი პარტიები თურქეთის, სირიისა და ერაყის ქურთულ დაჯგუფებებთან ერთად აქტიურად იბრძვიან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები: ახლო აღმოსავლეთი, ქურთები, ირანელი ქურთები, ქურთისტანი, ქურთული პარტიები.

შინაარსი

ქურთების წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო საზოგადოებას ერთიანი პოზიცია არ გააჩნია. ერთ-ერთი

ვარაუდით მიჩნეულია, რომ ქურთები ირანული მოდგმის ხალ-ხია და მათი ენა ინდო-ევროპული ენების ოჯახს განეკუთვნება. თუმცა, ქურთულ წყაროებზე დაყრდნობით, ისინი მიდიელების შთამომავლებად მიიჩნევენ თავს, რომლებიც ჩამოსახლდნენ ჩრდილოეთიდან, სავარაუდოდ კავკასიიდან, და დასახლდნენ ქურთისტანის ტერიტორიაზე მეორე და პირველი ათასწლეულ-ლების მიჯნაზე.

ტერმინი ქურთისტანი მხოლოდ გეოგრაფიულ სახელწო-დებას აღნიშნავს, რომელსაც არავითარი საერთაშორისო სამარ-თლებრივი უფლება გააჩნია. სავარაუდოდ, ქურთისტანის ტერი-ტორია უნდა მოიცავდეს დაახლოებით 409,650 კვ.კმ-ს[1][**5.26**].

არსებული მონაცემების მიხედვით ქურთების უდიდესი ნაწილი დღეს ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოში (თურქ-ეთი, ერაყი, სირია და ირანი)ცხოვრობს. ქურთების ზუსტი რაო-დენობის დადგენა გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია და მხოლოდ მიახლოებით შეგვიძლია მათი რაოდენობის დასა-ხელება. ეს უზუსტობა, ერთი მხრივ, გამოწვეულია თურქეთის, ერაყის, სირიისა და ირანის ხელისუფლებების მიერ ქურთული ნაციონალიზმისადმი ნეგატიური დამოკიდებულებით, ხოლო მეორე მხრივ, საკუთრივ ქურთული ნაციონალიზმით. შედეგად ვღებულობთ ბუნდოვან რიცხვებს ქურთების რაოდენობის შესა-ხებ. ბრიტანული ენციკლოპედიის, შვედეთში გამოცემული ქურ-თული ჟურნალისა და დევიდ მაკდოუელის წიგნის „ქურთების“ მიხედვით, ქურთების რაოდენობა გასული საუკუნის 70-იან წლებში 6,9 მილონიდან 16,5 მილიონამდე მერყეობდა. The World Factbook-ის 2015 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნო-ბით მსოფლიოში 30-40 მილიონამდე ქურთია[**5.27**]. პარიზის ქურთული ინსტიტუტის მიხედვით ქურთების რაოდენობა სავა-რაუდოდ 36-45 მილიონია[**www.institutkurde.org**].

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ქურთ-ების ყველაზე დიდი ნაწილი თურქეთში ცხოვრობს და მათი

---

[1]ქურთისტანის მთლიანი ტერიტორიის ყველაზე დიდი ნაწილი, 194,400 კმ^2, თურქეთის საზღვრებშია, ირანში - 124,950 კმ^2, ერაყში - 72,000 კმ^2 და სირიაში - 18,000 კმ^2.

რაოდენობა 15-20 მილიონია. ირანში დაახლოებით 8-12 მილიონი ქურთია. ერაყში - 8 - 8.5 მლნ, ხოლო რაც შეეხება სირიას - 3-3.6 მილიონი ქურთი ცხოვრობს[**www.institutkurde.org**]. ისინი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გარდა, ასევე ცხოვრობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში. რეგიონს გარეთ ყველაზე მეტი ქურთი გერმანიაშია და მათი რაოდენობა დაახლოებით 1.5 მილიონია. საქართველოში მცხოვრები ქურთების რაოდენობა10 ათასს აღემატება.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ირანში 8-12 მილიონი ქურთი ცხოვრობს, რაც ირანის მოსახლეობის (84 მლნ.) დაახლოებით 13-17 %-ია[**www.institutkurde.org**]. ირანში ქურთები ძირითადად სამ პროვინციაში არიან წარმოდგენილნი, თუმცა ირანის მთავრობა ოფიციალურად მხოლოდ ცენტრალურ ნაწილს მოიხსენიებს, როგორც ქურთისტანად. დანარჩენი ორი პროვინცია, ქერმანშაჰი და დასავლეთ აზერბაიჯანი, დასახლებულია აგრეთვე ქურთებით და იქ მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენენ. ქურთისტანის პროვინციაში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქურთია. დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინცია ქურთების გარდა ეთნიკური აზერბაიჯანელებითაა დასახლებული, ხოლო რაც შეეხება ქერმანშაჰის პროვინციას, იქ ქურთებთან ერთად ლურებიც არიან წარმოდგენილნი.

ირანში მცხოვრები ქურთების რაოდენობის დაზუსტება ცალკეული პროვინციების მიხედვით სირთულებთანაა დაკავშირებული. მსგავსი მოცემულობაა ერაყის, სირიისა და თურქეთის შემთხვევაშიც. ოფიციალური დოკუმენტები, სადაც ქურთები და ქურთისტანის პროვინცია სინონიმებადაა მოხსენიებული, ქმნის სირთულეებს ირანში ქურთული მოსახლეობის რეალური რაოდენობისა და მათი საზღვრების დადგენის მხრივ[**5.31**].

გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, ირანის ქურთისტანი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით ნაწილშია. მას უკიდურეს ჩრდილ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ურმიის ტბა, ხოლო დასავლეთით - ერაყი და თურქეთი. ირანის ქურთისტანის ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები გაცილებით პრობლემურია, რადგან სხვადასხვა წყაროები განსხვავებულ შეხედუ-

ლებებს ავითარებენ იმის შესახებ, თუ რეალურად რამდენია ქურთისტანის ტერიტორია.

თანამედროვე ირანში მცხოვრები ქურთები განსხვავდებიან, როგორც რელიგიური, ასევე ლინგვისტური ნიშნით. ირანის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ქურთების უმეტესობა - ქურმანჯის, ხოლო სამხრეთ ნაწილში - სორანისა და გორანის დიალექტებზე მეტყველებენ. რაც შეეხება რელიგიას, ირანელი ქურთების უმეტესობა სუნიტური ისლამის მიმდევარია[2.196].

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ძალაუფლების ვაკუუმი მნიშვნელოვან შესაძლებლობას უქმნიდა ქურთებს იმისთვის, რომ თავი გაეთავისუფლებინათ რეგიონის ჰეგემონი სახელმწიფოებისგან. ოსმალეთის იმპერიის დაშლამ, სევრის ხელშეკრულებამ და თურქეთისა და ერაყის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთების აჯანყებებმა ბიძგი მისცა ირანელ ქურთებსაც დაეწყოთ მასობრივი გამოსვლები. მაგრამ ირანში, 1921 წელს, რეზა ფეჰლავის მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ირანელი ქურთების ამბოხი ჩახშონილ იქნა.

ირანის მთავრობები, როგორც მონარქიის, ასევე თეოკრატიის შემთხვევაში, თრგუნავენ ქურთულ იდენტობას ქურთული ენის გამოყენების შეზღუდვით სკოლებში და სამთავრობო თუ სახელმწიფო სამსახურებში. 1906 წლის კონსტიტუციის მიხედვით ირანში სახელმწიფო ენად სპარსული იყო გამოცხადებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ პარლამენტის წევრს მოეთხოვებოდა სპარსულად ლაპარაკი, წერა და კითხვა. რეზა ფეჰლევი, რომელიც ირანს 1925-1941 წლებში მართავდა, ცენტრალური კონტროლის განმტკიცებით ცდილობდა ირანში მცხოვრები ქურთების და სხვა ეთნიკური უმცირესობების ასიმილაციას. აიკრძალა ეთნიკური უმცირესობათა ენების გამოყენება სკოლებში, სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოებში, ბეჭდურ მედიასა და რადიოში.

მოჰამედ რეზა ფეჰლევმა, რომელიც ირანის შაჰი იყო 1941-1979 წლებში, ქურთებს თავიანთ ენაზე რადიომაუწყებლობის ნება დართო, მაგრამ ამავდროულად შაჰმა ძალაუფლებები შეუ-

მცირა ქურთული ტომების ლიდერებს, იგივე ხანებს. 1960-1970-იან წლებში შაჰის მთავრობამ დაანგრია ხანების მამულები და გათავისუფლებული მიწები გლეხებს გადაუნაწილა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ტომობრივი კავშირები და ქურთული იდენტობა.

ირანში ეროვნული ფრონტის აღმასვლა მოჰამედ მოსადეყის სახელთანაა დაკავშირებული. ნაციონალიზმის, თვითგამორკვევისა და ანტი იმპერიალიზმის იდეალებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, რომელსაც მოსადეყი ახორციელებდა ირანში 1950-იანი წლების დასაწყისში, ირანელი ქურთები სერიოზულ მხარდაჭერას უცხადებდნენ, რადგანაც ისინი უმეტესწილად იზიარებდნენ მთავრობის ღირებულებებს. მოსადეყი, პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ, დაუპირისპირდა შაჰს, მაგრამ იგი ამ მხრივ უძლური აღმოჩნდა, რადგანაც კონსტიტუციის მიხედვით, შაჰი, როგორც მთავარსარდალი განაგებდა და აკონტროლებდა შეიარაღებულ ძალებს. ქურთების მიერ მოსადეყის მთავრობის მიმართ აშკარა და აქტიური მხარდაჭერა შაჰის სერიოზულ აღშფოთებას იწვევდა. გარდა ამისა მოსადეყის მთავრობა მიუღებელი აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატებისთვის ნავთობის ნაციონალიზაციის გამო. 1953 წელს ირანში შაჰსა და მოსადეყს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. იმავე წელს, აგვისტოში, შაჰის ხელისფლებამ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობით მოჰამედ მოსადეყის მთავრობა დაამხო. ქურთები კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ არასწორ მხარეს[6.20-21].

1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგაც ირანის სახელმწიფო ენად ისევ სპარსული დარჩა, თუმცა ხელისუფლებამ ადრე არსებული გამკაცრებული ნორმები შეარბილა. ქურთებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ენა პუბლიკაციებსა თუ მედიაში. თუმცა ეს ყველაფერი, რათქმაუნდა, სახელმწიფოს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდება.

2013 წლიდან, ჰასან როუჰანის გაპრეზიდენტების შემდეგ, ნებადართულია უფრო მეტი ქურთული კულტურული აქტივობები. ეთნიკური და რელიგიური უფლებების გაუმჯობესების

მხრივ ირანში ძირეული ცვლილებები არ განხორციელებულა და ნაკლებსავარაუდოა, რომ ამ მხრივ უახლოეს მომავალში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალოს.

2019 წლის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ყოველწლიური ანგარიშში ნათქვამია, რომ ირანის ცენტრალური ხელისუფლება ისევ აგრძელებს ქურთების დევნასა და დაპატიმრებას. გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობამ აკრძალა ქურთულ ენოვანი გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, ასევე დასაჯა გამომცემლები, ჟურნალისტები და მწერლები სამთავრობო პოლიტიკის კრიტიკისთვის და წინააღმდეგობისთვის[**www.usip.org**].

ქურთები ასევე დისკრიმინირებულები არიან ცენტრალური ხელისუფლების მიერ მათი აღმსარებლობის გამო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანელი ქურთების უმეტესობა სუნიტური ისლამის მიმდევარია, რომელთაგან ბერი ეწინააღმდეგებოდა შიიზმის, როგორც ირანის მთავრი რელიგიის გამოცხადებას 1979 წლის რევოლუციის შემდეგ. Amnesty International-ის ანგარიშის მიხედვით ირანში ქურთების რელიგიური ინსტიტუტები დაბლოკილია, ასევე ხშირია სუნიტი სასულიერო პირების შევიწროების შემთხვევებიც.

ქურთები და სხვა ეთნიკური უმცირესობები დასაქმების მხრივ სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებიან, რაც ნაწილობრივ „გოზინეშის“[2] პროცესითაა გამოწვეული. კანონმა შეზღუდა არა შიიტი ქურთებისა და ზოგიერთი უმცირესობების დასაქმების პერსპექტივები, რამაც ავტომატურად შეუზღუდა უფლებები ირანში ყველაზე დიდ დამსაქმებლებსაც. ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ძნელად ახერხებენ მაღალი თანამდებობის დაკავებას სწორედ გოზინეშის კანონის გამო.

[2]მოქმედებს 1985 წლიდან და იგი მთელ რიგ რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს უკრძალავს სრულფასოვან მონაწილეობას სამოქალაქო ცხოვრებაში. გოზინეშის კანონის და სხვა დებულებების მიხედვით უმცირესობების განათლებაზე და დასაქმება ზე ხელმისაწვდომობა მკაცრი იდეოლოგიური შემოწმებითა შესაძლებელი; ასევე, მთავარი წინაპირობა ისლამის პრინციპების ერთგულებაა.

ცნობისათვის, აბდულაჰ რამეზანზადე, ქურთისტანის პირველი ქურთი გუბერნატორი შიიტი იყო, რომელიც 1997 წელს პრეზიდენტმა მოჰამედ ხათამმა დანიშნა[**www.usip.org**].

სტატიის ფარგლებში მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ და მოკლედ დავახასიათოთ ირანში ჩამოყალიბებული ქურთული პარტიები, რომლებიც აქტიურ პოლიტიკურ თუ სამხედრო საქმიანობას ეწევიან, როგორც ირანში, ასევე რეგიონის მასშტაბითაც.

ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტია (PDKI) დაარსდა 1945 წელს და იგი ყველაზე ძველი და აქტიური ქურთული ოპოზიციური დაჯგუფებაა ირანში, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობას ეწევა. პარტია ირანის ისლამურ რესპუბლიკაში აკრძალულია. მისი დამაარსებელი მეჰაბადის ხანმოკლე ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტი ყაზი მუჰამედია (Qazi Muhammad). 1947 წლის შემდეგ, თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე, ირანის ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა.

აქვე მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე საბჭოთა კავშირის ხელშეწყობითა და წაქეზებით გააქტიურდნენ სეპარატისტული ძალები, მათ შორის იყვნენ ქურთები და ირანის აზერბაიჯანელები[**6.13-14**]. ქურთებმა ხანმოკლედ, მაგრამ მაინც, მოახერხეს ავტონომიური რესპუბლიკის - მეჰაბადის შექმნა, რომლის ლიდერიც ზემოხსენებული ყაზიმ მუჰამედი იყო. მართალია მეჰაბადის ავტონომიური რესპუბლიკამ მცირე ხნით იარსება, თუმცა იგი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ირანის ქურთისტანისათვის.

ქურთები აქტიურად იყვნენ ჩართულნი 1979 წლის ირანის ისლამურ რევოლუციაში ავტონომიის ან დამოუკიდებლობის მიღების იმედით, თუმცა რევოლუციის შემდეგ მოსულმა მთავრობამ და ახალმა რეჟიმმა ქურთების მოლოდინები არ გაამართლა.

1979-1981 წლებში, დასავლეთ აზერბაიჯანის და სხვა პროვინციებში ქურთები აჯანყდნენ ახალი რეჟიმის წინააღმდეგ, თუმცა რევოლუციურმა გვარდიამ აჯანყების ჩახშობა მოახერხა. ორწ-

ლიან დაპირისპირებას 10 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ქურთი მებრძოლები კიდევ ორი წლის მანძილზე ახორციელებდნენ თავდასხმებს ირანელ სამხედროებზე. 1984 წელს პარტიის ლიდერები ერაყის ქურთისტანში გადასახლდნენ.

პარტიის ამჟამინდელი ლიდერი 1979 წლის კონგრესზე არჩეული მუსტაფა ჰიჯრია (Mustafa Hijri). იგი 2006 წელს აირჩიეს პარტიის გენერალურ მდივნად. PDKI-ს უმაღლესი მმართველი ორგანო კონგრესია, რომელიც იკრიბება ყოველ ოთხ წელიწადში. თითოეული კონგრესი ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც შედგება 25 მუდმივი და 10 დროებით წევრისგან. პოლიტიკური გადაწყვეტილებები ძირითადად კონგრესის სესიებს შორის მიიღება.

პარტია დემოკრატიის, თავისუფლების, სოციალური სამართლიანობისა და გენდერული თანასწორობის იდეების ერთგულია. პარტიამ არაერთხელ გააჟღერა ქურთისტანის დამოუკიდებლობა, თუმცა 2004 წლიდან ჯგუფმა შეცვალა თავისი რიტორიკა და ამ ეტაპზე ისინი ირანში უფრო მეტ ავტონომიას მოითხოვენ.

PDKI-ს მებრძოლთა რაოდენობა სავარაუდოდ 2 ათასამდე აერთიანებს, რომლებიც ძირითადად ერაყში და ირანში არიან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათ რიგებში ქალებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

ქურთისტანის თავისუფალი ცხოვრების პარტია (PJAK) დაფუძნდა 2004 წელს და მისი ლიდერი აბდულ რაჰმან ჰაჯი აჰმადია (Abdul Rahman Haji Ahmadi). PJAK-ს მთავრი მიზანი ირანის თეოკრატიული რეჟიმის დამხობა და დემოკრატიული კონფედერაციის შექმნაა. ისინი მხარს უჭერენ მულტი ეთნიკურ ირანში უფრო მეტ ავტონომიას და გენდერულ თანასწორობას.

ქურთისტანის თავისუფალი ცხოვრების პარტიის შეიარაღებული ფრთა, რომელიც ცნობილია როგორც „აღმოსავლეთ ქურთისტანის დანაყოფების“ სახელით, სავარაუდოდ სამი ათასამდე მებრძოლს აერთიანებს, რომლებიც ძირითადად ირანის, თურქეთის, სირიისა და ერაყის ქურთული დიასპორის წარმომადგენლები არიან.

ქურთისტანის თავისუფალი ცხოვრების პარტია თურქეთის, ირანის, იაპონიისა და შტატების მერ აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციად.

ირანის ქურთისტანის კომალას პარტია 1969 წელს შეიქმნა სტუდენტებისა და ინტელექტუალების მიერ. აბდულაჰ მოჰთადი (Abdullah Mohtadi) კომალას პირველი და ამჟამინდელი გენერალური მდივანია. კომალას პლატფორმა ეფუძნება სოციალისტურ იდეოლოგიას, თუმცა თავდაპირველად ისინი კომუნისტური ხედვებით იყვნენ გამსჭვალულნი. პარტია იზიარებს დემოკრატიულ და პლურალისტურ იდეებს. ისინი სეკულარული, დემოკრატიული და ფედერაციული ირანის შექმნისკენ მიისწრაფიან, სადაც ტოლერანტობა, სამოქალაქო თავისუფლება და ადამიანის უფლებები აღიარებული და გარანტირებული იქნება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისინი ნაკლებად აქცენტირებენ ქურთული სახელმწიფოს შექმნაზე.

კომალას ირანის ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასთან და სხვა ჯგუფებთან ერთად იბრძოდა 1979-1980 წლებში ქურთების აჯანყების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერაყში გადაასახლეს ირანზე თავდასხმას 1990-იანი წლების დასაწყისამდე მაინც აგრძელებდნენ.

სავარაუდოდ კომალას მებრძოლთა რაოდენობა ათასს არ აღემატება. ირანელებთან ბრძოლაში პარტია იყენებდა ფეშმერგას სამხედრო დაჯგუფების მებრძოლებს. ცნობისათვის, კომალას რამდენიმე მებრძოლი 2014 წელს შეუერთდა ერაყელ ქურთებს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში[**www.usip.org**].

ქურთისტანის თავისუფლების პარტია (PAK)1991 წელს საიდ იაზდანფანაჰის (Said Yazdanpanah) მიერ დაარსებული ქურთული სეპარატისტული მოძრაობაა, რომელიც ეწევა როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო საქმიანობასაც. პარტიის შტაბ-ბინა მდებარეობს ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ ერბილში.

პარტიამ 2006 წელს შეიცვალა სახელი. მანამდე იგი ქურთისტანის რევოლუციური გაერთიანების სახელწოდებით მოიხსენიებოდა. პარტიის ამჟამინდელი პრეზიდენტი მეჰაბადის ხანმოკლე რესპუბლიკის პრეზიდენტის კაზიმ მუჰამედის ვაჟი ალი

კაზია (Ali Qazi), ხოლო ვიცე-პრეზიდენტი საიდ იაზდანპანაჰის ძმა - ჰუსეინ იაზდანპანაჰი (Hussein Yazdanpanah).

პარტიის მთავრი მიზანია ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნა. მათი პოლიტიკური ძალისხმევა მიმართულია თურქეთის, ერაყის, სირიისა და ირანის ქურთული ტერიტორიების ერთიანი ქურთული სახელმწიფოს საზღვრებში მოსაქცევად. პლატფორმა დაფუძნებულია დემოკრატიულ და პლურალისტურ ღირებულებებზე. პარტია აღიარებს ქალთა უფლებებს; ასევე, დადებითად უყურებენ რელიგიურ მრავალფეროვნებას საპარლამენტო სისტემაში.

2014 წლიდან, ქურთისტანის თავისუფლების პარტია და ერაყელი ქურთები ერთმანეთის გვერდი გვერდ იბრძვიან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. 2016 წელს იაზდანფანაჰმა განაცხადა, რომ 2015 წელს ამერიკელი სამხედროებისგან დახმარება მიიღეს, თუმცა გავრცელებული ინფორმაცია შეერთებული შტატების ცენტრალურმა სარდლობამ არ დაადასტურა.

2016 წელს ირანში რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყების დროს ქურთისტანის თავისუფლების პარტია (PAK) შეუერთდა ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიას (PDKI). 2020 წლის მაისში ქურთისტანის თავისუფლების პარტიამ თავისი ფეშმერგას სამხედრო დაჯგუფება გააერთიანა „ქურთისტანის ნაციონალურ არმიაში“ და ამავდროულად სხვა ქურთულ პარტიებსაც მოუწოდა გაერთიანებისაკენ. როგორც თვითონ აცხადებენ მათ ათასამდე მებრძოლი ჰყავთ[**www.usip.org**].

დასკვნა

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ქურთების პრობლემა მრავალი ათწლეულია არსებობს და იგი დღემდე მოუგვარებელია. საკუთარი სახელმწიფოს არარსებობის გამო ისინი რეგიონის ოთხ ქვეყანაში ცხოვრობენ, სადაც მათი პოლიტიკური, სამოქალაქო, სამართლებრივი თუ სოციალური უფლებები ყოველდღიურად ირღვევა.

ფაქტია, რომ ქურთების სახელმწიფო დღემდე არ არის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკაზე და ამის ძირითადი

მიზეზი რეგიონული თუ გლობალური აქტორების გეოპოლიტიკური და გეო ეკონომიკური ინტერესებითაა განპირობებული.

ირანში მცხოვრები ქურთების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უარყოფითადაა შეფასებული, ისევე როგორც დანარჩენი სამი ქვეყნის შემთხვევაში.

ირანში შექმნილი ქურთული პოლიტიკური პარტიები ხელისუფლების მიერ მრავალი წელია აკრძალული და შევიწროებულია, თუმცა ისინი, ღიად თუ ფარულად, მაინც ეწევიან აქტიურ პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობას, როგორც ირანში, ასევე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ზემოხსენებული ქურთული პოლიტიკური პარტიები ირანში ავტონომიის გარდა, ასევე სეკულარული და დემოკრატიული ირანის იდეისთვის იბრძვიან.

ბიბლიოგრაფია:

1. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, ტომი I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2018;
2. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: გეოპოლიტიკა ტომი II, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019;
3. მენთეშაშვილი ა., ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XXსს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1978;
4. სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011;
5. Farideh Koohi-Kamali, The Political Development of the Kurds in Iran, Palgrave Macmillan, New York, 2003;
6. Kerim Yildiz, Tanyel B. Taysi, The Kurds in Iran: The Past, Present and Future, Pluto Press, London, 2007;
7. Mc Dowall D,A Modern History of The Kurds, I.B.Tauris & Co Ltd, London, 2007;

8. Vali A, Kurds and the State in Iran: The Making of Kurdish Identity. London: I.B. Tauris, 2014.

ინტერნეტ რესურსები

9. www.institutkurde.org (ბოლოს ნანახია 03.10.2020)
10. www.usip.org (ბოლოს ნანახია 03.10.2020)

Bukhuti Sitchinava

The Kurds in Iran

Abstract

The Kurdish question is considered one of the most difficult and unresolved issues in the Middle East region. Although the Kurds have lived in this region for many centuries, they still do not have their own state. According to various statistics, there are 35-45 million Kurds scattered in the world. In the region, they are represented in four countries: Turkey, Iraq, Syria and Iran.

Kurds living in Iran, who, like other Kurds, demand autonomy, often face resentment from the Iranian government, which is why the government has banned ethnic parties and groups in the country. To gain autonomy and independence, several Kurdish political parties were formed in Iran during the last century. Other than gaining autonomy, they also support the transformation of Iran into a democratic, secular and federal state.

Kurdish political parties and groups play an important role as the preservation of Kurdish identity is the result of their strong engagement in political and military activities. The parties formed by Iranian Kurds, along with Kurdish groups in Turkey, Syria and Iraq, are actively fighting the Islamic State.

Keywords: Middle East, Kurds, Iranian Kurds, Kurdistan,Kurdish Parties

სიმონ გურეშიძე

აშშ-ტალიბანის სამშვიდობო შეთანხმება, წარმატებული ნაბიჯი თუ ახალი გამოწვევების დასაწყისი?

აბსტრაქტი

2020 წლის 29 თებერვალს კატარის დედაქალაქ დოჰაში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მოძრაობა ტალიბანმა, სამშვიდობო შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომლიც ითვალისწინებდა: ა) გარანტიებს და იმ მექანიზმების გაძლიერებას, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ ავღანეთის ტერიტორიას ვერცერთი დაჯგუფება და ინდივიდუალური პირი ვერ გამოიყენებს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ; ბ) გარანტიებს და მექანიზმების გაძლიერებას, რომელთა მეშვეობითაც დაცული იქნება, ავღანეთის ტერიტორიიდან ყველა უცხოური ძალების დათქმულ ვადებში გაყვანა; გ) საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით, ყველა უცხოური ძალების გაყვანის გარანტიებისა და ვადების გამოცხადების შემდეგ, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით გაცემული გარანტიების შემდეგ, რომ ავღანეთის ტერიტორია არ იქნება გამოყენებული აშშ-ის და მისი მოკავშირეების უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ, ტალიბანის სახელით ცნობილი ავღანეთის ისლამური საამირო (რომელსაც აშშ არ ცნობს სახელმწიფოდ), 2020 წლის ათი მარტიდან დაიწყებდა შიდა ავღანურ მოლაპარაკებებს ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა მხარეებთან და დ) საყოველთაო დონეზე ცეცხლის შეწყვეტის მუდმივობის დაცვა იყო შიდა ავღანური მოლაპარაკებებისა და დიალოგის დღის წესრიგის მთავარი საკითხი. მონაწილეებმა უნდა განიხილონ ცეცხლის შეწყვეტის თარიღი და პირობები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს იმ მექანიზმების ერთობლივად შემუშავებას (გამოცხადდება მისი დასრულების და შეთანხმების შემდეგ), რომლის მიხედვითაც მოხდება შეთანხმება, ავღანეთის მომავალი პოლიტიკური საგზაო რუკის მიღებაზე.

საკვანძო სიტყვები: ტალიბანი; ავღანეთი; ამერიკის შეერთებული შტატები.

შინაარსი

2020 წლის 29 თებერვალს კატარის დედაქალაქ დოჰაში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მოძრაობა ტალიბანმა, სამშვიდობო შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომლიც ითვალისწინებდა:

1) გარანტიებს და იმ მექანიზმების გაძლიერებას, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ ავღანეთის ტერიტორიას ვერცერთი დაჯგუფება და ინდივიდუალური პირი ვერ გამოიყენებს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ.

2) გარანტიებს და მექანიზმების გაძლიერებას, რომელთა მეშვეობითაც დაცული იქნება, ავღანეთის ტერიტორიიდან ყველა უცხოური ძალების დათქმულ ვადებში გაყვანა.

3) საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით, ყველა უცხოური ძალების გაყვანის გარანტიებისა და ვადების გამოცხადების შემდეგ, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით გაცემული გარანტიების შემდეგ, რომ ავღანეთის ტერიტორია არ იქნება გამოყენებული აშშ-ის და მისი მოკავშირეების უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ, ტალიბანის სახელით ცნობილი ავღანეთის ისლამური საამირო (რომელსაც აშშ არ ცნობს სახელმწიფოდ), 2020 წლის ათი მარტიდან დაიწყებდა შიდა ავღანურ მოლაპარაკებებს ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა მხარეებთან.

4) საყოველთაო დონეზე ცეცხლის შეწყვეტის მუდმივობის დაცვა იყო შიდა ავღანური მოლაპარაკებებისა და დიალოგის დღის წესრიგის მთავარი საკითხი. მონაწილეებმა უნდა განიხილონ ცეცხლის შეწყვეტის თარიღი და პირობები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს იმ მექანიზმების ერთობლივად შემუშავებას (გამოცხადდება მისი დასრულების და შეთანხმების შემდეგ), რომლის მიხედვითაც მოხდება შეთანხმება, ავღანეთის მომავალი პოლიტიკური საგზაო რუკის მიღებაზე[1].

აღნიშნულ საკითხს მრავალი ანალიტიკური სტატია და მოსაზრება მიეძღვნა, რომლებშიც ცალ-ცალკეა განხილული ის

შედეგები და გამოწვევები, რაც ზემოთ ხსენებულ შეთანხმებას შეიძლება მოჰყვეს. ამჯერად სტატიის მიზანია, არსებული მასალების სისტემატიზების, შეჯერების და შედარებითი ანალიზის საფუძველზე, პასუხი გასცეს იმ კითხვებს: თუ რა გამოწვევები ემუქრება აღნიშნულ შეთანხმებას, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ავღანეთს. ასევე რომელი აქტორები გააქტიურდებიან როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე რეგიონალურ დონეზე. რა სახის ინტერესები აქვთ ავღანეთში მსხვილ რეგიონალურ მოთამაშეებს, როგორ აისახება ავღანეთსა და დადებულ სამშვიდობო შეთანხმებაზე მათი ურთიერთობები.

თავდაპირველად კიდევ ერთხელ უნდა მოხდეს ავღანეთში ტალიბანის გააქტიურების წინა პირობებსა და აშშ-ტალიბანის ურთიერთობის ეპიზოდებზე მოკლედ თვალის გადავლება. გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის შემდეგ, 1989 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატები და 1991 წლამდე საუდის არაბეთი, საკუთარი სახსრებით და პაკისტანის იატაკქვეშა სტრუქტურების დახმარებით ავღანეთში აგზავნიდნენ ისლამისტ მებრძოლებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საბჭოთა ჯარებზე გამარჯვებაში. ომის დასრულების და სპარსეთის ყურის მოვლენების გამო, ეს დაჯგუფებები თავიანთი ადრინდელი მფარველის შეერთებული შტატების წინააღმდეგ გამოვიდნენ[2].

1994 წლიდან, პაკისტანის ინტერესების დაცვის მიზნით გააქტიურდა ტალიბანი. ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე მცხოვრებ პუშტუს ტომებში ჩასახული, სუნიტური კონსერვატიულ-ფუნდამენტალისტური მოძრაობა. 1997 წელს, მას შემდეგ, რაც ტალიბებმა იმავე წლის იანვრის ბოლოს კონტროლი დაამყარეს ქაბულის გარშემო არსებულ სოფლებზე, უკვე დომინირებდნენ ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში, ასევე ემზადებოდნენ ჩრდილოეთ სექტორის დასაპყრობად, ტალიბების მთავრობის დელეგაცია 3 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქს ეწვია და შეხვედრა გამართა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც განიხილეს California Oil Company-ს ჩართულობით, ცენტრალ-

ური აზიიდან ავღანეთის გავლით მილსადენის მშენებლობის დეტალები. თავდაპირველად ამერიკული მხარისთვის შეთავაზება მისაღები აღმოჩნდა. შედეგად, შეერთებული შტატების თანხმობით, საუდის არაბეთი და პაკისტანი ტალიბანს შეიარაღებასა და ფინანსებს აწვდიდნენ. თუმცა ამერიკის ურთიერთობა ამ მოძრაობასთან, ერთ წელზე მეტად ვეღარ გაგრძელდა[3].

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, აშშ-მა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ძალებმა, იმავე წელს შეტევა დაიწყეს ალ-კაიდასა[4] და ტალიბანზე, რის შედეგადაც ტალიბების ხელისუფლება დაემხო. ორივე ორგანიზაციის ლიდერები საბოლოოდ პაკისტანში გადავიდნენ და იქიდან აგრძელებდნენ წინააღმდეგობას. 2012 წლიდან, დღის წესრიგში დადგა ავღანეთის სამშვიდობო პროცესებზე მოლაპარაკებების დაწყება, რომელიც პერმანენტულად გრძელდებოდა კატარის დედაქალაქ დოჰაში, სადაც ერთ-ერთ მხარედ ტალიბებიც მოიაზრებოდნენ. იმავე წლის იანვარში ტალიბებმა თავიანთი ოფისი გახსნეს დოჰაში, რასაც სამშვიდობო მოლაპარაკებების მონაწილეთა მხრიდან დადებითი შეფასებები მოჰყვა[5].

მოლაპარაკებებმა 19 წლიანი საბრძოლო მოქმედებების ბოლოსთვის, ზემოთ ხსენებული სამშვიდობო ხელშეკრულების დადება მოიტანა. ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც 12 000-იანი კონტინგენტი საწყის ეტაპზე უნდა შემცირდეს 8500 სამხედრო მოსამსახურემდე, ხოლო 2021 წლის მაისისთვის მთლიანად დატოვოს ავღანეთი, კრიტიკაც მოჰყვა. ვინაიდან, ღია წყაროებში არსებული მასალების თანახმად, პრეზიდენტ ტრამპს, შეთანხმებამდე 2 დღით ადრე, სადაზვერვო ინფორმაციების მიწოდების შედეგად აცნობეს, რომ არსებობდა ცნობები ავღანელი მებრძოლების რუსეთის მხრიდან ჯილდოების გაცემის შესახებ, რასაც ისინი ამერიკელი სამხედროების მკვლელობებისთვის იღებდნენ და ყოველივე ამის შედეგად, არ ურჩევდნენ პრეზიდენტს ნდობა გამოეცხადებინა ტალიბებისთვის. ამერიკელი სამხედრო ექსპერტები და კანონმდებლები როგორც დემოკრატების, ისევე რესპუბლიკელების მხრიდან, თანხმდებოდნენ იმ აზრზე, რომ ტალიბებს რაიმე სახის ჯილდო

და წახალისება არასოდეს ჭირდებოდათ ამერიკელების მოკვლ-ისთვის. შედეგად ყოველი მათგანი სკეპტიკურად იყო განწყ-ობილი აღნიშნული შეთანხმების მიმართ. მათ მოსაზრებას ამაგ-რებდა ტალიბების მიერ განხორციელებული ძალადობრივი აქტ-ები ავღანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ვინაიდან ამ უკა-ნასკნელმა უარი განაცხადა 5000 ტალიბის ციხიდან გათავისუფ-ლებაზე, ტალიბების მიერ დატყვევებული 1000-მდე ავღანეთის უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლების სანაცვლოდ. ასეთ ნაბიჯს ტალიბებმა მასშტაბური თავდასხმებით უპასუხეს. სამშვიდობო შეთანხმების დეტალებში ბოლომდე გარკვეული პირებისგან BBC-ისთვის ცნობილი გახდა, რომ ტალიბებს თავი-ანთი აქტივობა სრულ მასშტაბიანად, მხოლოდ სოფლებში და დიდი ქალაქების გარეთ შეეძლოთ. ასევე ამერიკული მხარე დათანხმდა არ მიეტანა იერიშები იმ სოფლებსა და ბანაკებზე, სადაც ტალიბების მებრძოლები იმყოფებოდნენ. სწორედ ამან გუადვილა მათ ავღანელ ძალოვნებზე თავდასხმების განხორცი-ელება[6]. მიმდინარე წლის 12 სექტემბერს შედგა პირველი შიდა მოლაპარაკებების რაუნდი, რომელსაც აშშ-ის სახელმწიფო მდი-ვანმა მაიკ პომპეომ ისტორიული უწოდა, რადგან ეს მართლაც პირველი მოლაპარაკება იყო ტალიბებსა და ავღანეთის მთავრ-ობას შორის. ყველა მხარე აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ შემდგომ მოლაპარაკებებსა და ურთიერთობას უამრავი გამოწვევა ელოდა წინ, თუმცა მონაწილეები დაბეჯითებით გამოთქვამდნენ იმის სურვილს, რომ წინასწარ გაცნობიერებული უთანხმოებები, აზრ-თა სხვადასხვაობა და სხვა გამოწვევები, დაძლეული იქნებოდა ყოველი მხარის მონდომების შემთხვევაში[7].

ალ-კაიდა - ტალიბანი

სამშვიდობო შეთანხმების პირველი და მესამე პუნქტები ავტ-ომატურად ითვალისწინებდა ალ-კაიდას აქტივობის აღკვეთას ავღანეთის ტერიტორიაზე. თუმცა რეალური სურათი ასე გამო-იყურება: აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრა-ციის წარმომადგენლები და სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო და რიგი ექსპერტები თვლიდნენ, რომ ეს ორგანიზაცია, რეალ-ურად არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა. თუმცა ალ-კაიდას

პოზიციები კვლავ ძლიერია ქვეყანაში. ჯერ-ჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის ეს ორგანიზაცია ამ ეტაპზე ფლობს თუ არა საერთაშორისო მასშტაბის ტერორისტული აქტივობის პოტენციალს, მაგრამ ორი რამ ცნობილია: ალ-კაიდას ფინანსური პოტენციალი სტაბილურად იზრდება და ტალიბანის გარდა, მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებს თაჰრიქ ე-პაკისტანის სახელით ცნობილი პაკისტანელი აჯანყებულების შეიარაღებულ დაჯგუფებასთან. ხოლო 2014 წლიდან მოახდინა მართველობის დეცენტრალიზება, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ორგანიზაციის განშტოების-„ალ-კაიდა ინდოეთის სუბკონტინენტზე“ ფორმირება, რაც ანალიტიკოსების აზრით, უდავოდ გაზრდის ალ-კაიდას ავტორიტეტს ავღანეთში[8].

მიუხედავად იმისა, რომ ტალიბანი ორ ჯგუფად არის გაყოფილი. ერთ მხარესაა დაჯგუფება ჰაქქანის ქსელი[9], რომელიც ტალიბანის, ასევე ალ-კაიდას და ზემოთ ხსენებული თაჰრიქ ე-ტალიბან პაკისტანს მოკავშირეცაა. მეორე მხარეს მუჰამმად იაკუბი[10], მოძრაობა ტალიბანის ლიდერის და ავღანეთის ისლამური საამიროს დამაარსებლის, მულა ომარის[11] შვილი, რომელიც მხარს უჭერს აშშ-სთან სამშვიდობო შეთანხმების დადებას და ინდოეთთან დაახლოებას. ამის გამო, გამოითქვა მოსაზრებები იმის შესახებაც, რომ ეს დაყოფა შეიძლება ინდოეთ-პაკისტანის ფარული ომის გაგრძელებაც იყოს, თუმცა ჯერ-ჯერობით ორგანიზაცია მაინც მონოლითურ წარმონაქმნად ითვლება. ანალიტიკური წყაროები თვლიან, რომ ტალიბანსა და ალ-კაიდას შორის კავშირი არ გაწყდება[12]. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტორის გათვალისწინების გარდა, გაეროს ანალიტიკური მხარდაჭერისა და სანქციებზე მონიტორინგის ჯგუფმა, უშიშროების საბჭოს წარუდგინა ანგარიში, რომლის თანახმადაც: ტალიბანი, ჰაქქანის ქსელი და ალ-კაიდაკვლავ ინარჩუნებენ ახლო მეგობრულ ურთიერთობებს, რაც თავის მხრივ ეფუძნება „ამ დაჯგუფებებს შორის არსებულ მეგობრობას, ერთობლივი ბრძოლის ისტორიას, საერთო იდეოლოგიურ სიმპათიებსა და ქორწინების მეშვეობით დანათესავებას“[13]. აღნიშნული მოსაზრება „ისლამურ სახელმწიფოზე“, ალ-კაიდასა და ტალიბანზე

გაეროს მონიტორინგის ჯგუფის კოორდინატორმა ედმუნდ ფიტონ ბრაუნმაც დაადასტურა[14]. მეტიც, 2019 წლის ივლისში, ტალიბებმა გაავრცელეს ვიდეო მიმართვა, რომელშიც მათ გაამართლეს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი, ხოლო აშშ-სთან სამშვიდობო შეთანხმების დადების შემდეგაც არ გაუკრიტიკებიათ მათ ალ-კაიდა აღნიშნული მასშტაბური ტერორისტული აქტის გამო. ხოლო გაეროს ანგარიშების თანახმად, იმავე 2019 წელს, 6 შეხვედრა მოხდა მათ შორის, რომელთაგან ერთ-ერთი ჰამზა ბენ ლადენთან (უსამა ბენ ლადენის შვილი, გარდაიცვალა 2019 წელს) შედგა და ტალიბების წარმომადგენლები მას არწმუნებდნენ იმაში, რომ მათ ურთიერთობას არავითარი ცვლილება არ ელოდა[15]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ანგარიშები მკაცრად გააკრიტიკა ტალიბანის წარმომადგენელმა ზაბიჰულაჰ მუჯაჰიდმა და განაცხადა, რომ ისინი დოჰაში დადებული შეთანხმების თანახმად, არ დაუშვებდნენ ავღანეთის ტერიტორიაზე მებრძოლთა ბანაკების არსებობას და იქიდან ვინმესთვის საფრთხის შექმნის ხელშეწყობას[16].

რეგიონალური აქტორები

ავღანეთში რეგიონალური აქტორების ინტერესებს თავის ისტორია გააჩნია, რომლის აქტიური ფაზა XIX საუკუნიდან იწყება, როცა ბრიტანეთი, სპარსეთი და რუსეთის იმპერია რეგიონში გაბატონებისთვის იბრძოდნენ. 1907 წელს, ინგლისსა და რუსეთს შორის დადებულმა კონვენციამ ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი შეაჩერა და ავღანეთი იქცა ბუფერულ ზონად რუსეთის კუთვნილ ცენტრალური აზიის და ბრიტანეთის იმპერიის კუთვნილ ინდოეთის ტერიტორიებს შორის[17].

ამჯერად სტატიის მიზანია, მსხვილი რეგიონალური მოთამაშეების ინტერესთა განხილვა აშშ-ტალიბანს შორის დადებული სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ავღანეთი მომავალში ძალზე მაღალი ალბათობით შესაძლოა იქცეს ახალი გავლენის სფეროების მოპოვების პოლიგონად, არის „თაპი“- თურქმენეთის, ავღანეთის და პაკისტანის გაზსადენი, რომლის მარშრუტის საბოლოო დანიშნულებაც ინდ-

ოეთია და წარმოადგენს ზემოთ ხსენებული California Oil Company-სა და ტალიბანის წამოწყებული პროექტის განახლებულ ვარიანტს. მილსადენის მშენებლობაზე შეთანხმება, ნახსენებ ქვეყნებს შორის, 2015 წლის დეკემბრის ბოლოს მოხდა. 2020 წლის 31 აგვისტოს, ქაბულში თურქმენეთმა და ავღანეთმა ხელი მოაწერეს მილსადენისთვის „მიწის ნაკვეთების არჩევის ურთიერთგაგების მემორანდუმს“[18]. საწყის ეტაპზე აშშ-მ მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას, ვინაიდან თურქმენეთი შეძლებდა საკუთარი გაზის ექსპორტს რუსეთის გვერდის ავლით. რუსეთის მხრიდან უკმაყოფილებასთან ერთად, პროექტში ჩართვის მოზომილი განცხადებებიც კეთდებოდა. საბოლოოდ ამ ქვეყანამ პაკისტანს ირანიდან სამხრეთ-ჩრდილოეთის გაზსადენის მშენებლობა და ინდოეთს ირანის გავლით 30 მილიარდის კუბური მეტრი გაზის მიწოდება შესთავაზა „თაპის“ სანაცვლოდ, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის სურვილს, კერძოდ რუსეთ-ირანის დომინირების აღკვეთას რეგიონში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაზსადენის ფორმალური მშენებლობის ფაზაშიც, რეგიონში დომინირებისთვის დღემდე იბრძოდნენ და მეტნაკლები ინტენსივობით თავის პოზიციებს არ თმობენ როგორც ინდოეთი და პაკისტანი, ასევე ჩინეთიც[19]. 2018 წელს ვლადიმერ პუტინმა პირადად განაცხადა, რომ მხარს უჭერდა ავღანეთში სამშვიდობო პროცესს და რუსეთი მზად იყო „თაპის“ პროექტში მონაწილეობის მისაღებად. 2019 წლიდან, ჩელიაბინსკის მილსადენების ფაბრიკამ, აღნიშნული გაზსადენის მილების დამზადება დაიწყო[20].

ინდოეთი ორი ათწლეულია ცდილობს ირანის სამხრეთ აღმოსავლეთში, ომანის ყურეში ააშენოს ჩაბაჰარის პორტი და მისი მეშვეობით გავიდეს ავღანეთისა და ცენტრალური აზიის ბაზარზე. პარალელურად ჩინეთიც ცდილობს ინდოეთი ჩაანაცვლოს პორტის და გაზსადენის მშენებლობების პროექტებში. ჩაბაჰარის პორტის მშენებლობა არ შედის ჩინეთის მოკავშირე პაკისტანის გეგმებში, რადგან ეს უკანასკნელი კონკურენციას გაუწევს პაკისტანის გვადარის პორტს. ამავე დროს ირანიც დიდი ხანია არ მალავს იმის, სურვილს, რომ თავის ტერიტორიების გავლით

უნდა მიაწოდოს თურქმენული გაზი საერთაშორისო ბაზარს. აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 1990-იან წლებში, როდესაც ტალიბებს კონტაქტი ჰქონდათ საუდის არაბეთთან, ირანისა და ტალიბანის ურთიერთობა ძალზე დაძაბული იყო. 9/11 ტერაქტის შემდეგ, საუდის არაბეთთან კონტაქტის გაწყვეტამ, ამ ქვეყნისა და კატარის ურთიერთობებში დაძაბულობამ, დოჰაში ტალიბების ოფისის გახსნამ და კატარ-ირანს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებამ, ტალიბან-ირანის ურთიერთობებზეც დადებითად იმოქმედა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებიდან მოყოლებული, ტალიბებმა მთელი რიგი ვიზიტები განახორციელეს თეირანში, სადაც კონსულტაციებს გადიოდნენ ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ამასთან ტალიბებს ირანთან კონტაქტი ჭირდებათ იმიტომაც, რომ ეს ქვეყანა კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებს თითქმის ყველა შიდა ავღანურ მხარესთან[21]. თურქმენეთი კი თავის მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობს, მისი ბუნებრივი რესურსის ერთადერთი მომხმარებელი არ იყოს ჩინეთის ბაზარი. ამიტომ ეს ქვეყანა დიდ იმედებს ამყარებს „თაპის“ მშენებლობაზე. რუსული პრიმაკოვის ცენტრი და აღმოსავლელი ანალიტიკოსები სხვადასხვა პროგნოზებს აკეთებენ გაზსადენის მშენებლობაზე და მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე. ამავე დროს ერთხმად აღნიშნავენ, რომ პროექტი სრული დატვირთვით მაშინ ამუშავდება, თუ ამ გაზსადენის მთავარი მომხმარებელი იქნება ინდოეთი[22]. პაკისტან, ინდოეთ, ჩინეთის ინტერესთა კონფლიქტის გარდა, საინტერესოა ავღანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ტალიბების გააქტიურება რა გავლენას მოახდენს ინდოეთ-ავღანეთის ურთიერთობებზე. 2001 წლის შემდეგ, ინდოეთს ყველაზე მეტი ფული, 2 მილიარდი დოლარი აქვს ჩადებული ავღანეთის განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენაში და მუდმივად ცდილობდა მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდა ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან. თუმცა Observer Research Foundation-ის მეცნიერთანამშრომელის, ანალიტიკოსის ქაბირ ტანეჯას განცხადების თანახმად, მას შემდეგ, რაც ტალიბანი გააქტიურებას იწყებს ავღ-

ანეთში, ინდოეთს სულ უფრო გაუჭირდება თავის პოზიციების გამყარება. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთს ტალიბებთან მოლაპარაკებების დროს, იწვევდნენ მოსკოვსა და დოჰაში, ეს ქვეყანა ძალზე პასიური როლით შემოიფარგლებოდა მოლაპარაკებებსა და ტალიბებთან ურთიერთობაში[23]. მაშინ, როდესაც ამერიკული მხარის შეფასებით, პაკისტანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ტალიბებთან მოლაპარაკებებში[24].

ბოლოს ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ „თაპის“ პროექტში, კიდევ ერთი მოთამაშე გამოჩნდა თურქეთის სახით. თურქულმა მხარემ პროექტში ჩართულობის მზადყოფნა და სურვილი გამოთქვა, რასაც თურქმენეთის პრეზიდენტის, გურბანგული ბერდი მუჰამედოვის მხრიდან დადებითი შეფასება მოჰყვა. საგულისხმოა ის, რომ დღესდღეობით თურქმენეთში 600-მდე თურქული კომპანია მუშაობს ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ტრანსპორტი, სათბობ-საწვავი კომპლექსი, კავშირგაბმულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, წყლის რესურსების მართვა[25]. თურქმენეთის გარდა, მიმდინარე წლის დასაწყისიდან, თურქეთმა დაიწყო პაკისტანთან ურთიერთობების განსაკუთრებული გამყარება. 13 თებერვალს რეჯეფ თაიფ ერდოღანი 2 დღიანი ვიზიტით ეწვია პაკისტანს, სადაც მონაწილეობა მიიღო პაკისტან-თურქეთის ბიზნესისა და ინვესტიციების ფორუმში. გარდა ამისა, პრემიერ იმრან ხანთან იგეგმებოდა ისეთი საკითხების განხილვა, როგორებიცაა, ორივე ქვეყნის მიერ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება თავიანთი მოსახლეობისთვის და მომავალი სამხედრო თანამშრომლობა[26].

დასკვნა

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით არსებული სიტუაცია და სტატუს-კვო ავღანეთის მომავლის რაიმე სახის გარკვეულ სურათს და დამაიმედებელი პროგნოზების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. სახეზეა რეგიონალური აქტორების ინტერესები, რასაც ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული სიტუაცია. კერძოდ, ავღანეთის სპეციფიკა,

უმრავლესობა სუნიტი მუსლიმია, მაგრამ იქ ასევე ცხოვრობენ შიიტი ჰაზარელები, ზოგადად ქვეყანა მულტიეთნიკურია, მოსახლეობა დაყოფილია, ორმოცდაათამდე სხვადასხვა ენასა და დიალექტზე მოლაპარაკე, ორმოცამდე ტომად. რომელთათვისაც საერთო ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ტომობრივი ინტერესები დგას[27]. ყანდაარში მცხოვრები პუშტუნები ყოველთვის პაკისტანის მიმართ იყვნენ ლოიალურები, ჰერათში დასახლებული სპარსულად მოლაპარაკე ჯგუფი თავის მოკავშირედ ირანს განიხილავს ყოველთვის. მაზარი შარიფის მკვიდრი უზბეკები, უზბეკეთთან ხედავენ მეტ საერთოს. აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე, ლინგვისტური, რელიგიური თუ პოლიტიკური ნიშნით დაყოფილი ავღანელი მოსახლეობა ხშირად ეძებდა თავიანთ მფარველებს ქვეყნის გარედან, რაც თავის მხრივ მსხვილ რეგიონალურ მოთამაშეებს ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა ქვეყნის შიდა სქმეებში ჩასარევად[28].ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ავღანეთი დღესდღეობით გზა გასაყარზე დგას და ახლო მომავალი აჩვენებს, ტალიბები მოახერხებენ თუ არა ქვეყნის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, მთლიანად ავღანელი ხალხი ტომობრივი ინტერესების თუნდაც დროებით გვერდზე გადადებას და ძალების კონსოლიდაციას და მეტნაკლებად სტაბილური გარემოს შექმნას, რათა ქვეყანა გახდეს მიმზიდველი ზემოთ ხსენებული და სხვა საერთაშორისო პროექტებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Agreement for Bringing Peace to Afghanistanbetween the Islamic Emirate of Afghanistan which is not recognized by the United Statesas a state and is known as the Taliban and the United States of America February 29, 2020which corresponds to Rajab 5, 1441 on the Hijri Lunar calendar and Hoot 10, 1398 on the Hijri Solar calendar. Page: https://www.state. gov/ wpcontent/ uploads/ 2020 /02/Agreement-For-Bringing-Peace-to Afghanistan02.29.20.pdfA fghanistan's Taliban, US sign agreement aimed at ending war, By

Shereena Qazi29 Feb 2020.https://www.aljazeera.com /news/2020/02/29/afghanistans-taliban-us-sign-agreement-aimed-at ending -war;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავ-ლეთმცოდნეობის ინტსტიტუტის ელექტრონული ჟურნალი „თანამეროვე ახლო აღმოსავლეთი“. სიმონ გურეშიძე, „თალ-იბანი და „დიდი თამაში“ ავღანეთში“, 2013. გვ: 27. http:// iliauni.edu.ge/uploads/other/2/2222.pdf;
3. McJihad: Islam in the U.S. Global Order. Mitchell, Timothy, 1955- Social Text, 73 (Volume 20, Number 4), Winter 2002, pp. 1-18 (Article), Page: 2. Published by Duke University Press https:// muse.jhu.edu/article/38471;
4. 1988 წლის 11 აგვისტოს დააარსა უსამა ბენ ლადენმა, წარმა-ტებული ბიზნესმენის შვილმა საუდის არაბეთიდან. თავდაპ-ირველად ორგანიზაციის მიზნებში შედიოდა ანტისაბჭოთა ოპოზიციის ორგანიზება და წვრთნები ავღანეთში. 19990 წელს, ქვეითში ერაყის შეჭრის შემდეგ, მან საუდის არაბეთის მონარქს მიმართა ერაყში მუჯაჰიდების გაგზავნის ინიციატ-ივით. უარის მიღების შემდეგ, მან პროტესტის ნიშნად დატოვა ქვეყანა და გადავიდა სუდანში, სადა ორი წლით ადრე იგი უკვე მიწვეული ჰყავდა სუდანის ისლამისტური პარტიის ხელმძღვანელს ჰასან ალ-ტურაბის, სამხრეთ სუდანში ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების მიზნით. თანდათანობით ალ-კაიდა მძლავრ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციად იქცა. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ტალიბანმა ალ-კაიდას დაცული თავშესაფარი შესთავაზა ავღანეთის ტერიტორიაზე, რისთვისაც ალ-კაიდასგან 10-დან 20 მილიონ დოლარამდე იღებდა ყოველ წლიურად.Stanford/CISAC Center For International Security and Cooperation https:// cisac. fsi. stanf ord. edu/mappi ngmilita nts/profiles/al-qaeda;
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსა-ვლეთმცოდნეობის ინტსტიტუტის ელექტრონული ჟურნალი „თანამეროვე ახლო აღმოსავლეთი“. სიმონ გურეშიძე,

„თალიბანი და „დიდი თამაში“ ავღანეთში“, 2013. გვ: 28. http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2222.pdf;
6. Critics of US-Taliban Deal Say Militants Can't Be Trusted Information about Russian bounties for dead Americans was included in a brief before the U.S.-Taliban deal was signed. By Deb Reichmann, July 06, 2020. https:// thediplo mat.com/ 2020/07/cri tics-of-us-taliban-deal-say-militants-cant-be-trusted/?fbclid=IwA R1fiEsF8UHe8GqOX-05WUklXf8vMlbxNAr3uAuLOo2iVUNd4 tpEOBahryQ Taliban peace talks: What to expect from the new round?By Secunder Kermani, BBC News. Published7 September. https:// www. bbc. com/ news/world-asia-54016760?f bclid= IwA R1vJ93Z6RtD-WJbWkh0pbjvpOc9GuWpy-XwfqVt-IsNVMg-Ps7IR pu5L-0;
7. Afghan-Taliban peace talks an 'opportunity for peace', Publi shed12September.https://www.bbc.com/news/world-asia5397696 8?fbclid=IwAR3eLYaOr6fk1Uw-iQ3T-wpLlTykiZAhNb5ZhXjni Yz0b1iYnxiopx0fImk;
8. AFGHANISTAN'S TERRORISM CHALLENGETHE POLITICAL TRAJECTORIES OF AL-QAEDA,THE AFGHAN TALIBAN, AND THE ISLAMIC STATE ASFANDYAR MIR, Middle East Institute. OCTOBER 2020, POLICY PAPER. Page: 5-8. https:// www. mei.edu/sites/default/files/202010/Afghanistan%27s%20Terrorism %20Challenge.pdf;
9. ანტისაბჭოთა ყოფილი საველე მეთაურის ჯალალ უდ-დინ ჰაქქანის მიერ 1995 წელს დაარსებული დაჯგუფება, რომე-ლიც არა მხოლოდ 1996 წელს დაჯგუფებამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ტალიბებს ქაბულზე კონტროლის დასამ-ყარებლად. ჰაქქანის, ტომობრივ საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა 2001 წლამდე. ქსელის აქტივობების გრძელ სიაში შედის სისხლიანი თავდასხმები საელჩოებზე ქაბულში (გერმანიის სალეჩო), ავღანეთის პარლამენტის შენობაზე, ამერიკულ ბაზებზე და ადგილობრივ მაცხოვრებლებზე. What Is the Haqqani Net work?By Madeeha Anwar, Noor Zahid, June 01, 2017

06:30 PM https://www.voanew s.com/extremism-watch/what-haqqani-network;
10. Mullah Omar's son Yaqoob heads Taliban military ahead of expected talks with Kabul, The Associated Press, IslamabadFriday 17July2020.https://english.alarabiya.net/en/News/world/2020/07 /17/Mullah-Omar-s-son-Yaqoob-takes-charge-of-Taliban-ahead-of-expected-talks-with-Kabul;
11. 1960 წელს დაბადებული მულა ომარი ტალიბანის ლიდერი იყო 1994 წლიდან 2013 წლამდე (გარდაცვალებამდე). ხოლო საამირო დააარსა 1996 წელს. Mullah Omar dead: What we know, in 1 minute, 30 July 2015. https:// www. bbc. com /news /av/ world-asia-33711744;
12. A divided Taliban could unleash a new proxy war in Afghanistan New Atlanticist by Jared Schwartz and Yelena Biberman, Related Experts: Yelena Biberman. MON, JUN 29, 2020. https://www. atlanticcouncil.org/blogs/ newatlanticist/a-divided-taliban-could-un l eash-a-new-proxy-war-in-afghanistan/;
13. Taliban rebuke UN report on ties with al-Qaeda In a statement, Taliban reaffirm their commitment to abide by Doha agreement with US Shadi Khan Saif,02.06.2020. https://www.aa.com. tr/en/asia-pacific/taliban-rebuke-un-report-on-ties-with-al-qaeda/1862615;
14. Al-Qaeda still 'heavily embedded' within Taliban in Afghanistan, UN official warns By SecunderKermani, BBC News. Published29 October. https://www.bbc.com/news/world-asia-54711452;
15. The Taliban and al-Qaeda: Enduring Partnership or Liability?By Saurav Sarkar, June 16, 2020.https://thediplomat.com/2020/06/the-taliban-and-al-qaeda-enduring-partnership-or - liability/;
16. Taliban maintains close ties with al-Qaida, despite peace deal – UN Date 02.06. 2020 https://www. dw.com/en/ taliban-maintains-close-ties-with-al-qaida-despite-peace-deal-un/a-53660541;
17. Who Is Responsible for the Taliban?Michael Rubin, Middle East Review of International Affairs. March 2002 https://www.w

ashingtoninstitute.org/policy-analysis/view/who-is-re sponsible-for-the-taliban;
18. THE IMPLEMENTATION OF THE TAPI GAS PIPELINE PROJECT SUCCESSFULLY CONTINUEShttps: //turkey. tmem bassy.gov.tm/en/news/64810;
19. Russia and the TAPI Pipeline, Publication: Eurasia Daily Monitor Volume: 12 Issue: 227. By: Stephen Blank December 18, 2015 10:48 https://jamestown.org/program/russia-and-the-tapi-pipeline/ Afghanistan Begins Construction of Russia-bypassing TAPI Pipeline, February 23, 2018https://russiabusinesstoday.com/ construction/afghanistan-begins-construction-russia-bypassing-tapi-pipeline/;
20. Russia ready to take part in TAPI gas pipeline project – Putin, TURKMENISTAN21 December 201817:47https://en.trend.az/ casia /turkmenistan/2996682.htmlRussia's ChTPZ Completes Shipment ofPipesforTAPIGasPipeline,BUSINESSTURKM ENI STAN.13:4 626. 12.2019https://business. com.tm/post/4906/russias-chtpz-completes-shipment-of-pipes-for-tapi-gas-pipeline;
21. Why the Taliban Won't Cut Ties with Iran Iran and the Taliban share interests and see common threats in the wider region, they won't split so easily. By Kashif Hussain, February 15, 2020. https://thediplomat.com/2020/02/why-the-taliban-wont-cut-ties-with iran/?fbclid=IwAR2pC QacNK1kRI4 bZibccb4 Npmx7SMjo2RrATaDno VO1PTn knSsF7 QXvKdc;
22. TAPI in the Aftermath of US-NATO Forces Withdrawal from Afghanistan, By: Said M. Azam.Postedon:17-09-2020https:// aiss. af/aiss/news_details/opinions/5f6379 b55092b?fbcl id=IwAR3 eIccpmBoFUQrCtlOvPz2CknvbuPdQguq2yMCVIK0jA9eAFrtLZA PvoSsPrim akov Readings: TAPI's future to remain hostage of politics for long time – experts, 11 Jun 2020 18:53. https: //interfax.com/newsroom/top-stories/69003/;
23. Will US-Taliban deal limit India's leverage in Afghanistan?By Ruchi Kumar, 27 Apr 2020 https://www. aljazeera. com/ news/ 2020/4/27/will-us-taliban-deal-limit-indias-leverage-

inafghanistan?fbclid=IwAR3csNkrJNO9mvIaed9s6AunTk8ct6uZb Dc56wQ4B-vKGgHEjp 6 UPOM ZOmM;
24. Pakistan's PM Khan visits Afghanistan as peace talks with Taliban stall, NOV 19, 2020. https://www.dailysabah.com/world/asia-pacific/pakistans-pm-khan-visits-afghanistan-as-peace-talks-with-taliban-stall;
25. Turkish companies ready to participate in TAPI implementation, 14 February 2018 13:20 https://www. azernews.az/region /127 177.html;
26. Erdogan arrives in Pakistan on 2-day official visit Pakistan's premier Imran Khan welcomes Turkish President RecepTayyip Erdogan at Nur Khan Airbase IslamuddinSajid and Aamir Latif, 13.02.2020.https://www.aa.com.tr/en/asia-pacific/erdogan-arrives-in-pakistan-on-2-day-official-visit/1733024Turkey-Pakistan friend ship: From past to present, FEB 13, 2020.https://www. dailysa bah.com/op-ed/2020/02/13/turkey-pakistan-friendship-from-past-to-present Opinion: Erdogan and Khan are hypocritical about Macron's France, Author Shamil Shams. Date 27.10.2020. https://www. dw. com/en/opinion-erdogan-and-khan-are-hypocr iti cal- about-macrons-france/a-55408436;
27. The roots of Afghanistan's tribal tensions The violence that plagues the country owes much to foreign influences, Aug 31st 2017; BY A.V.. https://www.economist.com/the-economist-explains/2017/08/31/the-roots-of-afghanistans-tribal-tensions Tribalism in Afghanistan Tribalism in Afghanistan, The Cultural Geography of Afghanistan. PDF https://www. ohiohig hered.org/sites/ohiohighered.org/files/uploads/military/Toolkit/Ap pendixK.pdf ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტი, პოლიტიკა კავკასიის ირგვლივ, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომათა კრებ-ული, 2019. Simon Gureshidze-Libya and the Impact of Tribal Conflict on the "Arab Spring".P:82-83.http:/ /press .tsu.ge/data /image_db_innova/PRINT-Marina-Chkoniasgan-Manchkhashvili-

IV.pdf?fbclid=IwAR033sXnAFAEtursUEFzfrYgfW-F6OaUMNO KVo6FaQnqJwpCLT l1kkfM bwQ;
28. Who Is Responsible for the Taliban? Michael Rubin, Middle East Review of International Affairs. March 2002 https:/ /www. washingtoninstitute.org/policy-analysis/view/who-is-responsible-for-the-taliban.

Simon Gureshidze

U.S.-Taliban peace deal, successful move or the beginning of the new challenges?

Abstract

The article begins with a short description of details of the U.S.-Taliban peace deal. Separately is discussed the short story of the U.S. -Taliban relations from the mid of 1990-ies, till 2020; with the main reasons, how as Al-Qaeda and Taliban were formed in Afghanistan.

Recently, the main part is devoted to understand influence of internal actors-Al-Qaeda, Taliban, Haqqani network, on the future political life of Afghanistan. And the Relations between listed movements, beyond the U.S.-Taliban peace agreement. Also, the main part examines the expectations of analysts and international organizations about the Taliban and Al-Qaeda's future behavior.

The final section covers the influence of external actors and interests of the regional key players on the country. In particular, TAPI-Turkmenistan, Afghanistan, Pakistan, India gas pipeline. The main focus in on perspectives of the involvement and participation not only above listed countries, but also China, Iran, Turkey and Russia and expectable consequences in the aftermath of Taliban-Al-Qaeda, Taliban-Iran, Russia-U.S., India-Pakistan, Turkmenistan-China, Turkey-Pakistan relations. And finally what kind of soil can prepare factionalized Afghan society for regional and international key players.

ბექა მაკარაძე

თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ პერიოდში

აბსტრაქტი

თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის აქტიური სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე იწყება.

ტრუმენის დოქტრინის და მარშლის გეგმის მეშვეობით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს გაუწია დიდი ფინანსური დახმარება, რომელმაც 1947 წელს შეადგინა 100 მილიონი დოლარი და მისი დიდი ნაწილი ქვეყანაში სამხედრო საქმის განვითარებას მოხმარდა.

1951 წლის მაისში აშშ-მა თურქეთს მისცა რეკომენდაცია შესულიყო ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკში (ნატო) და 1951 წლის ოქტომბერში ლონდონში ხელი მოაწერეს ოქმს თურქეთის ნატოში მიღების შესახებ.

1952 წლის 18 თებერვალს თურქეთის მეჯლისმა მოახდინა ნატოში გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიკაცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივი ნეიტრალიტეტი შეცვალა პროდასავლური კურსით. დაიწყო თურქეთ - აშშ-ის სწრაფი დაახლოება, რომელიც „ცივი ომის“ მთელ პერიოდში განისაზღვრებოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის საფრთხით.

1980 წლიდან თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი სიახლეები გამოიკვეთა. როგორც თურქეთის, ასევე აშშ-ის პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებმა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა უფრო მრავალფეროვანი გახადა. მართალია, ის წინა პერიოდებში არსებული ურთიერთობების ელემენტებს ეყრდნობოდა, მაგრამ მაინც ახალი ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინანდელისაგან.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი; ამერიკის შეერთებული შტატები; ცივი ომი.

შინაარსი

ამერიკის შეერთებული შტატები დღევანდელ მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოა, რომლის უპირატესობა და გავლენა ნებისმიერ ქვეყანაზე იგრძნობა.

1783 წელს დამოუკიდებლობისათვის ომში ამერიკელი ხალხის გამარჯვების შედეგად შექმნილ ამერიკულ სახელმწიფოს ხშირად უწევდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობა. გამომდინარე აქედან, ოსმალეთის იმპერიაც ავტომატურად მოექცა ამ ურთიერთობათა სფეროში[**Acmaoglu,1984:53**].

ზოგადად თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში აშშ - თურქეთის ურთიერთობებზე საუბრისას ხაზი ესმება შემდეგ გარემოებას: ამ ორ სახელმწიფოს შორის ნებისმიერ სფეროში ურთიერთობის ამოსავალი წერტილი გახლდათ ის, რომ მაშინ, როდესაც ოსმალეთის იმპერია ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მსოფლიოში საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა, ამერიკა ჯერ კიდევ არა გლობალურ, რეგიონული სიძლიერის მქონე სახელმწიფო იყო.

ოსმალეთის იმპერიისა და ახალგაზრდა ამერიკის სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, საწყის ეტაპზე გარკვეულწილად რელიგიურ - მისიონერულ სახესაც ატარებდა. ამერიკელი პროტესტანტების სამიზნეს ბიბლიაში ნახსენები წმინდა ადგილები, იმ პერიოდში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი, სალონიკი, იზმირი, მილეთი (დღევანდელი მუღლა) და ოდიკია (დღევანდელი დენიზლი) წარმოადგენდა. ბუნებრივია, მუსლიმური ოსმალეთის იმპერია ახალბედა ამერიკის სახელმწიფოს ამ მისიონერულ ზრახვებს წინ აღუდგა, თუმცა ამერიკელების გულის მოსაგებად, ოსმალებმა თავიანთ იმპერიაში მცხოვრები მართლმადიდებელი სომხების პროტესტანტულ რელიგიაზე მოქცევის უფლება და შესაბამისად პროტესტანტული მისიის შესრულების უფლება მისცეს. მაგალითად, თუ 1845 წელს ოსმა-

ლეთში 50-მდე ამერიკელი პროტესტანტი მისიონერი იყო, უკვე 1890 წელს მათი რაოდენობა 1000-მდე გაიზარდა. შეიქმნა მისიონერთა სკოლები, სადაც იმავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა 813-დან 16990-მდე გაიზარდა[**Gündüz,2007:188**].

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კურსზე საუბრისას, უპირველესად მისი გეოსტრატეგიულ მდებარეობაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. თურქეთი, როგორც ინგლისელი გეოგრაფი ჰალფორდ მაკინდერი[**Halford J.M.,1962:150-165**] (1961-1947) აღნიშნავს, ევრაზიასა და აფრიკას შორის „მსოფლიო კუნძულს“ წარმოადგენს. ის ხმელთაშუა და შავი ზღვების შესაყარზე მდებარე ბალკანეთის, კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ხიდია[**Kaya,2017:3**]. პროფესორი ჟაკ ატალი [**Atallı,J.,2006:12**] თავის პროგნოზებში წერს, რომ თუ XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო გეოპოლიტიკის ცენტრი ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა და რუსეთი იყო, XXI საუკუნის დასაწყისში ამ მისიას ამერიკა, ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი და ისლამური სამყარო იტვირთავს[**Denk N.,2000:20-21**]. აქედან გამოდინარე, ისლამური და ქრისტიანული სამყაროს გზაჯვარედინზე მდებარე თურქეთი დასავლეთიდან - ევროპული, ჩრდილოეთიდან - რუსული, აღმოსავლეთიდან - აზიური და სამხრეთიდან - აფრიკული და არაბული კულტურის გადაკვეთის წერტილს წარმოადგენს[**Kaya,2017:9**]. მსოფლიოსთვის თურქეთი, გეოგრაფიულად დამაკავშირებელ ხიდს, კულტურული თვალსაზრისით - ცენტრს, ეკონომიკურად - სატრანზიტო გზას, ხოლო გეოპოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით - სასიცოცხლო რეგიონს წარმოდგენს. ყველაფერი ეს კი უსაფრთხოების მუდმივ საშიშროებას ქმნის, რის გამოც, თურქეთი საკუთარი სტაბილურობის შესანარჩუნებლად სხვადასხვა გზებისა და მეთოდების ძიებაშია[**Kaya.,2017:12**].

თურქეთ-ამერიკას შორის აქტიური სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე იწყება. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ი. სტალინისგან ზრახვას, ბოსფორის სრუტის, თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონებზე ტერიტორიების საკითხს და „საბჭოთა გავლენის“

მოპოვებას, ამერიკა მთელი ძალით აღუდგა წინ. ამას ხელს უწყობდა 1947 წლის ტრუმენის დოქტრინა და მარშლის გეგმა [**Türkman,2007:160-161**].

ტრუმენის დოქტრინის და მარშლის გეგმის მეშვეობით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს გაუწია დიდი ფინანსური დახმარება, რომელმაც 1947 წელს შეადგინა 100 მილიონი დოლარი და მისი დიდი ნაწილი ქვეყანაში სამხედრო საქმის განვითარებას მოხმარდა.

ტრუმენის დოქტრინა „ცივი ომის" დროინდელი სტრატეგიაა, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა წყობისა და კომუნიზმის შეჩერება. დოქტრინა 1947 წლის 12 მარტს გაიგზავნა კონგრესში აშშ-ის პრეზიდენტის - ჰარი ტრუმენის მიერ.

1947 წლის ივლისში მარშლის გეგმის - ე.წ. ევროპის აღდგენის პროგრამის მიზანი იყო არა მხოლოდ კონტინენტის ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარება, არამედ ევროპის მასშტაბით კომუნიზმის მოგერიება[**Ertem,2007:337-397**].

ტრუმენის დოქტრინის და მარშლის გეგმის ჩარჩოებში ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთს, საბერძნეთთან ერთად, სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას უწევდა. ამის დადასტურება იყო 1946 წელს ამერიკული სამხედრო გემების სტამბოლში შემოსვლა (მას შემდეგ, რაც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა მსოფლიოს განუცხადა, რომ მოკავშირეები რკინის ფარდით ორად გაიყო და, ფაქტობრივად, ამით „ცივი ომის" დაწყება გამოაცხადა).

1946 წელს ამერიკული სამხედრო გემების შემოსვლა სტამბოლში, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თურქეთის დასახმარებლად, ამ ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დაწყების სიმბოლოდ იქცა[**Bağci,2009:3**].

ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთი, ჯერ კიდევ ნატოში შესვლამდე იყო ერთადერთი სახელმწიფო ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1950 - 1953 წლების კორეის ომში.

1951 წლის მაისში აშშ-მა თურქეთს მისცა რეკომენდაცია შესულიყო ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკში (ნატო)

და 1951 წლის ოქტომბერში ლონდონში ხელი მოაწერეს ოქმს თურქეთის ნატოში მიღების შესახებ.

1952 წლის 18 თებერვალს თურქეთის მეჯლისმა მოახდინა ნატოში გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ნატოში შესვლის შემდეგ თურქეთი აქტიურად მონაწილეობდა აშშ-ისა და ინგლისის ინიციატივით შექმნილ სამხედრო ბლოკებში - ბაღდადის პაქტსა (1955 წლის 24 თებერვალი) და სენტოში (სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება ახლო და შუა აღმოსავლეთში) (1959 წლის 24 მარტი)[**მაჩიტიძე,2005(ა):112**].

თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ყველა იმ აქციაში, რომლებიც მოაწყვეს დასავლეთის სახელმწიფოებმა ახლო აღმოსავლეთში.

1948-1959 წლებში აშშ-ის დახმარებამ თურქეთისადმი შეადგინა 2885,5 მლნ. დოლარი, აქედან 1878,3 მლნ. დოლარი სამხედრო საჭიროებებს მოხმარდა[**სანიკიძე,2011:351**], დარჩენილი თანხა კი ეკონომიკის განვითარებას, გზების, ჰაეროდრომებისა და ნავსადგურების მშენებლობებს, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ.

თურქეთისადმი აშშ-ის სამხედრო დახმარება 80-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 1980-1985 წლებში აშშ-ის დახმარებამ 2,6 მლრდ. დოლარი შეადგინა[**მაჩიტიძე,2005 (ბ):113**].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივი ნეიტრალიტეტი შეცვალა პროდასავლური კურსით. დაიწყო თურქეთ - აშშ-ის სწრაფი დაახლოება, რომელიც „ცივი ომის“ მთელ პერიოდში განისაზღვრებოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის საფრთხით.

1980 წლიდან თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი სიახლეები გამოიკვეთა. როგორც თურქეთის, ასევე აშშ-ის პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებმა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა უფრო მრავალფეროვანი გახადა. მართალია, ის წინა პერიოდებში არსებული ურთიერთობების ელემენტებს

ეყრდნობოდა, მაგრამ მაინც ახალი ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინანდელისაგან.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი ადრინდელზე უფრო აქტიურ და ეფექტურ პოლიტიკას ატარებდა და ზოგ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული უპირატესობის მოპოვებას იმედოვნებდა, მაგრამ, როგორც წესი, იგი ვერ იღებდა იმ დონის მხარდაჭერას, რომელსაც ელოდა აშშ-ისგან და შესაბამისად, მიზნის მიღწევასაც ვერ ახერხებდა.

1980-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი თავისებურება აშშ-ის როლი იყო, რომელმაც განსაზღვრა ეპოქის პოლიტიკური ცხოვრება. მისი მიზანი „ცივი ომის“ მოგება და მოწინააღმდეგე ბლოკის, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის დამარცხება იყო. სამომავლო გეგმები მან ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დასრულებამდე დასახა, თურქეთს კი ამავე პერიოდში განსხვავებული პოლიტიკური პრობლემები ჰქონდა და ამიტომაც 1980 - 1989 წლების მსოფლიო პოლიტიკას ის ფეხს ვერ აუწყობდა.

1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებამ ცვლილებები შეიტანა როგორც თურქეთის შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ასევე მის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკაშიც. შემდგომი ათი წლის განმავლობაში თურქეთის და აშშ-ის ურთიერთობებზე ზეგავლენას ახდენდა როგორც თურქეთში არსებული მმართველობის შეცვლისა და დემოკრატიისაკენ დაბრუნების პრობლემები, ასევე საერთაშორისო არენაზე განვითარებული მოვლენები[**მაჩიტიძე,2005(ბ):122**].

ახალი პოლიტიკური მიდგომის ფარგლებში აშშ-ის მიერ თურქეთისთვის განკუთვნილი როლი ამ პერიოდის ყველაზე თვალშისაცემ მახასიათებელს წარმოადგენს. თურქეთის მეზობლობა ახლო აღმოსავლეთთან აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ახალი ცვლილებების საფუძველი გახდა. დასავლეთის ქვეყნები თურქეთს უყურებდნენ როგორც დასავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის საზღვარზე მდგარ ქვეყანას და მასთან დაკავშირებით გეგმებს განიხილავდნენ იმ დამოკიდებულების მიხედვით, რომელიც ჰქონდა დასავლეთს ახლო აღმოსავლეთის მიმართ. უფრო

მეტიც, თითო - ოროლა გამონაკლისის გარდა, იგი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებში ჩაურევლობას ამჯობინებდა. ამიტომაც იყო, რომ 1980 - იანი წლების დასასრულისკენ მისი გააქტიურება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და აშკარა ჩარევა იქ მიმდინარე პროცესებში შეიძლება მივიჩნიოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში გარდატეხის წერტილად.

აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობებზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზეგავლენას ახდენდა საბერძნეთთან არსებული უთანხმოება (ეგეოსის ზღვისა და კვიპროსის პრობლემები), აგრეთვე, აშშ-თან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის არასტაბილურობა და სამხედრო სფეროში არსებული საკამათო საკითხებიც. ამიტომ, თურქეთი იძულებული გახდა ეზრუნა ისეთი პრობლემების გადაჭრისათვის, როგორიცაა: სომეხთა გენოციდი, ქურთი სეპარატისტების მოქმედებები და ირანის საკითხი. რა თქმა უნდა, ამისათვის თურქეთს დიდი ფინანსები სჭირდებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო 1980-იანი წლები თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობა სერიოზული პრობლემების თანხლებით ვითარდებოდა და ამიტომაც ეს პერიოდი, როგორც ვთქვით, ორი ქვეყნის ურთიერთობისთვის გამოცდად იქცა.

1980-იანი წლები აშშ-მა ახალი მმართველობითა და წინა პერიოდიდან დარჩენილი სერიოზული ეკონომიკური პრობლემებით დაიწყო. მაშინ, როდესაც 1980 წელს არჩევნებში რონალდ რეიგანმა გაიმარჯვა, ამერიკის ეკონომიკის ზრდა თითქმის შეჩერებული იყო, ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებელი კი - მეტად გაზრდილი. რეიგანისა და მისი გუნდისათვის (ე.წ. „ახალი მემარჯვენეები“) უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ეკონომიკის გამოცოცხლება და აღორძინება, ასევე ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მსოფლიო ლიდერობისათვის ბრძოლაში აშშ-ს უპირატესობას შეუნარჩუნებდა. 1979 წელი შეერთებული შტატებისათვის რთული წელი გამოდგა. მისმა კონკურენტმა, საბჭოთა კავშირმა, ავღანეთში ჯარების შეყვანით მანამდე აქ არსებული ძალთა ბალანსი დაარღვია. ვითარება შეიცვალა ირანშიც, რომელიც იმ დრომდე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ის უახლოეს მოკავშირედ მიიჩნეოდა. აქ მომხდარმა რევო-

ლუციამ ქვეყნის ხელმძღვანელობა შეცვალა. თეირანში აშშ-ის საელჩოს შენობაში ამბოხებულებმა 50 ამერიკელი მძევლად აიყვანეს. ამ ფონზე ურთიერთობის ერთადერთი ფორმა, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა (და ჰქონდა კიდეც) აშშ-ს ირანის ახალი ხელისუფლების მიმართ, იყო მტრობა. ამ სიტუაციის ფონზე აუცილებელი გახდა, აშშ-ს უფრო მტკიცე ნაბიჯები გადაედგა თურქეთთან მიმართებით, რათა კიდევ უფრო გაემყარებინა პოზიციები ახლო აღმოსავლეთთან[**მაჩიტიძე, 2005(ბ):125**].

1980 წლის 23 იანვარს, აშშ-ის პრეზიდენტმა - ჯიმი კარტერმა ახალი განცხადება გააკეთა, რომელსაც კარტერის დოქტრინის სახელით იცნობენ, რომლის მიხედვით, აშშ შეეწინააღმდეგებოდა ყველა პროცესს, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის, განსაკუთრებით, სპარსეთის ყურისათვის, და ამისათვის იგი ყველა საშუალებას გამოიყენებდა, იარაღის ჩათვლით. ეს პროცესები ზეგავლენას მოახდენდა თურქეთზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყანა და ამავე დროს აშშ-ის მოკავშირე და ნატოს წევრი იყო. უფრო მეტიც, შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა და დემოგრაფიული მდგომარეობა თურქეთს აიძულებდა, მუდმივად ედევნებინა თვალყური ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებისათვის. შესაბამისად, აშშ-ის პოლიტიკამ და თურქეთის ხელი უფლების გეგმებმა (რეგიონში ამ ქვეყნის როლთან დაკავშირებით) საჭირო გახადა, რომ თურქეთს რეგიონული მასშტაბით ახალი როლი ეკისრა. ამ პერიოდში დაიწყო ე.წ. „სარტყელის“ პროექტის განხორციელება, რომელიც შემუშავდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდის აღსაკვეთად და სპარსეთის ყურიდან დასავლეთის მიმართულებით ნავთობის ნაკადის უწყვეტი და უსაფრთხო მიწოდები უზრუნველსაყოფად. ეს პროექტი, „მწვანე სარტყელი“, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონში ზომიერი ისლამური ჯგუფების მხარდაჭერას და ამ ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განვითარებას, 1977 წელს ჯ. კარტერის მრჩეველმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ შეიმუშავა. აღნიშნული პროექტის განხორციელება 1979-1980 წლებიდან დაიწყო, მას საბჭოთა

კავშირის ალყაში მოქცევასთან ერთად სპარსეთის ყურის ნავთობისთვის გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფა უნდა შეძლებოდა და მიზნად ისახავდა ისლამური ელემენტებისაგან შემდგარი კედლით საბჭოთა გავლენის შემცირებას, მაგრამ, დაგეგმილისაგან განსხვავებით, რადიკალური და ზომიერი ისლამური ჯგუფების განცალკევება და კლასიფიცირება შეუძლებელი აღმოჩნდა. „სარტყლის“ გასწვრივ არსებულმა ისლამურმა ჯგუფებმა რადიკალიზმი აირჩიეს[Çağrı,2003:10], თურქეთში კი 1980 წლის 12 სექტემბერს მოსული ხელისუფლება სწორედაც რომ მიესადაგებოდა აშშ-დან წამოსულ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის ალყაში მოქცევის პოლიტიკის სამხედრო დასაყრდენი იყო „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტი, რომელიც ზუსტად დაემთხვა „ახალი მემარჯვენეების“ მიდგომას და გაზარდა სამხედრო ხარჯები. აშშ-ს ესაჭიროებოდა ახალი ბაზები და სამხედრო საშუალებები, რაც მთავარია, რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერა, რათა სპარსეთის ყურესა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში უფრო სწრაფი და ეფექტური ჩარევის შესაძლებლობა ჰქონოდა.

პირველად „სწრაფი რეაგირების ძალები“ სპარსეთის ყურეში გამოიყენეს. თუმცა, აღნიშნული წარმონაქმნი არ უნდა ყოფილიყო ნატოს საშუალებებისა და შესაძლებლობებისგან დამოუკიდებელი, მაგრამ პრობლემები მაინც შექმნა. იგი გასცდა ნატოს მოქმედების ფარგლებს. თურქეთი ამ პროექტს მეტად სერიოზულად მიუდგა[Sönmezoğlu,2006:293]. ის აცნობიერებდა, რომ რეგიონის ქვეყნებიც კი ამ პროექტს დიდი აღტაცებით არ ხვდებოდნენ. უფრო მეტიც, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში ჩარევის შემთხვევაში უნდა გამოეყენებინათ თურქეთის ბაზები და ეს ფაქტი თურქეთს მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა. თურქეთი აშშ-ის წარმომადგენლებს უცხადებდა, რომ იგი კვლავ შეუერთდებოდა ნატოს გადაწყვეტილებებს, რადგან სხვა ნაბიჯის გადადგმა საწინააღმდეგო რეაქციას გამოიწვევდა და თურქეთის მდგომარეობას დაამძიმებდა[Uzgel,2001 :55].

მთელი ამ მცდელობის მიუხედავად, თურქეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტისათვის. იგი „სარტყელში“ შემავალ ქვეყანას წარმოადგენდა და 1980 წლის შემდეგ „ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის“ შეხვედრებში პრემიერ-მინისტრის დონეზე იღებდა მონაწილეობას. ამის გათვალისწინებით, სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისათვის თურქეთს გარკვეული დრო სჭირდებოდა. შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში სამხედრო შესაძლებლობების გაზრდა.

1982 წლის 29 ნოემბერს, ბრიუსელში აშშ-სა და თურქეთს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლითაც გათვალისწინებული იყო აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონში 10 აეროდრომის განახლება და მუშსა და ბათმანში ორი ახალი სამხედრო აეროდრომის მშენებლობა. ეს დოკუმენტი პირველი ნაბიჯი გახდა თურქეთის „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტში შესასვლელად.

1981 წელს აშშ-ის ახალ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა „ახალი მემარჯვენეობის“ იდეის ერთგული - რონალდ რეიგანი. თურქეთში კი 1983 წელს ჩატარებული არჩევნებით სამოქალაქო მმართველობა დაბრუნდა და შეიქმნა ახალი მთავრობა პრემიერ - მინისტრ თურგუთ ოზალის ხელმძღვანელობით. რეიგანი „ცივი ომის“ დასრულებამდე აშშ-ის პრეზიდენტი იყო, ხოლო ამავე პერიოდში თურქეთს სათავეში უკვე პრეზიდენტის რანგში თ. ოზალი ედგა. მთელი ამ ხნის განმავლობაში აშშ-ის დამოკიდებულება თურქეთისადმი საკმაოდ ზომიერი და გაწონასწორებული იყო.

1983-1989 წლებს თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობის ისტორიაში „ოქროს ხანად“ მოიხსენიებენ.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი თურგუთ ოზალი ცდილობდა, გაეტარებინა პრაგმატული საგარეო პოლიტიკა და განეხორციელებინა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რომელიც გათვალისწინებული იყო „ეკონომიკის სტაბილიზაციის“ პროგრამით. იგი ცდილობდა აშშ-თან ურთიერთობაში წინა პლანზე წამოეწია ეკონომიკური ინტერესები, ოზალი აცხადებდა, „ჩვენს ურთი-

ერთობას დასავლეთთან, პირველ რიგში, აქვს ეკონომიკური ინტ-ერესები“[**მაჩიტიძე,2005(ა):111**].

1985 წლის ივლისში აშშ-მა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას ინვესტიციების შესახებ. ამ პერიოდში დიდი რაოდენობის ინვესტიცია იქნა ჩადებული სამხედრო მრე-წველობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკული ინვესტიციები, რაოდენობის მხრივ, პირველ ადგილზე იყო თურქეთში.

ნიშანდობლივია, რომ 80-იან წლებში აშშ-ის სტრატეგიაში თურქეთის გავლენის ზრდასთან ერთად, გაიზარდა აშშ-ის სამხედრო დახმარებაც თურქეთის მიმართ, რომელმაც 1981-1988 წლებში 4 მლრ. დოლარს გადააჭარბა. თურქეთი მესამე ადგილზე გავიდა ამერიკული სამხედრო დახმარების მხრივ, ისრაელისა და ეგვიპტის შემდეგ.

ყოველივე ამის შედეგად, შესაძლებელი გახდა თურქეთის სამხედრო ბაზების რეორგანიზაცია და სამხედრო მრეწველობის თანამედროვე დარგების შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ 80-იან წლებში აშშ-ის დახმარება თურქეთის სამხედრო პერსონალის მოსამზადებლად 7 მლნ. დოლარამდე გაიზარდა[**მაჩიტიძე,2005 (ბ):115**].

80-იან წლებში აშშ ცდილობდა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა თურქეთის მიერ ახლო აღმოსავლეთის პოლი-ტიკაში „ისლამური ფაქტორი“ ახლო და შუა აღმოსავლეთში ამე-რიკული ინტერესების ერთგვარი „ფარის“ შესაქმნელად.

1980-1988 წლებში, ირან - ერაყის ომის დროს, თურქეთი ნეი-ტრალიტეტის პოზიციაზე იდგა, თუმცა ინარჩუნებდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს ორივე ქვეყანასთან.

აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თურქეთ-ისრაელის ურთ-იერთობას, რადგანაც მისი ამ სტრატეგიული პარტნიორების თანამშრომლობაზე იყო დამოკიდებული აშშ-ის პოლიტიკის წარმატება შუა აღმოსავლეთის რეგიონში. თურქეთი კი, თავის მხრივ, ცდილობდა სხვასთან ერთად გამოეყენებინა ებრაული ლობის მხარდაჭერა აშშ-ის კონგრესში.

1985 წელს ვაშინგტონში ვიზიტად მყოფმა ოზალმა აშშ-ში ებრაული ლობის მიერ თურქეთისათვის მხარდაჭერის საკითხი განიხილა. მისი მიზანი იყო, ებრაული მხარდაჭერის უზრუნველყოფითა და თურქეთ-ისრაელს შორის ურთიერთობების დაახლოებით, გაეძლიერებინა სომხური და ბერძნული ლობის წინაშე დასუსტებული აშშ-ში მოქმედი თურქული ლობი. ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებული გეგმების ფარგლებში აშშ განსაკუთრებულად უჭერდა მხარს თურქეთ - ისრაელის დაახლოებას.

მიუხედავად იმისა, რომ თურგუთ ოზალს აშშ-თან თანხმობა ჰქონდა და დროის ამ მონაკვეთს ახლო ურთიერთობების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, აღნიშნულ პერიოდს უპრობლემოდ მაინც არ ჩაუვლია. 1980 წელს ხელმოწერილი თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმების (SEI) ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე თურქეთმა აშშ-ს ცვლილებების შეტანის მოთხოვნით მიმართა. თურქეთი, რომელიც ემხრობოდა აშშ-თან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ამავე დროს, მისგან დახმარების გაზრდას ითხოვდა. თურქეთის მიერ აშშ-ისთვის გაგზავნილ ათპუნქტიან მოთხოვნას აშშ თავშეკავებით შეხვდა. აშკარა ხდებოდა, რომ ვაშინგტონი არ იჩენდა სათანადო ძალისხმევას, რათა აშშ-ის ტერიტორიაზე თურქულ პროდუქციას ექსპორტისათვის არსებული წინააღმდეგობები დაეძლია. აშშ სხვადასხვა ტექნიკური დეტალების მომიზეზებით აცხადებდა, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო თურქეთის ტექსტილის ნაწარმის ექსპორტისათვის არსებული ბარიერების მოხსნა. აშშ-ის ასეთი გულგრილი მიდგომის საპასუხოდ თურქეთმა SEI-ს მოქმედება მხოლოდ ერთი წლით გააგრძელა. აშშ-თან ურთიერთობაში დაძაბულობა გრძელდებოდა. შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ 1987 წელს თურქეთისთვის გადასაცემი გრანტისა და დახმარების რაოდენობა შეამცირა. უფრო მეტიც, თურქეთისთვის დახმარების საკითხის განხილვისას დღის წესრიგში კვლავ დადგა 1983 წლიდან კვიპროსზე თურქული ჯარის ყოფნის საკითხი (მას შემდეგ, რაც 1983 წლის 15 ნოემბერს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქთა რესპუბლიკა“ გამოცხადდა, ბერძნული ლობი თურქეთის წინააღმდეგ გააქტი-

ურდა. უფრო მეტიც, აშშ-ის კონგრესში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. თუმცა ეს არ ყოფილა შეერთებული შტატების დახმარების შემცირების ერთადერთი მიზეზი, კვიპროსის საკითხი ყველა პერიოდში, მინიმუმ ერთხელ, დღის წესრიგში დგებოდა და დახმარების საკითხის განხილვისას ამ პრობლემას ასახელებდნენ, როგორც წინაპირობას, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა ორმხრივ ურთიერთობაზე).

1987 წელს აშშ-ის დახმარების შემცირებით შეწუხებულმა თ.ოზალმა შეერთებული შტატებისაგან მოითხოვა უფრო მეტი და უფრო ხელსაყრელი პროცენტით ფინანსური დახმარება და ამავე დროს, სამხედრო ვალების ნაწილის ჩამოწერა. ბუნებრივია, რომ ამ მცდელობამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. თურქეთმა და აშშ-მა 1987 წლის მარტში, დამატებითი დოკუმენტების გაცვლით, ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება (SEI) 1990 წლამდე გააგრძელეს. დამატებითი დოკუმენტის დანართის ოქმში მხარეები გარკვეულ საკითხებზე შეთანხმდნენ. მათ შორის იყო ინჯირლიკის ავიაბაზაზე - 4 თვითმფრინავის -16-ით გაზარდა. გარდა ამისა, თურქეთს, დახმარების სახით, დაახლოებით 400 მილიონი დოლარი უნდა მიეღო, მაგრამ SEI -ს ხელმოწერის შემდეგ აშშ-ის კონგრესმა თურქეთისთვის გამოყოფილი დახმარება მნიშვნელოვნად შეამცირა[Uzgel,2001:57]. უფრო მეტიც, დაასახელა დახმარების გაცემის შემდეგი პირობები: კვიპროსზე უნდა შეემცირებინათ თურქი სამხედროების რაოდენობა, ასევე, იქ არ უნდა გამოეყენებინათ თურქეთისათვის გადაცემული ამერიკული იარაღი. დამაბულობა ესკალაციის გარეშე დასრულდა, რადგანაც თ.ოზალის მთავრობა რისკზე აღარ წავიდა. მინისტრთა კაბინეტმა წერილიც და ფარული ოქმიც 1988 წლის დასაწყისში დაამტკიცა. თ. ოზალის მთავრობა მიხვდა, რომ აშშ-თან, პრეზიდენტის დონეზე, უფრო კომფორტულ და გულითად ურთიერთობას დაამყარებდა, ვიდრე კონგრესთან.

ბერძნული ლობი ახერხებდა, რომ აშშ-ის კონგრესში კვიპროსის საკითხს აქტუალურობა არ დაეკარგა და მას მუდმივად იყენებდა თურქეთის წინააღმდეგ. ამის პარალელურად, სომ-

ხური ლობიც აგრძელებდა საქმიანობას და წარმატებებსაც აღწევდა. 1984 წლიდან, თითქმის ყოველ წელს, ამ ლობის გავლენით, ამერიკელი პოლიტიკოსები ააქტიურებდნენ სომეხთა გენოციდის პრობლემას. მათ არაერთხელ დააყენეს დღის წესრიგში საკითხი, რომ 24 აპრილი გამოცხადდეს გენოციდის დღედ. ეს ვითარება, რომელიც მუდმივად დისკომფორტს უქმნიდა თურქეთს, რეიგანის მმართველობის წლებში კონგრესს არ გასცდენია, თუმცა აშშ - თურქეთის ურთიერთობაში მუდამ სერიოზული დაძაბულობის წყარო იყო.

1989 წლის 20 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტად არჩეულმა ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუშმა საარჩევნო პერიოდში სომხური ლობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო.

1989 წლის ოქტომბერში აშშ-ის სენატის იუსტიციის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილების პროექტი - 24 აპრილი სომეხთა გენოციდის დღედ გამოცხადებულიყო. ამ ფაქტმა თურქეთის შეშფოთება გამოიწვია. ანკარამ გარკვეული ზომები მიიღო, რომელიც დროებითი აღმოჩნდა. იანვარში თ. ოზალი აშშ-ს ესტუმრა. დიდი მცდელობის მიუხედავად, გადაწყვეტილების პროექტი სენატის დღის წესრიგში არ ჩართეს. მაშინ, როდესაც თურქეთი ფიქრობდა, რომ კრიზისი დაძლეული იყო, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 24 აპრილს მსოფლიოს წერილობით აცნობა, რომ ეს დღე გამოცხადებულია ხსოვნის დღედ. აღნიშნული საკითხი დღესაც აქტუალურია აშშ - თურქეთის ორმხრივ ურთიერთობაში.

1985 წელს შეიქმნა თურქულ-ამერიკული ბიზნესსაბჭო და ამავე წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას თურქულ-ამერიკული ორმხრივი ინვესტიციების შესახებ, თუმცა ორივე დოკუმენტი შორს იყო იმ მოლოდინისაგან, რომელიც თურქეთს ჰქონდა. ამასთანავე, აშშ მოითხოვდა თურქული ეკონომიკის უფრო მეტ ლიბერალიზაციას, თურქეთისათვის უფრო მეტი სამხედრო პროდუქციის მიყიდვას და თურქეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ თურქეთთან ურთიერთობაში ცდილობდა თავისი ინტერესების გატარებას.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, თურქეთმა დიდი ზარალი ნახა იმ ეკონომიკური სანქციების გამო, რომლებიც აშშ-ის ინიციატივით დაწესდა 1990 წლიდან ერაყის მიმართ, და ეს მაშინ, როდესაც ერაყი წარმოადგენდა - თურქეთის უმთავრეს ნავთობ მომმარაგებელს, რომელსაც გარკვეულწილად სწორედ ამ სანქციების გამო ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული ირანთან რვაწლიანი ომის ჭრილობები.

1999 წლის 15 თებერვალს ანკარაში ერაყის ვიცე-პრემიერ ტარიკ აზიზის ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ აშშ, ერაყის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების დაბომბვით, რეგიონში დაძაბულობას ზრდიდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყოფითად შეაფასა ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლის ეს ვიზიტი და აღნიშნა, რომ თურქეთის მთავრობის ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების მოგვარებას შეაფერხებდა.

თავის მხრივ, თურქეთი არასოდეს არ გაამწვავებდა ურთიერთობას ნატოსთან, რადგან სწორედ ამ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაზე იყო დამოკიდებული, ძირითადად, მისი თავდაცვისუნარიანობის სიმტკიცე, აგრეთვე, წარმატება ევროკავშირთან მოლაპარაკებებში.

ევროპა ანკარას ბრალს სდებდა ადამიანთა უფლებების დარღვევაში, ვაშინგტონი კი შედარებით თავს იკავებდა ანკარის მძაფრი კრიტიკისაგან, რადგან არავითარი სურვილი არ გააჩნდა გაეფუჭებინა ურთიერთობები საკმაოდ დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ქვეყანასთან, რომელიც თითქმის ყოველთვის ამართლებდა მის იმედებს და იყო მისი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ამ რეგიონში.

დასკვნა

„ცივი ომის“ პერიოდში თურქეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მკაფიოდ გამოხატულ პროდასავლურ და განსაკუთრებით, პროამერიკულ პოლიტიკას ატარებდა. საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრებული „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსი რადიკალურად შეიც-

ვალა. ენერგეტიკისა და ნავთობის უზარმაზარი მარაგის მქონე და ახალ რეგიონულ ძალად მოვლენილი თურქეთის რესპუ-ბლიკა, „ცივი ომის“ შემდეგ, დიდი სტრატეგიის მქონე სახელ-მწიფოს - ამერიკის, დიდი ინტერესის სფერო გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაჩიტიძე, 2005(ა) - მაჩიტიძე ელ., 1980-იანი წლების თურქე-თი და აშშ (ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია), ამერიკის შესწავლის საკითხები III. თსუ გამომცემლობა, თბილისი;
2. მაჩიტიძე, 2005(ბ) - მაჩიტიძე ელ., „ოქროს ხანა“ ამერიკა - თურქთის ურთიერთობის ისტორიაში (ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია), რონალდ რეიგანი და 1980 - იანი წლების ამერიკა. თსუ გამომცემლობა, თბილისი;
3. სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011 - სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია - და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.-XXIს.-ის დასაწყისი), თბილისი;
4. Acmaoglu, 1984 - Acmaoglu, F. 20 Yüzyil Siyasi Tarihi 1914-1980, Is bankasi kültür yayirlari, Istanbul;
5. Bağci, 2009 - Bağci H. Ertem, „Türkiye Diş Politikasinda 1950'il yillar, ODTU yayinlar, 3 bölüm, Ankara;
6. Ertem, 2007 - Ertem, D. „Truman Doctrine and Marshall Planin Türkiye - USA Relations“, Balikesir Üniversitesi Sosyal Billimler Enstetüsü Dergesi. cit 2. №21, Haziran;
7. Köni, 2003 - Köni, H., Yeni Hegemonya ve Türkiye, Asam yayınları, Ankara;
8. Uzgel, 2001 - Uzgel, İ., “ABD ve NATO’yla İlişkiler”, Baskın Oran (Ed), Türk Dış Politikası Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar, Cilt II:1980-2001, İstanbul: İletişim Yayınları;
9. Sönmezoğlu, 2006 - Sönmezoğlu F., II. Dünya Savşı’ndan Günümüze Türk Dış politikası, İstanbul, Der Yayınları;

10. Çağrı,2003 - Çağrı E., „ABD'nin Orta Asya Politikası ve 11 Eylül Sonrası Yeni Açılımları";
11. Türkman, 2007 - Türkman, S. „ABD ortadoğü ve Türkiye". sale yayin dağitim. Ankara;
12. Gündüz, 2007 - Gündüz, Ş. „Yasayan Dünya Dinleri", Diyanet Işleri Bakanliği Yayiolari, №680, Ankara;
13. Kaya, 2017 - Kaya, F., Coğrafi Potansiyelleri Temelinde Türkiye Jeopolitiği ve Dünya Siyasetindeki Yeri, Ağrı İbrahim Çeçen Üniversitesi Siyasal Bilimler Enstitüsü Dergisi, Ulusal Hakemli dergi, Ekim 3/2.;
14. Halford, 1962 - Halford J. M.,DemocraticIdealsandReality, New York, Norton;
15. Atallı, 2009 - Atallı, J., „A Brief History of the Future: A Braveand Controversial Look at theTwenty-First Century", İnternationalbest seller, Brilliantand Provocative-Henry Kıssinger, arcadepublishing, New York;
16. Denk, 2000 - Denk, N. 21.nci Yüzyıla Girerken Türkiye'nin Jeopolitik Durumu ve Jeostratejik Öneminin Yeniden Belirlenmesi, Harp Akademisi Yayını;

Beka Makaradze

Relations between the Republic of Turkey and the United States during the Cold War

Abstract

Active military, economic and political relations between the Turkish Republic and the United States began shortly after the end of World War II.

Through the Truman Doctrine and the Marshall Plan, the United States provided Turkey with a massive $ 100 million in financial aid in 1947, most of which was spent on military development in the country.

In May 1951, the United States recommended Turkey to join the North Atlantic military bloc (NATO), and in October 1951, there was signed a protocol on Turkey's admission to NATO in London.

On February 18, 1952, the Turkish Grand National Assembly ratified the NATO Accession Treaty.

Geopolitical shifts after World War II replaced Turkey's de facto foreign policy neutrality with a pro-Western course. The rapprochement between Turkey and the United States began, However, it was under the threat of the expected aggression from the Soviet Unionthroughout the Cold War.

Significant changes have taken place in Turkish-American relationssince 1980. Current political developments in both Turkey and the United States have made relations between the two countries more diversified. It is also true that they relied on elements of relations that existed in earlier periods, but nevertheless, the new form was significantly different from the previous one.

Keywords: Turkey; United States of America; Cold War.

მაია მანჩხაშვილი

თურქეთის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა

აბსტრაქტი

თანამედროვე თურქეთის სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელების არსი, თურქეთის რესპუბლიკის ახალი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშავდებოდა და შედარებით დასრულებული სახით 1990-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი. მისი ავტორია თურქი მეცნიერი, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი აჰმეთ დავუთოღლუ.

საკვანძო სიტყვები: რეჯეფ თაიფ ერდოღანი; აჰმეთ დავუთოღლუ; პოლიტიკური დოქტრინა.

შინაარსი

სრული სურათის შესაქმნელად და იმისათვის, რომ ნათელი გახდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელების არსი, უნდა განვიხილოთ თურქეთის რესპუბლიკის ახალი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა.

უკვე ათწელზე მეტია ამ დოქტრინაზე დაყრდნობით იმართება თურქეთის საგარეო პოლიტიკა. ეს დოქტრინა მრავალი წლის განმავლობაში მუშავდებოდა და შედარებით დასრულებული სახით 1990-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისი ავტორია თურქი მეცნიერი, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი აჰმეთ დავუთოღლუ [Davudoglu,2001:95]. მან ამ დოქტრინის ფარგლებში ისტორიული სიღრმეებიდან - ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის პერიოდიდან დაწყებული - თანამედროვე ეტაპამდე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები გააანალიზა და საინტერესო დასკვნებამდე მივიდა.

რატომ განვიხილავთ მაინცა და მაინც ამ დოქტრინას? მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზს არაერთი თურქი მეცნიერი აკეთებს, პროფესორ აჰმეთ დავუთო-

ღლუს თეორია სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში იქნა აყვანილი და ამიტომაცაა იგი ყველაზე მეტად საინტერესო და ამიტომ კეთდება ამ ავტორზე მეტია ქცენტი. სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე კი მისი შეხედულებები აიყვანა იმ პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომლის გამოკვეთილი ლიდერიც რეჯეფ თაიფ ერდოღანია და რომელმა ჯგუფმაც ეს ავტორი პოლიტიკაში დაპატიჟა მისივე ხედვების განხორციელებისათვის. ამიტომ, სწორედ ამ ავტორის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღებაუნდა მიექცეს თურქეთის საგარეო პოლიტიკის სწორი ანალიზისათვის.

მისი კონცეფცია განხილური შრომაში - სტრატეგიული სიღრმე (Stratejik Derinlik). ახალი დოქტრინის მიხედვით, ჯერ კიდევ ქემალ ათათურქის მიერ თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნებისას ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა იმ საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე მოხდა, რომელიც შექნილი იყო მაშინდელ მსოფლიოში: ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, თურქეთი იძულებული იყო გადარჩენაზე ეზრუნა და ხელი აეღო იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე. ეს მიზანი კარგადაც შესრულდა. საჭირო იყო გაგრძელებულიყო პროცესები და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ახალ საშინაო თუ საგარეო მიზნებზე ეზრუნათ ახალ პოლიტიკურ რეალობაში. ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკა ჯერ კიდევ შიდა რეფორმებით იყო დაკავებული, როცა სამყარო ახალ გეოპოლიტიკურ წესრიგში - ცივი ომის ეპოქაში - შევიდა და თურქეთმა ვერ მოასწრო კარგად გაენალიზებინა და ფეხი აეწყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისათვის. ცივი ომის პერიოდში, ავტორის მიხედვით, ორპოლუსიანი სისტემის შექმნით განპირობებულმა

წესრიგმა უარყოფითად იმოქმედა თურქეთზე, ეზრუნა ალტერნატიული სტრატეგიებისა და მასთან დაკავშირებული ტაქტიკური მანევრების განვითარება /განხორციელებაზე. შესაბამისად, მთელი ცივი ომის განმავლობაში თურქეთი დამოკიდებული აღმოჩნდა ორ მთავარ პარამეტრზე, რომელიც არ აძლევდა მას დამოუკიდებელი პოლიტიკის დაგეგმვის საშუალებას: 1) საბჭოთა მუქარის წინააღმდეგ დასავლეთის უსაფრთხ-

ოების ქოლგის ქვეშ ყოფნა (ამ ქოლგის ქვეშ ყოფნა არ იყო თურქეთის მიზანი. მან, როგორც ახალდამოუკიდებლობა მიღებულმა ქვეყანამ, დროულად ვერ გააცნობიერა მის ირგვლივ მიმდინარე პროცესები) და 2) „დიპლომატიური არეალის ინდექსირება“ ევროკავშირში მყოფ საბერძნეთთან. ანუ, თუ თურქეთს სურდა მიეღო ადგილი ევროკავშირის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ, მისი პოლიტიკა

საბერძნეთთან მიმართებაში ევროკავშირის პოლიტიკის მსგავსი ან მასთან მიახლოებული უნდა ყოფილიყო. ამ ქოლგის ქვეშ ყოფნა კი თურქეთს საკუთარი გავლენის სფეროების შექმნისა და სხვა ალტერნატიული ძალის ცენტრების უგულებელყოფის ფასად დაუჯდა. ავტორი ერთგან ხაზს უსვამს, რომ თურქეთის „ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნაც იმის შიშით იყო განპირობებული, რომ არ ჩამორჩენოდნენ ბლოკის შიგნით პროცესებს საბერძნეთის გამო“ [Davudoğlu,2001:125].

თურქულ იდეოლოგიაში ამ მომენტის ახსნას წარმოადგენდა არაერთი თურქი პოლიტიკოსის განაცხადი, რომ ყველაფრის ფასად არსურს ევროკავშირში იხილოს თავისი ქვეყანა. თავად ქვეყნის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის გამოსვლებშიც გაიჟღერა ამ მიდგომამ. ეს მიდგომა კავშირში არაა ევროსკეპტიკოსთა მოსაზრებებთან. ევროსკეპტიკოსთა მოსაზრებები ხშირ შემთხვევაში შედარებით ვიწრო ხედვებიდან გამომდინარეა ჩამოყალიბებული. თუმცა, მათ დასაბუთებულ ახსნებშიც არის საგულისხმო ლოგიკა. მაგრამ, ზემოთაღნიშნული მიდგომა არის იდეოლოგიური ხედვა, პრინციპი, რომელსაც იცავს ქვეყანა თავის საგარეო პოლიტიკურ აქტივობაში. მაშინ ჩნდება კითხვა, თუ რას ემსახურება მაღალჩინოსანთა განაცხადები ევროკავშირიში გაწევრიანების დაჩქარების შესახებ და ღიად გამოთქმული წყენები ევროკავშირის დასკვნების/რეპორტების მისამართით? რესპუბლიკის დაფუძნების ეტაპზეც და ამჯერადაც, მთავარი მიზეზია ის, რომ ქვეყანა არაა მზად გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა. ამას თავად აჰმეთ დავუთოღლუც აღიარებს, როცა საუბრობს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები საერთაშორისო წესრიგიდან გამომდინარე იქნა განსაზღვრული.

ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ შედგა საერთაშორისო წესრიგის სრულ-ფასოვან წევრად. ამიტომ, ცდილობს ფეხი აუწყოს საერთა-შორისო სისტემის ტენდენციებს და ისარგებლოს უსაფრთხოების იმ სიკეთეებით, რომელსაც თუნდაც ევროკავშირთან დაახლოება მოიტანს. ანუ როცა ვსაუბრობთ ნეორეალიზმის თეორიის ფარ-გლებში თურქეთის მიერ მისთვის უკვე არსებული როლისა და ადგილის ცვლილებაზე თავად თურქეთის

რესპუბლიკის მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინ-არე, ვფიქრობთ, ის ჯერ კიდევ არაა მზად გაარღვიოს საერთა-შორისო წესრიგში უკვე დამკვიდრებული ბალანსი მის სასარგ-ებლოდ. ანუ, კიდევ ერთხელ რომ ხაზი გავუსვათ, სიტუაციური ანალიზი ცხადყოფს, რომ თურქეთი საგარეო პოლიტიკური მიმართულებების ჩამოყალიბებისას და პრიორიტეტების განსა-ზღვრისას გამოდის საერთაშორისო წესრიგის თამაშის წესებიდან და ჯერ კიდევ ვერ ახერხებს თავისი თამაშის წესები დაამკვ-იდროს თუნდაც მეზობელ რეგიონებში.

აჰმეთ დავუთოღლუს მოსაზრებით, ცივი ომის განმავლობ-აში თურქეთი ატარებდა პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო არენაზე პოზიციების გამყარებისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარების ნაცვლად, საზღვრის გასწვრის უსაფრთხოების ხაზების შექმნას ემყარებოდა, რაც დიდი შეც-დომა იყო და ამ ხარვეზის დაძლევა თურქული დიპლომატიის მიზანი 1980-იან წლების ბოლოს გახდა. აქ ავტორი თავად უსვამს ხაზს იმას,

რაზედაც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით: იგი იხსენებს „ბოსნიის კრიზის“ დროს შექმნილ ვითარებას, როცა ქვეყანაში გააცნობ-იერეს, რომ საავიაციო ფლოტის მომარაგების კუთხით ბალკანე-თის რეგიონშიც კი არ შეეძლოთ ოპერაციების ჩატარების უზრ-უნველყოფა. მისი აზრით, ეს საკუთარი ძალების ვერ შეფასება და ქვეყნის პოტენციალის არასწორად დანახვა იყო და არა რესურების არქონით გამოწვეული. ეს იყო დეზორგანიზება თუ დემორალიზება მათი ძალების და შინაგანი მზაობის არქონა.

მეორე უდიდესი პრობლემა თურქეთისათვის, რამაც საბჭ-ოთა კავშირის დაშლის შემდეგ იჩინა თავი, იყო ურთიერთ-

ობების აწყობა მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონებთან. თურქეთმა დაინახა რა მეზობელ რეგიონებთან მჭირდო ურთიერთობის განვითარების აუცილებლობა, დაიწყო იმ მიდგომების გადაფასება, რომლითაც ის მანამდე ხელმძღვანელობდა. უნდა ითქვას ისიც,

რომ თურქეთს ნულოვანი გამოცდილება ქონდა მის ახლანდელ მეზობლებთან ურთიერთობების, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

თურქეთში ამ პრობლემის მოწესრიგების სხვადასხვა ხედვები გააჩნდათ მკვლევრებსა და პოლიტიკოსებს. 1990-იანი წლების განმავლობაში ამ მიმართულებით თურქეთის პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, ინერციით მიდიოდა. მაგრამ, ვინაიდან ამ საკითხების დარეგულირება მოგვიანებით აჰმეთ დავუთოღლუს მიანდეს, რეალიზება დაიწყო მისმა პოლიტიკამ, რომელიც გულისხმობდა „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ პოლიტიკას. ეს პოლიტიკური ხაზი რათქმაუნდა ნიშნავდა არა იმას, რომ თურქეთს პრობლემები არ გააჩნდა მეზობლებთან, არამედ იმას, რომ ურთიერთობები დაწყებულიყო სუფთა ფურცლიდან. მაგრამ, ვინაიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე ათეული წელი იყო გასული და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მსოფლიო თუ რეგიონულ პოლიტიკურ აქტორთა ინტერესები არათუ გამოკვეთილი, არამედ, ამ ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკაც უკვე ამუშავებული იყო, სუფთა ფურცლიდან ურთიერთობების დაწყებაზე აპელირება პოლიტიკურ უმწიფრობას გავდა. თურქეთი თავად რომ ყოფილიყო მზად, ხაზი გადაესვა წარსულისათვის, მეზობელი ქვეყნები, მაგალითად, სომხეთი არ აპირებდა და არ აპირებს დაივიწყოს წარსული. ამიტომ, ამ პოლიტიკამ არ იმუშავა, არა მხოლოდ სომხეთის მაგალითის გამო.

პროფესორი აჰმეთ დავუთოღლუ აღნიშნავს, რომ თურქეთს აღარ ქონდა უფლება ჩაკეტილ სისტემაში გაეგრძელებინა არსებობა, როგორც მსოფლიო პოლიტიკის რიგით ერთეულს და დაიწყო ახალ რეალობაში არსებული სირთულეების გათვალისწინებით, ცივილიზაციის ცენტრის შექმნა.

ახალი დოქტრინის მიხედვით, თურქეთი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, არის საზღვაო და სახმელეთო ძალაუფლების ცენტრების გადაკვეთის ადგილი და ქვეყნის ეს გეოგრაფიული მოცემულობა არის ის უცვლელი ფაქტორი, რომლის მნიშვნელობის ხელახალი გადაფასება და აქედან გამომდინარე, კულტურული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პარამეტრების გადახედვა აუცილებლად უნდა მომხდარიყო.

ამ პროცესებში აქტუალური გახდა კულტურული იდენტობის ძიების საკითხიც და ავტორი საინტერესოდ ხსნის ერთ მომენტს. კერძოდ, იგიამბობს, რომ 1993-1996 წლებში თურქეთში ისლამის პოლიტიკურ პლატფორმაზე გადასვლა დაჩქარებული წესით მოხდა: რატომ? მისი მოსაზრებით ამ პერიოდში თურქეთი ერთი მხრივ კვლავ ახალი საერთაშორისო რეალობის შესწავლითა და საგარეო პოლიტიკური დოქტრინის შემუშავებით იყო დაკავებული, მეორე მხრივ კი აღმოჩნდა რეალობაში, როცა პოლიტიკური კულტურის ისტორიულად უწყვეტი იდეოლოგიის საფუძვლების მქონე ძალებია ვტომატურად ამოქმედდენ. თითქოს ქვეყანა დაუბრუნდა თავის ბუნებრივ დინებას. ამ წლებში ჩატარებულმა არჩევნებმაც აჩვენა, რომ სახალხო რესპუბლიკური პარტია (CHP), რომელსაც, ერთი შეხედვით დიდი პოლიტიკური გამოცდილება ქონდა და წინა პერიოდებში დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობდა, უკანა პლანზე გადავიდა.

როგორც ჩანს ახალი იდეოლოგიის შემქმნელი დარწმუნებულია, რომ ისლამის რელიგიის წესების ფარგლებში ცხოვრება, ანუ დაბრუნება ამ წესებთან, თურქეთის ბუნებრივი გზაა, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის წესებთან ერთად და ეს არის სწორედ ის ახალი მოდელი თურქეთის რესპუბლიკის, რომელიც მისაბაძი გახდა შემდეგ ისლამური სამყაროს ფარგლებში.

ამის გათვალისწინებით აჰმეთ დავუთოღლუ აღნიშნავს, რომ ცივი ომის პერიოდის პოლიტიკური ელიტის მიერ თურქეთისათვის მორგებული როლიაღარ შეესაბამებოდა საზოგადოების მოთხოვნებს, ისტორიულ გამოცდილებასა და მომავლის იდეალებთან დაკავშირებულ მოლოდინებს და შემუშავდა ახალი

ხედვა, ახალი მიდგომები, თუ რაგზით უნდა ევლოთ ურქეთს. ამ ახალი სტრატეგიის მიხედვით, პირველ რიგში უნდა გადახედილიყო სტატუს-კვოს შენარჩუნების წარსული სტრატეგია და საერთაშორისო არენაზე თურქეთს მოქმედება უნდა დაეწყო, ხოლო მოქმედების არეალის მიხედვით პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და გეოპოლიტიკური გავლენების სტრატეგიის რეალიზებისათვის პრიორიტეტული მიმართულებები ასე უნდა დალაგებულიყო:

• უახლოესი სახმელეთო აუზი: ბალკანეთი - ახლო აღმოსავლეთი - კავკასია;

• უახლოესი საზღვაო აუზი: შავი ზღვა - ადრიატიკის ზღვა - ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი - წითელიზღვა - სპარსეთის ყურე -კასპიის ზღვა;

• უახლოესი კონტინენტური აუზი: ევროპა - ჩრდილოეთ აფრიკა - სამხერთ აზია - ცენტრალური და აღმოსავლეთ აზია **[Davudoğlu,2001:118].**

ამ სტრატეგიის მიხედვით ევროპასთან თანამშრომლობა ძალზედ მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ თურქეთს აქცენტი განვითარებაზე უნდა ქონდეს აღებული. ანუ ევროპასთან თანამშრომლობას თურქეთი უყურებს, როგორც განვითარების შესაძლებლობას და არა ევროკავშირში წევრობის შესაძლებლობას. მან იცის, რომ ეს ფაქტიურად შეუძლებელია ბევრი მიზეზის გამო. ამასთან, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საინტერესო სტრატეგიული თანამშრომლობის ჯაჭვის შექმნაა შესაძლებელი მის მეზობელ რეგიონებთან და არა მხოლოდ.

შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის უსაფრთხოების დოქტრინის წამოყენება არის ერთიანი, ახალი თურქული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და მცდელობა, მისი ინტერესების შესაბამისი რეალობის შექმნას შეუწყოს ხელი მეზობელ რეგიონებში. როცა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, სწორედ თურქეთის ახალი მიდგომებიდან უნდა ამოვიდეთ და ამ ჭრილში განვიხილოთ მისი თითოეული ნაბიჯი.

ამ ჭრილში იდეოლოგიურმა დავამ წინ კიდევ ერთი საკითხი წამოსწია:

ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევრები, როცა დავა თურქეთის საწყისი/ფუნდამენტური/ათათურქისეული პრინციპ-ების შეცვლას ეხება,

არგუმენტად იგივე ქემალიზმის ე.წ. მეექვსე პრინციპს იშვე-ლიებენ. ეს პრინციპი რევოლუციონიზმის/Devrimçilik სახელი-თაა ცნობილი და იგი მუდმივ განვითარებაზე აკეთებს აქცენტს. ანუ რევოლუციონიზმი თურქეთის ნებისმიერ სახელმწიფო მოღვაწეს სახელმწიფოს მუდმივ გაძლიერებაზე ზრუნვასა და განვითარების მომდევნო ეტაპზე გადაყვანას ავალდებულებდა.

ეს პრინციპი თავად ქემალის მიერ სახელმწიფოს მართვის მექანიზმებში ცვლილებების შეტანასაც კი ამართლებს. როცა პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 2017 წლის რეფერენ-დუმზე მოსახლეობის და სტურის მიღების შედეგად თამამად დაიწყო ცვლილებების განხორციელება, ეს ნაბიჯები რევოლუც-იონიზმის პრინციპში სავსებით ჯდებოდა. სხვა საკითხია რამდენად დემოკრატიულად მიდიოდა ეს პროცესი. თავად პრეზიდენტს საჯარო გამოსვლებშიც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს იყო მიღებული მემკვიდრეობის ახალ ეტაპზე გადას-ვლის, ახალ სიმაღლეებამდე მიყვანისა და დემოკრატიულ საწყისებზე მყარად გადასვლის მორიგი მცდელობა. რევოლუ-ციონიზმი, სხვა პრინციპებთან ერთად, უცვლელ პრინციპადაა გამოცხადებული თურქეთის კონსტიტუციის პრეამბულაში. ანუ თურქეთის განვითარების გეზი, მისი როლისა და მსოფლიო პოლიტიკაში მისი ადგილის გადაფასება უწყვეტი

პროცესი უნდა იყოს. ამ ლოგიკურ ჯაჭვშია იდეოლოგიური საწყისების გადაფასება და ახალი რეალობიდან გამომდინარე თურქეთის როლის განსაზღვრა. ხშირად არასწორადაა გაგებული ქემალ ათათურქის პრინციპების უცვლელობა. იგი განვითარების შემდეგ/მომდევნო საფეხურზე გადასვლის პრინციპის დაცვის უცვლელობაა და არა განვითარების ერთ ადგილზე ყოფნა დაუ-ცვლელობა.

დასკვნა

ბოლოს გვინდა ვუპასუხოთ ერთ აქტუალურ კითხვას: გამოიწვევს თუ არა აჰმეთ დავუთოღლუს - ამ იდეოლოგიის ავტორის, პოლიტიკიდან წასვლა იდეოლოგიურ გადაფასებას თურქეთში, ჩაანაცვლებს თუ არა ახალი იდეოლოგია ამჟამად არსებულს; ვფიქრობთ, ჯერჯერობით საკითხი ასე არ დგას. ამ ავტორის მიდგომები იმდენად ამბიციური, ყოვლისმომცველი და თურქეთის ინტერესებზე მორგებულია, ნაკლებად დნელია, მასზე უარი თქვას თურქეთის ახალმა მთავრობამ. ამასთან, ამ ეტაპისათვის თურქეთი მზად არაა ახალი იდეოლოგიური გამოწვევებით დაკავდეს. მან ჯერ უკვე არსებულ გამოწვევებს უნდა გასცეს პასუხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Davutoğlu A., Stratejik Derinlik. Ankara, 2001.**

Maia Manchkhashvili

Doctrine of Turkish Foreign Policy

Abstract

To create a complete picture and to clarify the essence of the Turkish models of regional security in the South Caucasus, we must consider the new foreign policy doctrine of the Republic of Turkey.

Turkey's foreign policy has been based on this doctrine for more than ten years. This doctrine had been developed for many years and it became known in a relatively complete form in the late 1990s.

As mentioned above, its author is a Turkish scientist, Professor of International Relations Ahmet Davudoglu (2001). Within this doctrine, he analyzed political, economic, and cultural processes from historical depths — as far back as the Ottoman Empire — to the present day, and came to some interesting conclusions.

მადონა გოგიტიძე

სამხრეთ კავკასიის რეგიონული თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ ჭრილში

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასია ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია როგორც ახლო აღმოსავლეთისთვის ისე მთელი მსოფლიოსთვისაც. ტერიტორია, რომელიც 400 ათასზე მეტ კვადრატულ კილომეტრს მოიცავს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 30 მილიონზე მეტი ადამიანით განისაზღვრება, უნიკალურობას უპირველეს ყოვლისა გეოგრაფიული მდებარეობით და სტრატეგიული მაკავშირებლის ფუნქციით ქმნის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. კავკასიის რეგიონი ისეთივე მრავალფეროვნებითა და სიჭრელით გამოირჩევა, როგორც ახლო აღმოსავლეთი. მხედველობაში გვაქვს ეთნიკური, კონფესიური, რელიგიური, ლინგვისტური თუ კულტურული მრავალფეროვნება. საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ კავკასია დამაკავშირებელი ზონაა ევროპასა და აზიას შორის. მრავალი წლის განმავლობაში რეგიონი დაპირისპირებული ქვეყნების ბუფერულ ზონას წარმოადგენდა ან მათი შემადგენელი ნაწილი იყო.

საკვანძი სიტყვები: სამხრეთ კავკასია; ახლო აღმოსავლეთი; რეგიონული თანამშრომლობა.

შინაარსი

ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია მსოფლიო პოლიტიკაში. მის მნიშვნელობას ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, სხვადასხვა ქვეყნებთან არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ენერგო-ნედლეულის სიმდიდრე, მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესები და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განსაზღვრავს. თუმცა არანაკლებ საინტერესო საკვანძო საკითხებს ვხდებით კავკასიის რეგიონალური პოლიტიკის განსაზღვრის დროსაც ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ ჭრილში.

თვით კავკასია ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია როგორც ახლო აღმოსავლეთისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვისაც. ტერიტორია, რომელიც 400 ათასზე მეტ კვადრატულ კილომეტრს მოიცავს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 30 მილიონზე მეტი ადამიანით განისაზღვრება, უნიკალურობას უპირველეს ყოვლისა გეოგრაფიული მდებარეობით და სტრატეგიული მაკავშირებლის ფუნქციით ქმნის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. კავკასიის რეგიონი ისეთივე მრავალფეროვნებითა და სიჭრელით გამოირჩევა, როგორც ახლო აღმოსავლეთი. მხედველობაში გვაქვს ეთნიკური, კონფესიური, რელიგიური, ლინგვისტური თუ კულტურული მრავალფეროვნება. საუკუნეების განმავლობაში კავკასია დამაკავშირებელი ზონაა ევროპასა და აზიას შორის. მრავალი წლის განმავლობაში რეგიონი დაპირისპირებული ქვეყნების ბუფერულ ზონას წარმოადგენდა ან მათი შემადგენელი ნაწილი იყო.

ჩამოთვლილ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს ამ რეგიონის მნიშვნელობა ენერგორესურსების ფლობასა და მათი სხვადასხვა მიმართულების გატარებასთან დაკავშირებით, ასევე გავითვალისწინოთ უნდა ისიც, რომ რეგიონს ესაზღვრება კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონები, ასევე ირანიც. დასახელებულ ტერიტორიებზე კი გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგია.

XX საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სატრანსპორტო მნიშვნელობა სწორედ მოცემულ რეგიონთან თანაფარდობაში შექმნილმა მილსადენების ქსელმა გაზარდა. აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით, კასპიის ზღვის აუზიდან თურქეთის ხმელთაშუა ზღვის ნავთობტერმინალამდე აშენდა და 2006 წელს ამოქმედდა ნავთობსადენი (ბაქო, თბილისი, ჯეიჰანი - BTC) და მისი პარალელური გაზსადენი (ბაქო, თბილისი, ერზრუმი - BTE); აზერბაიჯანის შაქდენიზის გაზის საბადოდან საქართველოსა და თურქეთის გავლით ევროპის მიმართულებით აშენდა და 2018 წლის ივნისში ამოქმედდა სამხრეთის კორიდორი - ტრანსანატოლიის გაზსადენი - TANAP) [**გაჩეჩილაძე ,2018:33**]

ბუნებრივია ჩამოთვლილ მნიშვნელოვან ფაქტებთან ერთად კავკასიის რეგიონალურ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის აბრეშუმის გზის არსებობა და მისი დერეფანი სწორედ მოცემულ რეგიონზე. საბოლოო ჯამში კავკასიის მნიშვნელოვანი გეოსტრ-ატეგიული მდებარეობა, სახელმწიფოებრივი თუ ეთნიკური მახასიათებლები, კულტურული მრავალფეროვნება, საშუალებას იძლევა რეგიონი მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ინტერესების ეპიცენტრში აგრძელებდეს არსებობას.

განსაკუთრებით საყურადღებოა კავკასიის რეგიონში არსე-ბული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები და შიდასახელმ-წიფოებრივი მდგომარეობა. რეგიონის სტაბილური განვითარე-ბის მაჩვენებელი უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვ-ალა, რაც რეგიონულ პროცესებთან ერთად გარეშე სუბიქტების მოქმედებებმაც განსაზღვრა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში თანდათანდაიწყო კავკასიის ქვეყნებში ახალი სახელმწიფოებ-რივი ფორმირების პროცესი, რომელიც მეტ-ნაკლები სიმწვავით მიმდინარეობდა. საქართველოში აღნიშნულ პერიოდს შეიარა-ღებული სამოქალაქოდაპირისპირებაც დაერთო თან. სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოსთვის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) დამოუკიდებლობის პერიოდი ეკონომიკური სიძნელეებით დაიწყო. სიძნელეების რიცხვს მიეკუთვნება შიდა ფრონტზე ძალაუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლები და არა-მყარი, მოწყვლადი სახელმწიფოებრიობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სეპარატისტულ კონფლიქტებში ჩრდი-ლოეთ კავკასიიდან სხვა ძალებიც ჩაერთო [https://ge.boell.org].

შესაბამისად, საერთაშორისო მდგომარეობას ქვეყნები ამ რეგიონში არასტაბილური საშინაო პოლიტიკით დახვდნენ. შედ-ეგმაც არ დააყოვნა და შეიარაღებული კონფლიქტები და მწვავე დაპირისპირებები საკმაო ხანს გაგრძელდა. რეგიონის სტაბი-ლურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას საუკუნის ბოლოს და დღესაც აყოვნებს სწორედ აღნიშნული სახის კონფ-ლიქტები. მაგალითის მოყვანა ამ შემთხვევაში მთიანი ყარაბაღის სახითაც შეიძლება. აღნიშნული პრობლემა არათუ სტაბილურ-

ობას, სოლიდარობასაც უშლის ხელს. „მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის“ სახელში ეთნიკური ნიშანი თავიდანვე გამიზნულად არ ჩაიდო. მართალია მოსახლეობის უმრავლესობას ოლქის შექმნის პერიოდში სომხები წარმოადგენდნენ, თუმცა თუ წლების მიხედვით სტატისტიკას დავაკვირდებით, მონაცემები საგრძნობლად შეიცვალა, რაც კულტურულ ფასეულობებთან, მოსახლეობის მიგრაციასთან და გარე ფაქტორებთან იყო დაკავშირებული. საუკუნის 80-იან წლებში რეგიონში დაწყებული სამხედრო დაპირისპირება საკმაო ხანს გაგრძელდა და მძიმე დანაკარგი აღმოჩნდა არა მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, არამედ კონფლიქტმა თავისი ასახვა და წამახალისებლის ფუნქცია ითამაშა საქართველოში წამოწყებულ სეპარატისტულ გამოსვლებში სოხუმსა და ცხინვალში. ომი 1993 წელს სომხეთის უპირატესობით დასრულდა, რაშიც დიდი როლი რუსეთმა ითამაშა. „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ომის შედეგად ლტოლვილობა და საკუთარი საცხოვრებლის მიტოვება მოუწია როგორც აზერბაიჯანელ მოსახლეობას, ასევე სომხებსაც [**გაჩეჩილაძე,2011:263**] საერთაშორისო არენაზე კი რეგიონის სტაბილურობას და უსაფრთხოებას ისევ დიდი საფრთხე შეექმნა. არსებული დაპირისპირებით და კონფლიქტებით XX საუკუნის ბოლოს კავკასიის რეგიონმაც თვისი ადგილი დაიკავა რთულ და არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გვერდით.

მართალია, რომ გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა და ირანის ისლამური რესპუბლიკისა და დასავლეთის დაპირისპირებამ - განაპირობა საქართველოს არჩევა კასპიის ზღვის აუზის ჰიდროკარბონული რესურსების ექსპორტის სატრანზიტო გზად, მაგრამ სამხრეთ კავკასიის რეგიონულ თანამშრომლობას კიდევ უფრო მეტი ეჭვი და უნდობლობა შესძინა.

სიტუაციის სრული განმუხტვა არც 90-იანი წლების ბოლოს მოხდა. მართალია საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში შეიცვალა, თუმცა კავკასიის საკითხისმოგვარებაზერუსეთი კვლავ აქტიურ გავლენას ახდენს.

მთიანი ყარაბაღის ომის გამოსომხეთი ერთგვარ ჩიხში აღმოჩნდა. 1993 წელს მასთან საზღვარი ჩაკეტა თურქეთმა. მართალია მას დახმარების ხელი ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ გაუწოდა, თუმცა სრულად ვერც ამან გამოიყვანა სომხეთი რთული სიტ-უაციიდან, ვინაიდან ირანი თვითონ განიცდიდა დასავლეთის ქვეყნების მხრიდან იზოლაციას.

კონფლიქტის ზონაში მასშტაბური დაპირისპირება 2016 წლ-ის აპრილში მოხდა, როდესაც ორივე მხარეს ათობით ადამიანი დაიღუპა. არსებული მდგომარეობის ესკალაცია მიმდინარე წე-ლს ისევ გაგრძელდა. 2020 წლის სექტემბრიდან მთიან ყარაბაღში ვითარება უკიდურესობამდე გამწვავდა და ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები დაიწყო.თანამედროვე ეტაპზე აღნი-შნულ რთულ პროცესებში საკუთარი პოზიცია დაიჭირა თურქ-ეთმაც, როგორც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთმა მნიშვნელ-ოვანმა სახელმწიფომ. ბუნებრივია თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით თურქეთს საშუალება ეძლევა ურთიერთობები განიმტკიცოს როგორც ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებთან, ასევე პოსტსაბჭოური სივრცის რესპუბლიკებთანაც [**მაკარაძე,2019:162**]. თურქეთმა ომის დაწყებისთანავე აზერბა-იჯანს ყარაბაღის საკითხში სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აკარმა სომხეთი დაადანაშაულა ყარაბაღში ვითარების გამწვავებაში და ერევნი-სგან აზერბაიჯანის წინააღმდეგ „აგრესიის შეწყვეტა“ მოითხოვა. სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ყარაბ-აღის კონფლიქტთან დაკავშირებით, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა აზერბაიჯანს, თუმცა ამ მხარდაჭერამ თვისობრივი ცვლილებები განიცადა, რაც საომარი მოქმედებების ადგილზე მისი ყოფნით ხასიათდება [**https://reginfo.ge/caucasus/item/**]. ერთგვარად თურქეთმა მოახ-ერხა რუსეთის გამოწვევა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რითაც შეძ-ლო თვისი პოზიციების გამყარება სირიის და ლიბიის კონფლ-იქტების კონტექსტშიც.

მართლია აშშ და დასავლეთის სახელმწიფოები მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებისკენ მოუწოდებდნენ,

თუმცა აღნიშნულ მომენტში რეგიონში მიმდინარე პრობლემაში უშუალო არბიტრის როლს კვლავ რუსეთი იჭერს. 10 ოქტომბერს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. დოკუმენტი 10 საათიანი მოლაპარაკების შემდეგ გაფორმდა. თუმცა, უკვე მოლაპარაკების პროცესში ორივე მხარე ერთმანეთის მხრიდან დაბომბვასა და სამხედრო იერიშებზე ლაპარაკობდა [https://formulanews.ge/News/37344]. სომხეთმა მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაკარგა ყარაბაღში. ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსს უკვე ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ქვეყანაში. აზერბაიჯანს რუსეთისა და თურქეთის მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი ტერიტორიული მონაპოვარი შესძინა.მართალია ომი დასრულდა, თუმცა როგორც ხშირად ხდება, კონფლიქტი არ ამოწურულა.

რაც შეეხება საქართველოს, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინტერესია რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ამიერკავკასიაში, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება როგორც აზერბაიჯანთან, ისე სომხეთთან. თუმცა ბუნებრივია, რეგიონალური უსაფრთხოების გარემო მნიშვნელოვან გამოწვევებს შეიცავს. ამის თვალნათელი მაგალითი უკვე იყო საქართველო-რუსეთის დაპირისპირება 2008 წელს, რომლის შედეგადაც რეალურად ახალი გეოპოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა რეგიონში.

დასკვნა

2020 წლის სექტემბერში კავკასიაში შექმნილმა სიტუაციამ დაგვარწმუნა, რომ არსებული კონფლიქტების სამხედრო ძალით სწრაფი გადაწყვეტა ვერ იქნება შესაძლებელი. კავკასიური ძალთა ბალანსი ყოველთვის იყო დამოკიდებული გარე ძალაზე. სიტუაციას განსაზღვრავს ისიც, თუ რამდენად არიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ენერგოდამოკიდებულები სხვა ქვეყნებზე. გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულთან შედარებით ძალთა ბალანსი რეგიონში შეიცვალა. კავკასიაში კვლავ ყალიბდება ახალი პოლიტიკურ-სტრატეგიული ხასიათის ორიენტი-

რები. ფაქტია, რომ რეგიონის ქვეყნებს შორის არსებულ კონფ-ლიქტების ბედს, სახელმწიფოთა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ხედვებს კვლავ მოუწევს გადახედვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე რ., ჩემი XX საუკუნე, თბილისი, 2011;
2. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი - გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, ტ. I, თბილისი,2018;
3. მაკარაძე ე., თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში, სალე-ქციო ჩანაწერები, თბილისი, 2019;
4. ზაქარაძე ე., კავკასიის რეგიონის ფუნქცია და აბრეშუმის გზის როლი საქართველოს სოციალურ - ეკონომიკურ განვი-თარებაში, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2018;
5. ჰალბახი უვე, რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში „ახლო საზღვარგარეთსა“ და „შიდა საზღვარგარეთს“ შორის, 2018, https://ge.boell.org;
6. https://formulanews.ge/News/37344;
7. https://reginfo.ge/caucasus/item/.

Madona Gogitidze

South Caucasus Regional Cooperation In the geopolitical context of the Middle East

Abstract

The Caucasus is one of the outstanding regions for the Middle East and the whole world.

The special importance of this region is determined by the geostrategic location, ethnic, linguistic, cultural and religious diversity.

The interstate relations and internal state situation in the Caucasus region are especially noteworthy. The rate of stable development of the region has changed significantly in the recent period, which was determined by the actions of external entities along with regional processes.

The stable political and economic situation of the region at the end of the XX century and even today is delayed by the existing conflicts between the states. This is the kind of problem that Karabakh has between Armenia and Azerbaijan.

New political-strategic orientation are being formed in the Caucasus. The fact is that the fate of the conflicts between the countries of the region, the political or economic visions of the states will still have to be reconsidered.

ზაზა ბერიძე

რეჯეფ თაიფ ერდოღანის პოლიტიკური გზა

აბსტრაქტი

რეჯეფ თაიფ ერდოღანი გახლავთ თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი, „სამართლიანობისა და განვიტარების“ პარტიის თავმჯდომარე. შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ იგი XXI საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურაა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

რეჯეფ თაიფ ერდოღანის პოლიტიკური გზა საკმაოდ ზიგზაგებით არის მოცული. თუმცა, მან სასურვე მიზანს მაინც მიაღწია. თურქეთის რესპუბლიკა, საპარლამენტოდან საპრეზიდენტო მართველობაზე გადაიყვანა. მის ხელში მოექცა მთელი ძალაუფლება, რაც შესაძლებლობას აძლევს თავისი შეხედულებისამებრ მართოს ქვეყანა.

რეჯეფ თაიფ ერდოღანის თურქეთი ხან ვაშინგტონსა და ბრიუსელს, ხანაც მოსკოვსა და სხვა პოლიტიკურ პოლუსებს (პეკინი, დელი, თეირანი და ა.შ.) უახლოვდება, რაც ფართო სურათში საკმაოდ არაპროგნოზირებად შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთ სიტუაციას კი აუცილებლად მოჰყვება სერიოზული საგარეო-პოლიტიკური რყევები როგორც რეგიონულ ისე გლობალურ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, სამართლიანობისა და განვითარების პარტია; რეჯეფ თაიფ ერდოღანი.

შინაარსი

რეჯეფ თაიფ ერდოღანი თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი. სამართლიანად შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ იგი XXI საუკუნის ყველაზე გავლენიანი ფიგურაა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ხოლო მისი მმართველობის პერიოდში თურქეთი რეგიონალურ ჰაბად ჩამოყალიბდა. რეჯეფ თაიფ ერდოღანი დაიბადა 1954 წლის 26 თებერვალს, ქალაქ სტამბოლში, მრავალშვილიან ოჯახში. მამა - აჰმედ ერდოღანი სანაპირო დაცვის

სამსახურში მუშაობდა, დედა - აჰმედის მეორე ცოლი, თენზილე ერდოღანი დიასახლისი გახლდათ და ხუთ შვილს ზრდიდა. ერდოღანი წარმოშობით ქალაქ რიზედანაა. სწორედ აქ გაატარა მან ბავშვობა და მოზარდობა. როგორც თვითონ აღნიშნავს, სვადასხვა ინტერვიუებში, იგი ღარიბი ოჯახიდან იყო. ჯერ კიდ-ევ ბავშვობაში, ერდოღანი საზამთროსა და ფუნთუშების გაყიდ-ვით, ზაფხულობით კი თხილისა და ჩაის შეგროვებით ცდილობ-და დახმარებოდა ოჯახს.

საშუალო სკოლა რიზეში დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ ერდოღანი ჩაირიცხა რელიგიურ ლიცეუმში Imam Hati-pLisesi-ში, სადაც მიიღო რელიგიური განათლება. პარალელუ-რად, თამაშობდა ფეხბურთს „ფენერბახჩეს" ადგილობრივ კლ-უბში. ლიცეუმის დამთავრების შედმეგ, სწავლა გააგრძელა სტამ-ბოლში მარმარას ეკონომიკის უნივერსიტეტში, რომელიც წარმა-ტებით დაასრულა.

პოლიტიკური საქმიანობა:

თუ რამ გადააწყვეტინა მას პოლიტიკაში წასვლა უცნობია თუმცა იგი უკვე 1983 წლიდან პარტია „კეთილდღეობის“ წევრია. 1983 წლიდან 1994 წლამდე ერდოღანის პოლიტიკური საქმ-იანობა დაკავშირებული იყო „კეთილდღეობის პარტიასთან“. პარტიაში მისი მოღვაწეობის ზენიტი იყო სტამბოლის მერის არჩევნებში გამარჯვება. ეს თანამდებობა მას 1994-97 წლებში ეკავა.

პარტია რომელსაც ერდოღანი წარმოადგენდა გამოირჩეოდა პროისლამისტური მიდრეკილებით, რის გამოც იგი 1998 წლის 26 იანვარს ოფიციალურად აკრძალეს. პარტიის აკრძალვის შემდეგ ერდოღანი პოლიტიკური საქმიანობის გამო დააპატიმრეს. 1997 წელს პროვინცია სიირტში გამართულ მიტინგზე ერდოღანმა ისლამისტური ლექსი წაიკითხა და ამფაქტის გამო, ის ძებნილად გამოცხადდა. დაკავების შემდეგ, მას ათთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. აღსანიშნავია, რომ ის ლექსი, რომელიც ერდოღანმა წაიკითხა, სულაც არ იყო აკრძალული და პირიქით, ის თურქე-თის განათლების სამინისტროს მიერ, სასკოლო პროგრამაშიც კი იყო შესული. მაგრამ, იმ პერიოდში ერდოღანი ოპოზიციაში იყო

და მისი პარტიის საქმიანობა აკრძალული გახლდათ. მისჯილი ათი თვიდან, თურქეთის მომავალმა ლიდერმა ციხეში მხოლოდ 4 თვე გაატარა.

„კეთილდღეობის“ პარტიის გაუქმების შემდეგ პარტიის წევრებმა შექმნეს ახალი „სათნოების პარტია“. თუმცა, პარტიის პოლიტიკა არ შეცვლილა, ამის საპასუხოდ, პარტიის ახალგაზრდა რეფორმისტთა ფრთამ, აბდულაჰ გიულის ლიდერობით, პარტიას გაეყვნენ. 2001 წლის 22 ივნისს „სათნოების პარტია“, როგორც თავისი წინამორბედი დაიხურა. რეჯეფ თაიფ ერდოღანი ციხიდან გამოსვლის შემდეგ, აბდულაჰ გიულის გუნდს შეუერთდა, ამის შემდეგ მათ ახალი პარტიის შემქნაზე დაიწყეს მუშაობა. 2001 წლის 14 აგვისტოს შექმნეს ახალი - „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია.

2002 წელს „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიამ პარლამენტში მოახერხა იმდენი მანდატის მოპოვება, რომ შეძლო ერთპარტიული მთავრობის შექმნა, თუმცა ერდოღანი პარლამენტში ვერ მოხვდა ნასამართლეობის გამო, მანამ, სანამ საკანონმდებლო ორგანომ მისი ნასამართლეობა ბათილად არ ცნო. 2003 წლის მარტში რ.თ.ერდოღანი, როგორც პარტიის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, თურქეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, რომლის ხელშიც კონცენტრირებული იყო ქვეყნის მთავარი ძალა. ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მისი ძირითადი მიღწევები იყო მონეტარული რეფორმა, წარმატებული ბრძოლა კორუფციასთან, ახალი ჰესების მშენებლობა და ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება [**მაკარაძე,2016:105**].

რეჯეფ ერდოღანი პრემიერის თანამდებობას 13 წლის განმავლობაში 2014 წლამდე იკავებდა. პრემიერობის საწყის ეტაპზე გაძლიერდა თურქეთის თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რაც მათ სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში აისახა. მიუხედავად მართველი პარტიის პროდასავლური კურსისა, პოლიტიკოსთა ნაწილი ღიად ადანაშაულებდა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიას ისლამურ ფასეულობების გაძ-

ლიერებაში, რაც გამოიხატებოდა ქემალისტური იდეების უარყოფაში, სამხედრო ინსტიტუტების დასუსტებაში (არმია წარმოადგენთა ქემალისტური იდეების გარანტს) და სხვა.

რეჯეფ თაიფ ერდოღანი პრეზიდენტად 2014 წელს აირჩიეს. უკვე მაშინ ცხადი იყო, რომ მუსტაფა ქემალ ათათურქის შემდეგ თურქეთის ყველაზე გავლენიანი ლიდერი კონსტიტუციით განსაზღვრულ ცერემონიალურ ფუნქციებს არასდროს დასჯერდებოდა. ასევე აშკარა გახდა ისიც, რომ ერდოღანი ისლამური ფასეულობების გაძლიერებას უწყობდა ხელს, რაც გულისხმობდა თურქეთის პოლიტიკური კურსის ცვლილებას.

რეჯეფ თაიფ ერდოღანის ამბიციას, გამხდარიყო თურქეთის „ერთპიროვნული“ მმართველი, პირდაპირ თუ ირიბად ხელი შეუწყო 2016 წლის ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობამ, როდესაც თურქეთის შეიარაღებული ძალების ნაწილმა მძიმე ტექნიკის გამოყენებით გადაკეტეს ბოსფორის ხიდი. საბოლოო ჯამში, გადატრიალება ვერ მოხერხდა. წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალება იყო მიმართული თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის და მისი მთავრობის წინააღმდეგ. სატელევიზიო გამოსვლაში, პასუხისმგებლობა გადატრიალებაზე აიღო თურქეთის მშვიდობის საბჭომ.

გადატრიალების მცდელობის დროს 290 ადამიანი დაიღუპა და ათასზე მეტი დაიჭრა. ანკარაში, დაიბომბა თურქეთის პარლამენტი და პრეზიდენტის სასახლე. სროლის ხმა ისმოდა ასევე სტამბოლის და ანკარის ჰაეროპორტების ახლოს [**მაკარაძე, 2019:213**].

რეაქციები გადატრიალების მცდელობაზე მეტწილად იყო გადატრიალების წინააღმდეგ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზეც. თურქეთის ძირითადმა ოპოზიციურმა პარტიებმა დაგმეს გადატრიალების მცდელობა, ხოლო რამდენიმე საერთაშორისო ლიდერმა, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ნატოს გენერალური მდივანი და ევროკავშირის მაღალჩინოსნები, მოუწოდეს დემოკრატიული ინსტიტუტების და მისი არჩეული ოფიციალური პირების პატი-

ვისცემისკენ. გაეროს უშიშროების საბჭომ განცხადებაში დაგმო გადატრიალების მცდელობა.

მოქმედმა ხელისუფლებამ სწრაფად განაცხადა მეამბოხეების მარცხი და დაიწყო ამ გადატრიალების მცდელობაში ჩართული პირების გამოძიება. გადატრიალების მცდელობის გამო, პრეზიდენტ ერდოღანმა ფეთჰულაჰ გიულენი დაადანაშავლა და იგი გამოაცხადა, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია სახელწოდებით „Feto“, თუმცა, მოძრაობის სულიერმა ლიდერმა და აშშ-ში გადასახლებულმა სასულიერო პირმა ფეთჰულაჰ გიულენმა, დაგმო გადატრიალების მცდელობა და უარყო რაიმე კავშირი მასთან, ხოლო საპასუხოდ დაადანაშაულა ერდოღანი, როგორც გადატრიალების შესაძლო დამკვეთი.

ერდორანის სიტყვები „ეს აჯანყება არის ღვთის საჩუქარი ჩვენთვის“ გახდა თურქეთში დიდი წმენდის დასაწყისი. 2016 წლის ივლისში წარუმატებელი პუტჩის შემდეგ ერდოღანის მთავრობის მიერ შეიარაღებული ძალების რიგებსა და სახელმწიფო აპარატში მასობრივი საკადრო წმენდა, მედია საშუალებების დახურვა, პარლამენტის მიერ მიღებული მკაცრი ანტიტერორისტული კანონი და დეპუტატებისთვის იმუნიტეტის გაუქმება - უკანასკნელი და გადამწყვეტი ნაბიჯები იყო, რამაც ერდოღანი მთავარ მიზანთან მიაახლოვა. თურქეთში, პრაქტიკულად, აღარ დარჩა ძალა, რომელიც პრეზიდენტის სურვილს წინ აღუდგებოდა. მეჯლისში რამდენჯერმე მომხდარი ხელჩართული ჩხუბის ფონზე პარლამენტმა საკონსტიტუციო რეფორმის პროექტი მაინც დაამტკიცა და რეფერენდუმიც შედგა. ახალი კონსტიტუციით, რომელიც ძალაში 2019 წელს დანიშნული საყოველთაო არჩევნების შემდეგ შევიდა, პრეზიდენტის უფლებამოსილება მაქსიმალურად გაფართოვდა. ქვეყნის ლიდერი გახდა სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური, ასევე დარჩება პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარედ. პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებს და მოსამართლეებს, ადგენს ბიუჯეტს და გამოსცემს სპეციალურ განკარგულებებს, რომელთაც კანონის ძალა აქვს. ახალი უზენაესი კანონით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები თურქეთში 5 წელიწადში ერთხელ გაიმართება. ახალი

კონსტიტუცია ერდოღანს საშუალებას აძლევს, პრეზიდენტის თანამდებობა 2029 წლამდე შეინარჩუნოს.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რეჯეფ თაიფ ერდოღანის პოლიტიკური გზა საკმაოდ ზიგზაგურად არის დახაზული. თუმცა მან სასურვე მიზანს მიაღწია. თურქეთის რესპუბლიკა, საპარლამენტო მართველობიდან გადავიდა საპრეზიდენტო მართველობაზე. პრეზიდენტის ხელში მოექცა მთელი ძალაუფლება, რაც შესაძლებლობას აძლევს ერდოღანს თავისი შეხედულებისამებრ მართოს ქვეყანა.

ამა თუ იმ მომენტში შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე, ერდოღანის თურქეთი ხან ვაშინგტონსა და ბრიუსელს, ხანაც მოსკოვსა და სხვა პოლიტიკურ პოლუსებს (პეკინი, დელი, თეირანი და ა.შ.) უახლოვდება, რაც ფართო სურათში საკმაოდ არაპროგნოზირებად შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთ სიტუაციას კი აუცილებლად მოჰყვება სერიოზული საგარეო-პოლიტიკური რყევები როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკარაძე ე., თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში, სალექციო ჩანაწერები, თბილისი, 2019;
2. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში, თბილისი, 2016;
3. მაკარაძე ე., თურქეთის 2016 წლის მოვლენები და ქართული მედია, History, Art, Literature and Culture in Black Sea Region and South Caucasus (HALC-2016) Conference Proceedings. Vol I. IBSU Publications, Tbilisi, 2016;
4. ბატიაშვილი ზ.,-თურქეთის საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში.https://www.gfsis.org/ge/publications/view/2747.

Zaza Beridze

Recep Tayyip Erdogan's political way

Abstract

Recep Tayyip is the current president of Turkey, party leader of the AKP. We must say that he is one of the most powerful person of the XXI century in the near east region.

Political way of Recep Tayyip Erdogan is quite tangled. However, he still managed to achieve his goal. He changed the republic of Turkey from parliamentary to presidential government. He got all the power in his hands which gave him the opportunity to govern the country the way he wanted.

Turkey is getting closer and closer to Washington and Brussels, sometimes to Moscow and other political poles such as Peking, Delhi, Teyran and so on which leaves quite unexpected impression. After that situation, there will definitely be serious political instability on the regional and global stage as well.

ოთარ გოგოლიშვილი

საქართველოს ხსნა ევროპაშია

აბსტრაქტი

ევროპა ქართული მხარის ნებისმიერ წინადადებას განიხილავს და საქართველოს ეკონომიკური დახმარების გარდა, პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებაშიც შეუწყობს ხელს. ევროპა ხელს შეუწყობს ყველა იმ მცდელობას, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას ემსახურება და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას იმ ღონისძიებებში, რომლებსაც საქართველო თავის მეზობლებთან განახორციელებს.

ევროპამ კარი გაუღო საქართველოს და დანარჩენი კი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი თვისობრივად ახალ ეტაპზე ავიდა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას ითანამშრომლოს ევროპულ სტრუქტურებსა და სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; ევროპა; დამოუკიდებლობა.

შინაარსი

ჩვენ ვართ ძირძველი ევროპელები და ქართველმა ხალხმა თავისი ქმედებებით დაამტკიცა, რომ ღირსია იყოს ევროპული თანამეგობრობის წევრი. ევროპა ქართული მხარის ნებისმიერ წინადადებას განიხილავს და საქართველოს ეკონომიკური დახმარების გარდა, პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებაშიც შეუწყობს ხელს. ევროპა ხელს შეუწყობს ყველა იმ მცდელობას, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას ემსახურება და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას იმ ღონისძიებებში, რომლებსაც საქართველო თავის მეზობლებთან განახორციელებს[1].

ევროპამ კარი გაუღო საქართველოს და დანარჩენი კი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი თვისობრივად ახალ ეტა-

პზე ავიდა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას ითანამშრომლოს ევროპულ სტრუქტურებსა და სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.

განა ადრეც ასე არ იყო. ჩვენს ქვეყანას როდესაც აგრესორების მხრიდან გასაჭირი დაუდგებოდა, დახმარებას სახელმწიფოს მესვეურები ხშირად ევროპისაგან მოელოდნენ. ამიტომაც სტუმრობდნენ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები ევროპის სახელმწიფოებს. გავიხსენოთ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოგზაურობა და მოლაპარაკებები ევროპელ ლიდერებთან. თუგინდ უკვდავი სულხან-საბა ორბელიანის ვიზიტი ევროპაში, სადაც ევროპელი ლიდერები აღფრთოვანებული იყვნენ ამ დიდებული პიროვნებით[2]. ასეთი ვიზიტები ყოველ საუკუნეში იყო. მართალია რეალური დახმარებები ხშირად ვერ ხერხდებოდა, მაგრამ ურთიერთობები ყოველთვის იყო. აქვე არ შეიძლება არ ვთქვათ იმ ოქროს ხანაზე, როდესაც არა მარტო ევროპა, არამედ იმდროინდელი მსოფლიო საქართველოს ანგარიშს უწევდა როგორც მოწინავე და გამორჩეულ სახელმწიფოს – ეს იყო დიდი დავითისა და თამარის ხანა. ღმერთმა ქნას დაბრუნდებოდეს საქართველოს იმდროინდელი სიკაშკაშე და ბრწყინვალება.

მიმდინარე წლის აგვისტოში, როდესაც რუსულმა იმპერიულმა თავხედობამ გააოგნა მთელი ცივილიზირებული სამყარო თავისი ზღვარგადასული აგრესიით მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ, პირველები სწორედ ევროპელები იყვნენ, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს ამ სისასტიკის წინაათმდეგ და ქმედითი ღონისძიებებით აიძულეს იმპერიალისტები შეჩერებულიყვნენ. გავიხსენოთ საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის, გერმანიის კანცლერის მერკელისა და სხვათა ვიზიტები საქართველოში. ევროპელმა ლიდერებმა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებმა, რომლებმაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თავიანთ თავზე გამოსცადეს რუსული იმპერიალისტური აგრესიის სუსხი, მთელი სიმკაცრით დააყენეს ყოველგვარი სანქციების დაწესება რუსეთის წინააღმდეგ[3].

საზოგადოებას კონფლიქტის დაწყებისთანავე გაუჩნდა კითხვები, თუ რას მოიმოქმედებს ევროპა რუსული იმპერიალისტური ამბიციების მოსათოკად. ზოგს მიაჩნდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ უნდა განხორციელდეს ღია დიპლომატიური წნეხის პოლიტიკა, ხოლო საქართველოს მიმართ უნდა კი დიპლომატიური მხარდაჭერის გარდა, უფრო მეტი პოლიტიკა, ხოლო ზოგი მიიჩნევს, რომ საქართველომ ბევრი გააკეთა ბალკანეთსა და ერაყში ნ ა ტ ო-ს მხარდასაჭერად, ამიტომ საქართველოს მიტოვება ამ ძნელბედობის ჟამს გამართლებული არ იქნება. რუსეთის მიმართ ევროპამ და ამერიკამ უნდა განახორციელოს ძალის პოლიტიკა. რუსეთმა უნდა იგრძნოს ის, რომ ბოროტება დაუსჯელი არ დარჩება.ბევრი კი თვლის, რომ რუსეთის ოლიგარქიული მილიონები გასათეთრებლად ევროპასა და ამერიკაში მიედინება, ამიტომ თუ ამ გზას გადაუკეტავენ, მაშინ იმპერიალისტები სულ სხვა ხმაზე დაიწყებენ საუბარს [4].

ევროპამ გასარკვევად თქვა: „საქართველოში შექმნილი ვითარება მხოლოდ ამ ქვეყნის პრობლემა არ არის. ვითარების სტაბილიზაციისა და მშვიდობის დასამყარებლად ევროპამ და მასთან ერთად მთელმა მსოფლიომ უნდა იზრუნონ. მშვიდობის დამყარების დოკუმენტი მხოლოდ დოკუმენტად არ უნდა დარჩეს. რეალურად უნდა ვიმოქმედოთ და საქართველო არ მივატოვოთ“[5].

აგვისტოს მძიმე დღეებში, ევროპა საქართველოს დახმარებას არა თუ სთავაზობდა, არამედ აქტიურად იყო ჩართული ომამდე და ომის შემდეგაც ჩვენს სამშობლოში მიმდინარე პროცესებში. ევროპამ პირველსავე დღეებში დაიწყო ამ აგრესიაზე საუბარი. უკვე მეორე დღესვე ევროპელმა ლიდერებმა დაიწყეს სერიოზული განცხადებების გაკეთება, სერიოზული დაწოლა დიპლომატიური არხებით. ასე, რომ ევროპამ გააკეთა ყველაფერი სიტუაციის დასარეგულირებლად. ეს ნამდვილად კარგია და საქართველომ ეს კურსი უნდა გააგრძელოს. ევროპის მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისათვის არის მნიშვნელოვანი.

საინტერესოა ევროპარლამენტის დადგენილება, რომელშიც ნათლად არის გამოაშკარავებული რუსეთის აგრესიული სახე:

„რუსეთს საკუთარი საქციელი აშორებს იმ პრინციპებისაგან, რომელიც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ეხება. როდესაც არის მცდელობა დაიპყრო და გაანადგურო მეზობელი, პატარა ქვეყანა, როდესაც ბომბავ მის ქაალაქება და უსწორდები მშვიდობიან მოსახლეობას, როდესაც მიწასთან ასწორებ მის ინფრასტრუქტურას და გსურს ეს ინფრასტრუქტურა ისე გამოიყვანო მწყობრიდან, რომ შემდეგ მისი აღდგენა დიდხანს ვერ მოხერხდეს, როდესაც ანადგურებ მეზობელი ქვეყნის სამხედრო მრეწველობას, სწორედ ეს ხდის რუსეთს იზოლირებულს დანარჩენი ცივილიზეირებული სამყაროსაგან. რუსეთის სამხედრო ქმედება შეუთავსებელია იმ სამშვიდობო როლთან, რომელის მას აკისრია და ასევე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრინციპებთან. ევროპის მხრიდან რეაგირების გარეშე არ დარჩება რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ“ **[6].**

ევროპა მიიჩნევს, რომ მომავალში რეგიონში სამშვიდობო პროცესი მისი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა წარიმართოს. იგი კატეგორიულად მოითხოვს რუსეთისათვის მედიატორის როლის ჩამორთმევას. ევროპა კარგად აცნობიერებს იმას, რომ თუ ისინი ახლა საქართველოს მიატოვებენ ამ ძნელბედობის ჟამს, შემდეგ უკრაინის ჯერი დადგება და რეალურად მთელი აღმოსავლეთი ევროპა ცივი ომის დროინდელ ვითარებას დაუბრუნდება. ევროპამ უნდა შეასრულოს წამყვანი და უმნიშვნელოვანესი როლი, რათა უზრუნველყოს თავისუფლება და კეთილდღეობა რეგიონში. მართლაც, ევროპამ გამოგზავნა საქართველოში მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც დაიწყო რეგიონში სიტუაციის გაკონტროლება. ევროპული დელეგაციები, რომლებიც ხშირად ჩამოდიან საქართველოში, თანადგომას უცხადებენ ქართველ ხალხს. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები, სადაც განიხილეს რეგიონის პრობლემები.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი. იმ მძიმე აგვისტოს დღეებში თვით ევროპის სახელმწიფოების დედაქალაქებში მიმდინარეობდა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის მკაცრი განხილვა. მაგ, გერმანიის კანცლერმა მერკელმა მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოითხოვა ქვეყნ-

ის ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანა. ასეთივე პოზიცია დააფიქსირა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბრაუნმა და მოსკოვის ქმედებები არანორმალურად მონათლა. როდესაც მოსკოვმა საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა, პოლონეთის პრეზიდენტმა კაჩინსკიმ ამ ქმედებას ამორალური უწოდა და განაცხადა, რომ მოსკოვს ეს ნაბიჯი ძვირად დაუჯდება, რადგან თვით მის ტერიტორიებზე მალე შეიქმნება დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რადგან რუსეთის იმპერიაში მყოფი კავკასიის ავტონომიური ერთეულები ასევე მოითხოვს სავსებით კანონიერად და სამართლიანად დამოუკიდებლობას. ევროკომისიის თავმჯდომარემ ბაროზომ არაორაზროვნად განაცხადა, რომ ევროპა არასოდეს არ დაუჭერს მხარს სეპარატისტებს და თვით მოსკოვს ბუმერანგივით დაუბრუნდება ეს ქმედება, ამიტომ კრემლის მესვეურები უნდა დაფიქრდნენ და უკანვე წაიღოს ეს არასწორი გადაწყვეტილებაო [7].

საქართველო არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა და ბუნებრივია კავშირები ამ მიმართულებით სულ ვითარდება. ქართველები აქტიურად მონაწილეობენ ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიების მუშაობაში და სხდომებზე ილაშქრებენ ყოველგვარი რუსული ავანტიურის წინააღმდეგ. რაც უფრო გადის დრო ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და ნ ა ტ ო-ს საქმიანობის ჰარმონიზაციის საკითხი სულ უფრო მეტ ჟღერადობასა და აქტუალობას იძენს, რაც ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ევროპა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო პოლიტიკაში და შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის დამყარების პროცესზე.

გამომდინარე იქედან, ჩვენი ქვეყნის უმთავრეს მიზანს, სწორედ ევროპაში ინტეგრაცია უნდაწარმოადგენდეს. მიზნის მისაღწევად საქართველო ცდილობს ევროსტუქტურებში გაწევრიანებით განვითარებულ მსოფლიოს დაუახლოვდეს ევროპული სამყაროს სრულუფლებიან წევრად იქცეს. ევროინტეგრაციის გზაზე სახელმწიფოს ორიენტირი, ცხადია უმაღლესი წერტილის მიღწევა უნდა გახდეს. უმაღლეს წერტილად კი ევროკავშირის

წევრობა უნდა მივიჩნიოთ, რადგან მსოფლიოში არ არსებობს არცერთი გაერთიანება, რომელიც სახელმწიფოთა ერთობას ამ ორგანიზაციაზე მეტად უსვამს ხაზს. აქედან გამომდინარე, საქართველო - ევროპის თანამშრომლობას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ევროპული ინტეგრაციის ,,საზომად" ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ურთიერთობისას საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებები თუ პრობლემები ან წარუმატებლობები უნდა მივიჩნიოთ[**8**].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში გაწევრიანება არ უნდა იქცეს სახელმწიფოსთვის თვითმიზანი, რადგან ევროპაში ინტეგრაცია ევროკავშირშიც გაწევრიანების გარეშეც არის შესაძლებელი (შვეიცარია, ნორვეგია), თუმცა მისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რეკომენდაციების გათვალისწინებას და სხვადასხვა მოთხოვნის ეფექტურ შესრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ევროინტეგრაციის გზაზე: „ევროკავშირი საქართველოსათვის შუქურად უნდა იქცეს, ჩვენი ქვეყანა მის მიხედვით უნდა მოძრაობდეს და არა მის უშუალო მიღწევაზე ოცნებობდეს."

ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოსათვის-საქართველოსათვის, ევროპული ინტეგრაციის მოღწევები წარმოადგენს აღფრთოვანების საგანს და მიმზიდველ მაგალითს, რადგან ევროპის მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიისა და მშვიდობის განვითარებას, მოქალაქეთა კეთილდღეობას და დოვლათის სამართლიან განაწილებას.

ევროპისა და მისი სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნად განპიროვნებულია მისი მუშაობის მექანიზმით. ის ქვეყნები, რომლებიც შეადგენენ ევროკავშირს, დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყნებია, მაგრამ ისინი აერთიანებენ თავ-თავიანთ სუვერენიტეტს, რათა მიაღწიონ ისეთ ძლიერებას და მსოფლიო გავლენას, რომლებსაც ცალ-ცალკე ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევდა. რეალობაში სუვერენიტეტის გაერთიანება ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების თავიანთი უფლებამოსილების ნაწილს სახელმწიფოები გადასცემენ მათ მიერვე შექმნილ ევროპულ ინსტიტუტებს, რაც მიზნად ისახავს

საერთო ინტერესის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებათა ევროპულ დონეზე დემოკრატიულად მიღების შესაძლებლობას.

დღეს, ევროპასთან ინტეგრაციას ხელს უშლის და შემაფერხებელი ფაქტორია შიდა და გარე კონფლიქტების არსებობა, რადგან საქართველოს ევროპა ერთიანი კავკასიის ფარგლებში განიხილავს და დასავლეთში სრულფასოვანი ინტეგრაცია ამ კონფლიქტების მოგვარების გარეშე შეუძლებელია.

რთული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე კავკასიაში არახელსაყრელი საინვესტიციო გარემო ჩამოყალიბდა, რაც რეგიონის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს. გარდა აღნიშნული კონფლიქტებისა, ძალზე უარყოფით როლს ასრულებს სასამართლო სისტემის არაეფექტური ფუნქციონირება, რაც გამოიხატება იმაში, რომ საინვესტიციო დავების მოგვარება პრაქტიკულად შეუძლებელია. სამწუხაროდ სასამართლო რეფორმა საქართველოში არც ისე წარმატებული აღმოჩნდა. აქვე, ევროპელი ექსპერტები ითვალისწინებენ აგრეთვე ინფრასტრუქტურის დაბალ განვითარებას.

ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად რჩება დემოკრატიული და გამჭვირვალე სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება, რაც ევროკავშირის მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს.

საქართველო საკმაოდ ღარიბია რესურსებით, რომლითაც ევროპული სახელმწიფოები შეიძლება დაინტერესდნენ. მაგალითად აზერბაიჯანი საკმაოდ ეფექტურად სარგებლობს ამ რესურსით.

არასამთავრობო სექტორი ევროინტეგრაციის კუთხით ნაკლებად აქტიურია და საქართველოში სულ რამდენიმე ამგვარი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. ზოგადად არასამთავრობო სექტორის განვითარება ევროპის მნიშვნელოვან მოთხოვნასაც წარმოადგენს და საზოგადოებრივ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს[**9**].

ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობის თვალსაზრისით, აუცილებელია ევროსტრუქტურებთან უფრო აქტიური თანამშრომლობა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო დონეზე და

მათი რეკომენდაციების გათვალისწინება. უდიდესი მნიშვნელობა აქვსევროკავშირის მისიის მონიტორინგის შედეგად შემოთავაზებული რეკომენდაციების შესრულებას. ასევე ყოველწლიური რაპორტების დაწვრილებით გაცნობას და მათ საფუძველზე არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებას. საქართველომ მომავალში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გათვალისწინებით უნდა დასახოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ჩვენს მომავალს, რადგან აღნიშნული სამეზობლო პოლიტიკა კავკასიის სახელმწიფოებისათვის ევროპასთან ურთიერთობის ერთადერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, პლურალიზმის განმტკიცება, მასმედიის დამოუკიდებლობა, უსაფრთხო ბიზნეს გარემოს შექმნა, რეგიონალური თანამშრომლობა, საქართველოში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესის გამჭვირვალობის წახალისება, კორუფციასა და სიღარიბესთან ბრძოლის გააქტიურება და კონფლიქტებისა და რეფორმების მონიტორინგი – აი ის ძირითადი მოთხოვნები, რომლის შესრულებასაც ევროპა საქართველოს ავალდებულებს და ევროპასთან მომავალი თანამშრომლობა სწორედ ამ მოთხოვნების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული. ასევე ევროპა მიიჩნევს, რომ აუცილებელია ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა, რომლის გარეშეც პოლიტიკური და სოციალური საკითხების მოგვარება კიდევ უფრო გართულდება, ვინაიდან ეკონომიკის განვითარებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. საქართველომ დღეს ბევრი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ნაკლებად დაზარალებული გამოვიდეს მსოფლიოში გამძვინვარებული ეკონომიკური კრიზისიდან, რომელმაც ბევრი წამყვანი ქვეყანა გააკოტრა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ძალიან გაუჭირდება, რადგან პატარა ქვეყნები უფრო ზარალდებიან ასეთ სიტუაციებში.

დასკვნა

დასაწყისში ვახსენე, რომ საქართველოს ხსნა ევროპაშია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მომავალი ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობაზე იქნება დამოკიდებული. ევროპამ კონფლიქტის

პირველსავე დღეებში თავი გამოიჩინა და ჩვენი ქვეყნისადმი დახმარების გაწევით, შეძლო ვითარების დარეგულირება. ევროპა მომავალშიც გააკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ რეგიონში სუფევდეს მშვიდობა. რა თქმა უნდა, ჩვენზეც ბევრია დამოკიდებული. ჩვენ საქმეს სხვები არ გაგვიკეთებენ. ჩვენ უნდა შევძლოთ საერთო ენის გამონახვა როგორც ჩვენს მოჯანყე რეგიონებთან, ასევე მეზობლებთანაც. შუამავლობას ამ საქმეში ევროპელები ნამდვილად გაგვიწევენ. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ევროპელების დახმარებითა და შუამავლობით ჟენევაში შედგა დიალოგი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სეპარატისტული, მოჯანყე რეგიონების წარმომადგენლები. იმედია, ასეთი შეხვედრები ევროპელების დახმარებით მომავალშიც გაიმართება და შესაძლებელია რაღაც პოზიტიურ შედეგებსაც მივაღწიოთ. ფაქტი კი ნამდვილად ერთია, საქართველოს მომავალი ევროპაშია და ქვეყნის მთელი ძალისხმევა აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 აგვისტო, 2008;
2. მენაბდე ლ., ვახტანგ VI, თბ.,1963;
3. გაზეთი „ახალი თაობა“, 18 აგვისტო, 2008;
4. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 25 სექტემბერი, 2008;
5. გაზეთი „24 საათი“, 2 სექტემბერი, 2008;
6. გაზეთი „რეზონანსი“, 28 აგვისტო, 2008;
7. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 სექტემბერი, 2008;
8. გრიშიკაშვილი ა., გარდამავალი ეკონომიკური ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია, თბ., 2005;
9. ხმალაძე კ., ხმალაძე ი., საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების პრობლემები და მათი დაძლევის გზები, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში (შრომების კრებული), ტ. V, თბ., 1999.

Otar Gogolishvili

Europe will rescue Georgia

Abstract

Georgia had great troubles during the conflict of August, 2008. The Russian neo-empire began a direct aggression against Georgia. A lot of civilians were killed and lots of civil buildings were destroyed as a result of the Russian neo-imperialism.

On those difficult days Georgia was supported by Europe. From the very beginning Europe immediately required from Russia to stop this act of aggression and the military action. The direct support of the European leaders, including their arrival in Tbilisi on those days, took a great part in bringing to a halt the active part of the Russian aggression.

დავით ეცადეიშვილი

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი 1990-1991 წწ.

აბსტრაქტი

მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანი გზით შეიცვალა. ძალაუფლება კანონიერად, დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებში წარმატების შედეგად ხელში აიღო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებულმა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა.

დამოუკიდებლობის პირველი წელი საშინაო პრობლემებით დახუნძლული იყო. მიუხედავად ამისა საქართველოს მიმართ ინტერესი არ განელებულა მსოფლიოს სახელმწიფოების მხრიდან.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს საგარეო პოლიტიკა; ურთიერთობები თურქეთთან, ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან.

შინაარსი

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანი გზით შეიცვალა. ძალაუფლება კანონიერად, დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებში წარმატების შედეგად ხელში აიღო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებულმა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა.

დამოუკიდებლობის პირველი წელი საშინაო პრობლემებით დახუნძლული იყო. მიუხედავად ამისა საქართველოს მიმართ ინტერესი არ განელებულა მსოფლიოს სახელმწიფოების მხრიდან.

1990 წლის 25 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ედგარ სავისაარის მეთაურობით. შეხვედრები გაიმართა საქართველოს

მთავრობის წევრებთან პოლიტიკურ, სამეურნეო, სოციალურ და კულტურულ სფეროში ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის მიზნით [**ახალი საქართველო,1990:N12.27.11**]. 1990 წლის 27 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თ. სიგუამ და ე. სავისაარიმ ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებას [**ახალი საქართველო, 1990:N13-14.29.11**].

საქართველოს ეროვნული ხელისუფლება დაინტერესებული იყო ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან ახლო ურთიერთობით, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა თურქეთთან პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ურთიერთობას. აღსანიშნავია, რომ იგივე ინტერესი გამოიხატებოდა თურქეთის სახელმწიფოს მხრიდანაც. აქედან გამომდინარე საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული მთავრობის მოსვლისთანავე 1990 წლის დეკემბერში ორი თურქული დელეგაცია ეწვია თბილისს, პირველად საქართველოს ეწვივნენ თურქი პარლამენტარები თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა კავშირის პრეზიდენტი ჰასან კორკ მაზ-ჯანი. ზვიად გამსახურდიას და მაზ-ჯანის შეხვედრისას ფარდა აეხადა იმ სიძნელეებს რაც ორ ქვეყანას შორის წარსულში იყო. ორივე მხრიდან სურვილი გამოითქვა მომავალი კეთილმეზობლური ურთიერთობებისა[**საქართველოს რესპუბლიკა,1990: N2.7.12**].

ასევე, საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის დელეგაცია ტრაპიზონის ვილაიეთის გუბერნატორის ენვერ ჰიზლანის მეთაურობით. საქართველოს პრემიერ მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას ტრაპიზონის გუბერნატორმა გამოთქვა იმედი ტრაპიზონის ვილაიეთსა და საქართველოს შორის საქმიანი ურთიერთობის და თანამშრომლობის შესახებ [**საქართველოს რესპუბლიკა,1990: N17.27.12**].

4 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ მიიღო ფრანგ და ბელგიელ ბიზნესმენთა დელეგაცია, რომლებიც წარმოადგენდენ ბელგიის ერთ-ერთ წამყვან ფირმას „სპორტიმპორტს“, საქართველოში ისინი ჩამოვიდნენ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის

მშენებლობის შემოთავაზების მიზნით. მთავრობის თავმჯდომარე მიესალმა ასეთი ქარხნის მშენებლობის საქმეს [**საქართველოს რესპუბლიკა,1991:N46.8.03**].

ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე მოლაპარაკებების წარმოების მიზნით 1991 წლის 5 მარტს საქართველოს მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი შეერთებულ შტატებში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი და ცნობილი ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე, კალიფორნიაში შეხვდნენ შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს რონალდ რეიგანს. ასევე შეხვდნენ სენატორებს [**საქართველოს რესპუბლიკა,1991: N48.12.03**].

1991 წლის 15 მარტს მოსკოვში, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მეტლოკის რეზიდენციაში, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი შეხვდა მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელებს და საზოგადოების წარმომადგენლებს. შეხვედრაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. საუბარი შეეხებოდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეფორმებს. ზვიად გამსახურდიას შეფასებით საბჭოთა კავშირში რეფორმები აღარ მიმდინარეობდა და ხდებოდა მობრუნება ტოტალიტარული სახელმწიფოს ძველი პრაქტიკისკენ [**საქართველოს რესპუბლიკა,1991: N53.19.03**].

აშშ-ს მთავრობის საქართველოთი დაინტერესება გამოიხატებოდა 1991 წლის 29 მარტს საქართველოს დედაქალაქში კიევიდან სპეციალური რეისით ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის ჩამოსვლით [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N61.30.03**].

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრისას რიჩარდ ნიქსონმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტი არაოფიციალური იყო მას პრეზიდენტის დავალება ჰქონდა საქართველოს პოლიტიკური ვითარების მისთვის გაცნობა. ასევე, აღნიშნა, რომ ამერიკელი ხალხი და მთავრობა დიდ პატივს სცემდა ქართველი ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას და იმედი გამო-

თქვა, რომ საქართველოში გარდამავალი პერიოდი უსისხლოდ დამთავრდებოდა [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N61.30.03**].

2 მაისს ზვიად გამსახურდიამ მიიღო საქართველოს რესპუ-ბლიკაში მყოფი თურქეთის რესპუბლიკის დელეგაცია, კერძოდ: პოლიტუიკურ მოღვაწეთა, საქმიანი წრეების წარმომადგენელთა და მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც საქართველოს ეწვია მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ სიმპოზიუმში მონაწ-ილეობის მისაღებად. ისინი უნდა გაცნობოდნენ მთიანი რეგი-ონებისათვის ეკოლოგიურად სუფთა და ეფექტიანი საბაგირო და ცალრელსიანი ტრანსპორტის შექმნისა და განვითარების საქარ-თველოს გამოცდილებას.

საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიულ საკითხებს. ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ საბჭოურ პრესაში გამოჩნდა ინფორმაციები თითქოს თურქეთს საქართველოს მიმართ ჰქონ-ოდა ტერიტორიული პრეტენზიები [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N88.7.05**]. ასევე, ზ. გამსახურდიამ დაუდასტურა თურქეთს, რომ ყოფილ ქართულ პროვინცია სამცხეზე არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა [**რეიფილდი,2019:365**].

22 ივნისიდან 2 ივლისამდე გერმანიაში საარის მხარის მთავ-რობის მიწვევით ოფიციალური ვიზიტით და საფრანგეთში საფ-რანგეთ-საქართველოს საზოგადოების მიწვევით იმყოფებოდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომი-სიის თავმჯდომარე თედო პაატაშვილი და იმავე კომისიის ეკო-ნომიკური კავშირის ქვეკომისიის თავმჯდომარე ლევან ასათ-იანი. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, კერძოდ: ტურიზმის, ბანკების ურთიერთთანამშრომლობის, კვების პროდუქტების ერთობლივ წარმოებაზე[**საქართველოს რესპუბლიკა,1991:N3. 18.07**].

ასევე სხვადსხვა სახის პოლიტიკური, კულტურული, სოცი-ალურ-ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, გარემოს დაცვის სფეროში, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის და სხვა საკითხებზე გაფორმებული იქნა შეთანხმებები, აგრეთვე წარმოებული იქნა მოლაპარაკებები აზერბაიჯანის [**საქართველ-ოს რესპუბლიკა, 1990: N3.9.12**], ავსტრიის [**საქართველოს**

რესპუბლიკა, 1990: N1.6.12], მოლდავეთის, ბელგიის [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N99-100.22.05**], უნგრეთის [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N222.13.11**], პოლონეთის [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N143.24.07**], ლატვიის [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N240.7.12**], რუსეთის [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N136-137.13.07**], სახელმწიფოებთან, ევროპარლამენტთან [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N141.20.07**] .

1991 წლის 7 სექტემბერს სახელმწიფო რეზიდენცია „კრწანისში“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო აშშ-ს კონგრესის წევრები. საუბარი შეეხებოდა აშშ-ს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის დაყოვნებას და 2 სექტემბრის მოვლენებს.

იმავე დღეს კონგრესმენთა დელეგაცია შეხვდა საპარლამენტო ოპოზიციის წევრებს, ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის“ თავმჯდომარეს ნოდარ ნათაძეს და ეროვნულ კონგრესში გაერთიანებულ სხვა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლებს. ამერიკელი სტუმრები დაინტერესდნენ ოპოზიციის საქმიანობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის პრობლემებით, საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების სხვა საკითხებთ [**საქართველოს რესპუბლიკა,1991: N175.10.09**].

საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებული იყო ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტური ვითარების განმუხტვით. ამ მიზნით, 1991 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მოუწოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს შეეწყვიტათ მათ შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტი. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული პრობლემების პოლიტიკური გზით მოგვარების მიზნით ზვიად გამსახურდიამ მათ შესთავაზა თბილისში მოლაპარაკებების დაწყება [**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N233.27.11**], მესამე ძალის გარეშე[**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N148.30.07**].

ზ. გამსახურდიას ხელისუფლების მიერ მიღწეული იქნა რამდენიმე სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლ-

ობის აღიარება. სულ საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო ყაზახეთმა, რუმინეთმა, მოლდავეთმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, უკრაინამ და თურქეთმა[**საქართველოს რესპუბლიკა, 1991: N249-250.21.12**].

დასკვნა

ამრიგად, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის საგარეო პოლიტიკა შეიძლება შევაფასოდ, როგორც აქტიური და ქვეყნის ინტერესებისკენ მიმართული. პირველი ეროვნული ხელისუფლების საშინაო პრობლემებით გადატვირთულობის მიუხედავად ეროვნულმა მთავრობამ აწარმოა მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკა. საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა ნაბიჯები მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან, როგორც კეთილმეზობლური, ასევე, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირების დასამყარებლად. ეს იყო პირველი გამოუცდელი დიპლომატიური ურთიერთობები, რომლებმაც მომავალში ჩვენი ქვეყნისათვის დადებითი შედეგები მოიტანა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ახალი საქართველო, 27 ნოემბერი, 1990, N12;
2. ახალი საქართველო, 29 ნოემბერი, 1990, N13-14;
3. საქართველოს რესპუბლიკა, 6 დეკემბერი, 1990. N1
4. საქართველოს რესპუბლიკა, 7 დეკემბერი, 1990, N2;
5. საქართველოს რესპუბლიკა, 9 დეკემბერი, 1990, N3;
6. საქართველოს რესპუბლიკა, 27 დეკემბერი, 1990, N17;
7. საქართველოს რესპუბლიკა, 8 მარტი, 1991, N46;
8. საქართველოს რესპუბლიკა, 12 მარტი, 1991, N48;
9. საქართველოს რესპუბლიკა, 19 მარტი, 1991, N53;
10. საქართველოს რესპუბლიკა, 30 მარტი, 1991, N61;
11. საქართველოს რესპუბლიკა, 7 მაისი, 1991, N88;

12. საქართველოს რესპუბლიკა, 22 მაისი, 1991, N99-100;
13. საქართველოს რესპუბლიკა, 13 ივლისი, 1991, N136-137;
14.საქართველოს რესპუბლიკა, 18 ივლისი, 1991, N3;
15. საქართველოს რესპუბლიკა, 20 ივლისი, 1991, N141;
16. საქართველოს რესპუბლიკა, 24 ივლისი, 1991, N143;
17. საქართველოს რესპუბლიკა, 30 ივლისი, 1991, N148;
18. საქართველოს რესპუბლიკა, 10 სექტემბერი, 1991, N175;
19. საქართველოს რესპუბლიკა, 13 ნოემბერი, 1991, N222;
20. საქართველოს რესპუბლიკა, 27 ნოემბერი, 1991, N233;
21. საქართველოს რესპუბლიკა, 7 დეკემბერი, 1991, N240;
22. საქართველოს რესპუბლიკა, 21 დეკემბერი, 1991, N249-250;
23. დონალდ რეიფილდი, საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი, გამომცემლობა პალიტრა L, 2019 წ. გვ. 365.

Etsadeishvili Davit

Some Issues of Georgia's Foreign Policy 1190-1991s

Abstract

A new national government had many challenges to deal with inside and outside the country as well. Unfortunately, deeply complicated inside conditions gave the small period of time to the first national government for active foreign policy. However we cannot assess the foreign policy as passive during the first national govrnment despite the fact that it took small period of time. But it is worth mentioning that the complicated inside policy relations, high confrontation between the govrnment and oppostiional parties have made negative impact at foreign relations, these complications were noted towards USA and Russian Federation.

Despite of small period of time and inside complications various kinds of cooperation and other kinds of Agreements were concluded in political, cultural, socio-economic, agricultural, trading, environmental protection fields and negotiations were carried with Azerbaijan, Austria, Moldova, Belgium, Hungary, Poland, Latvia, Russian federation, euro-parliament.

According to the Author's evaluation foreign policy of national government was the first inexperienced diplomatic relations which earned positive results for our country.

თამილა ლომთათიძე, მანუჩარ ლორია

ტრადიციულ ღირებულებათა ახალ რეალობასთან ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი პოსტტოტალიტარულ ბათუმში

აბსტრაქტი

გლობალიზაციამ, ურბანიზაციის ტენდენციების ზრდამ, ყოფის სტანდარტიზაციამ, ტრადიციების რღვევამ გამოიწვია ეთნოკულტურული ელემენტების შეუქცევადი ცვლილებები. ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე, აჭარის მთის სოფელი საკმაოდ ჩაკეტილ, ნაკლებად ცვლად, ერთგვაროვნებაზე ორიენტირებულ სივრცეს წარმოადგენდა. პოსტტოტალიტარულ პერიოდში ეს დაბრკოლებები მოიხსნა. სოფლად შექმნილმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, ცხოვრების დონის დაცემამ გამოიწვია მიგრაციული პროცესების გააქტიურება. თანამედროვე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულ-რელიგიურმა პროცესებმა ცვლილებათა ეპიცენტრში მოაქცია ბათუმი, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს და ხასიათდება რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელითა და სინთეზით. ბათუმის ეთნოკონფესიური სურათი კიდევ უფრო შეიცვალა პოსტსაბჭოთა პერიოდში, რაშიც, სხვა მოვლენებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აჭარაში გააქტიურებულმა შიგამიგრაციულმა პროცესებმა. სტატიაში გაანალიზებულია მიგრირებული მოსახლეობის ახალ სოციო-კულტურულ გარემოში ინტეგრაციის პრობლემები და ადაპტაციის სტრატეგიები.

საკვანძო სიტყვები: ტრადიცია, ინოვაცია, შიდამიგრაციები, ისლამი, ადაპტაცია, ინტეგრაცია.

შინაარსი

გლობალიზაციამ, ურბანიზაციის ტენდენციების ზრდამ, ყოფის სტანდარტიზაციამ, ტრადიციების რღვევამ გამოიწვია ეთნოკულტურული ელემენტების შეუქცევადი ცვლილებები. ეს პროცესები განსაკუთრებით იკვეთება ქალაქში, რომელიც აერთიანებს და კრავს სხვადასხვა ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების ადამიანებს, საშუალებას აძლევს მათ კონტაქტები დაამყარონ სხვა კულტურების მატარებელ ინდივიდებსა და ხალხებთან და გამოუმუშავდეთ სხვა ხალხების ტრადიციულ კულტურებთან საერთოს განცდა [**ლომთათიძე, რურუა, 2008**], რაც, თავის მხრივ თანამედროვე ტრანსკულტურული საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

თანამედროვე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულ-რელიგიურმა პროცესებმა ცვლილებათა ეპიცენტრში მოაქცია ბათუმი, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს და ხასიათდება რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელითა და სინთეზით. ბათუმის ეთნოკონფესიური სურათი კიდევ უფრო შეიცვალა პოსტსაბჭოთა პერიოდში, რაშიც, სხვა მოვლენებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აჭარაში გააქტიურებულმა შიგამიგრაციულმა პროცესებმა.

ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე, აჭარის მთის სოფელი საკმაოდ ჩაკეტილ სივრცეს წარმოადგენდა. ამ ჩაკეტილობას აჭარის ისტორიული წარსულიც განაპირობებდა. XVI საუკუნის 60–იანი წლებიდან აჭარა, ისე, როგორც სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეები, ოსმალთა მფლობელობაში მოექცა და გავრცელება დაიწყო ისლამმა. ამის მიუხედავად, აჭარის მოსახლეობამ მრავალი ასეული წლის განმავლობაში შეინარჩუნა ეროვნული ტრადიციები, ცხოვრების ქართული წესის თვითმყოფადი რეალიები, მშობლიური ქართული ენა, ყოფისა და კულტურის არაერთი ძირძველი ელემენტი. 1877–1878 წლების რუსეთ–თურქეთის ომის შედეგად აჭარა ერთიან ქართ-

ულ სივრცეს დაუბრუნდა. 1921 წელს, რუსეთის მიერ ამიერკავ-კასიის დაპყრობის შემდეგ, 16 მარტის მოსკოვის, ხოლო შემდ-გომ, 13 ოქტომბრის ყარსის თურქეთ-ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამშვიდობო ხელშეკრულებებით, საზღვრის გავლების შემდეგ, ორად გაყოფილი აღმოჩნდა არა მხოლოდ აჭარის სოფლები, არამედ ოჯახებიც კი. ნათესავების ნაწილი თურქეთის ფარგლებში დარჩა და ბუნებრივია, ამან, ერთი მხრივ, გამოიწვია აჭარის მოსახლეობის გარკვეული პროტესტი და უნდობლობა მოსახლეობისადმი მთავრობის მხრიდან. ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლებამ საზღვრისპირა სოფლებში მოაწყო სასა-ზღვრო გამშვები პუნქტები. მხოლოდ ამ პუნქტებზე გულდასმით შემოწმების გავლის შემდეგ შეეძლო გლეხს აჭარის მთიანი სოფ-ლიდან ბათუმში ჩამოსვლა და შემდეგ უკან დაბრუნება. ამდ-ენად, აჭარის სოფელი ფაქტიურად მოწყვეტილი იყო გარესამყა-როს, რამაც განაპირობა კიდეც აქ კარჩაკეტილი ცხოვრების წესის დამკვიდრება. თუმცა პოსტტოტალიტარულ პერიოდში ეს დაბრ-კოლებები მოიხსნა. სოფლად შექმნილმა ეკონომიკურმა არას-ტაბილურობამ, ცხოვრების დონის დაცემამ გამოიწვია მიგრ-აციული პროცესების გააქტიურება და ახალ სოციო-კულტურულ გარემოში ინტეგრაციის პრობლემების წინაშე დააყენა მიგრი-რებული მოსახლეობა. ამიტომაც ტრადიციულ ღირებულებათა და ინოვაციების ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი სწორედ ბათ-უმში წარმოჩნდა თვალნათლივ.

სოფლიდან ქალაქად მიგრირებულებს უწევთ „შეჯახება“ მათთვის ახალ და უცხო ურბანულ, დინამიურ, არაერთგვაროვან გარემოსთან, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ინოვაციური პროცესები, სწრაფად ირღვევა ეთნიკური სტერეოტიპები, მიმდ-ინარეობს ტრადიციული კულტურული ღირებულებების მეტა-მორფოზა და ჩნდება ახალი ორიენტირები. ეს გარემოება მიგრი-რებულთა სოციო-კულტურული ადაპტაციის პრობლემებს ქმნ-ის. ეს პროცესები განსაკუთრებით თვალნათლივ იკვეთება უკანასკნელ პერიოდში ბათუმში სოფლებიდან მიგრირებულთა სულიერი კულტურის სფეროში მომხდარი ცვლილებების შესწა-ვლისას. როგორც ცნობილია, ეთნოკულტურულ ღირებულებათა

შემონახულობის ხარისხი უფრო მაღალია სოფლად. მეცნიერთა არაერთი თაობის კვლევა, სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები, საფონდო და საარქივო მასალები ადასტურებენ, რომ აჭარის სოფელში თანამედროვე ეტაპზეც კი კარგადაა შემონახული არქაული წეს-ჩვეულებები და ტრადიციული ცხოვრების წესი **[სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის..., 2009, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდი].** განსაკუთრებით, აჭარის მთიან სოფლებშია კარგად შემონახული ეთნიკური ტრადიციები. ისინი სოფლიდან მიგრირებულებს თან მოჰყვებათ და ქალაქურ გარემოში მათი ინტეგრირების პროცესი კარგად ასახავს ეთნოკულტურულ ღირებულებათა ტრანსფორმაციის ზოგიერთ ასპექტს. მათ სულიერ კულტურაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ეთნოკულტურულ ღირებულებებზე საყოველთაო გლობალიზაციის პროცესების გავლენის შესახებ. ამიტომაც ტრანსფორმაციის ამ პროცესების წარმოჩენას შევეცდებით სოფლის ტრადიციული ხალხური კულტურისა და ქალაქში მიმდინარე თანამედროვე კულტურული პროცესების ურთიერთქმედების ანალიზის საფუძველზე.

სოფლებიდან ქალაქში მიგრირებულთა სოციოკულტურული ადაპტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რელიგია. იგი, ზოგადად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ თავისებურებებს, ურთიერთდამოკიდებულების ფორმებს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს, თაობებს და სოციალურ ჯგუფებს შორის; ტრადიციულად, აჭარის მთის სოფლები, ფაქტიურად, მონოკონფესიურია და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ისლამის მიმდევარია, თუმცა, ისლამი აქ კლასიკური ფორმით არ გვხვდება. აჭარის სოფლის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში რამდენიმე რელიგიური პლასტია შემონახული. რელიგიათა ურთიერთზეგავლენა სინკრეტული ფორმით აყალიბებდა წეს-ჩვეულებებს. საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური წნეხის გამო, რელიგიური რიტუალები მინიმუმამდე იყო დაყვანილი და მხოლოდ საოჯახო დონეზე სრულდებოდა. სხვა მიზეზებთან

ერთად, ამანაც განაპირობა, რომ აჭარის რელიგიურად თითქმის ერთგვაროვან სოფელში ისლამი კლასიკური სახით არც არსებობდა. მასში ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული დანაშრევებიც გვხვდება. ის სარწმუნოებრივი ელემენტები, რაც აქ ყოფაში იყო დამკვიდრებული უფრო ე.წ. „ხალხურ ისლამს“ განეკუთვნებოდა და ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ისლამური ელემენტების შერწყმით იყო მიღებული. ასეთი გარემოდან ქალაქში მიგრირებულები განსხვავებულ პოსტტოტალიტარულ პერიოდში. მოხდა რელიგიური აღმსარებლობის ლეგელიზაცია და ფართოდ გავრცელებული ორთოდოქსალური რელიგიების ინსტიტუტები ჩაენაცვლა ხალხურ წესებს. ყოფით ისლამს კანონიკური რელიგია ჩაენაცვლა. მთის სოფლებიდან მიგრირებულებისათვის ისლამური პრაქტიკა უფრო კანონიკური გახდა. პრაქტიკულ ცოდნას ემატება თეორიული ცოდნაც. ამავე დროს, ჩამოსულები მეტი რელიგიურობით ხასიათდებიან და თავიანთი რელიგიური აქტიურობით ქალაქის რელიგიურ ცხოვრებასაც აცოცხლებენ. ეს ჩაცმულობაშიც გამოიკვეთა. მაგალითად, ქალაქში სულ უფრო იმატა თავსაბურავიანი მუსლიმი ქალების რიცხვმა. გაიზარდა მუსლიმური მრევლის რიცხვი, მუსლიმები მონაწილეობენ საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში და სხვ. ამგვარად, აჭარის სოფლებიდან ბათუმში მიგრირებულები ახერხებენ გამონახონ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებთან და არსებულ რეალობასთან ადაპტაციის მექანიზმები. სწორედ ამ მექანიზმების წყალობით ჩამოყალიბდა აჭარაში კონფესიათა ტოლერანტული დამოკიდებულება და თავიდან იქნა აცილებული რელიგიური გაუცხოება და დაპირისპირება სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევართა შორის.

საველე კვლევა გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელ ადგილს, ძირითადად, იცვლიან ცვლილებებზე ორიენტირებული ადამიანები, რომლებიც კარგად ახერხებენ ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან ადაპტაციას და ახალ რეალობაზე თავიანთი მოთხოვნილებების მორგებას. ამასთან ინოვაციურ პროცესებთან დამოკიდებულება სხვადასხვანაირი აქვთ ბათუმთან ახლომდებარე სოფლებიდან ჩამოსულ და აჭარის მთიანი რეგიონებიდან

ჩამოსულ მიგრანტებს. ახლო-მახლო მცხოვრებნი ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქალაქის ცხოვრებაში, მაშინ როცა შორეული სოფლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით ეს ურთიერთობები შეზღუდული იყო. ამ ეტაპზე კი ქალაქში სწორედ ასეთი სოფლებიდან ჩამოსულთა ტალღა გაიზარდა. დღის წესრიგში დგება ქალაქში ჩამოსულთა ახალ კულტურულ გარემოში ინტეგრაციის პრობლემა. ანალიზს საჭიროებს ქალაქურ გარემოსთან მათი ადაპტაციის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ეთნოსოციალური ასპექტები. ქალაქის მცხოვრებლები შედარებით ტოლერანტულად არიან განწყობილი ტრადიციული კულტურის ნორმებიდან გადახრის მიმართ, ვიდრე სოფლის მცხოვრებლები. ქალაქურ გარემოში მოხვედრილი მიგრანტების ყოფაში იჭრება სიახლეები: ირღვევა ეთნიკური სტერეოტიპები, მიმდინარეობს ტრადიციული კულტურული ღირებულებების მეტამორფოზა და ჩნდება ახალი ორიენტირები.

ინტეგრაციის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, ტრანსფორმაციას განიცდის ქცევის ტრადიციული სტერეოტიპები. ქალაქი ტრადიციული კულტურის ელემენტების მატარებელ მიგრირებულთათვის ქმნის არა მხოლოდ ცხოვრებისა და საქმიანობის ახალ პირობებს, არამედ ცვლის ურთიერთობათა და ქცევის ტრადიციულ სისტემებს, მათ დამოკიდებულებას მატერიალური და სულიერი კულტურის ტრადიციულ ელემენტებთან. ტრადიციული ღირებულებების ახალ რეალობასთან ინტეგრაციის პროცესში იცვლება საყოფაცხოვრებო ეტიკეტი. ქალაქი შედარებით მიმტევებლურად, ტოლერანტულად ეკიდება ქცევის ტრადიციული წესებიდან გადახრას, ტრადიციული კულტურული ღირებულებების უგულებელყოფას. აქ ნიველირებულია ქცევის ტრადიციული სტერეოტიპები, არის მზარდი ინდივიდუალიზმი. ადამიანი უფრო ორიენტირებულია თავის ინდივიდუალურ მიზნებზე, მაშინ, როცა ტრადიციულ საზოგადოებაში ეს მიზნები უფრო ჯგუფური, კოლექტიურია. აქ მიღებულია მჭიდრო კონტაქტები სხვა ოჯახებთან, მეზობლებთან, თანასოფლელებთან, მაშინ როცა ქალაქურ გარემოში ასეთი ურთიერთობები

მინიმუმამდეა დაყვანილი. ამიტომაც ქალაქში სოფლიდან გადმოსახლებული ადამიანები აქ ეჯახებიან სოფელთან შედარებით „გაუცხოებულ“ ურთიერთობებს, იძულებული არიან აკონტროლონ თავიანთი ემოციები და იყვნენდისტანციურები კონტაქტების დამყარებისას. ადაპტაციის საწყის ეტაპზე გადმოსახლებულებისათვის ეს მიუღებელია და ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ქცევისა და ურთიერთობების ის ფორმები, რაც ტრადიციული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. განსაკუთრებით ცდილობენ შეინარჩუნონ კონტაქტები სოფლებიდან გადმოსახლებულ ასეთივე ოჯახებთან. უფრო მეტიც, ისინი ქალაქში ცდილობენ იმ ტრადიციული „სამყაროს“ რეტროსპექციას, რომელშიც ცხოვრობდნენ სოფელში და, მართალია, ქალაქში ცხოვრობენ მრავალსართულიან სახლებში, ცდილობენ შეიქმნან ერთგვარი „მიკროსამყარო“ - ტრადიციული აგრარული საზოგადოების ერთგვარი მოდელი: იღობავენ ტერიტორიებს ეზოებში, აკეთებენ ბოსტნებს, რგავენ მცენარეებს, ამრავლებენ ქათმებს და ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ სოფლისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი გარემო. თუმცა, ყველაფერი ეს დროებითია და თანდათან ქალაქური ურთიერთობები არღვევს ამ სტერეოტიპებს, რადგან სოფლური ეთნიკური ტრადიციული სოციონორმატიული ქცევის კულტურა თანდათან აღმოჩნდება უმოქმედო, ზედმეტი და დავიწყებას ეძლევა.

სოფლიდან გადმოსახლებულებს ქალაქში თან მოჰყვებათ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთნიკური კულტურის თავისებურებები, ქართულ ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მენტალობა, რაც აქ მზარდი მოდერნიზაციის ტენდენციებს „ამოქმედებას იწყებს მუდმივი სოციოკულტურული ანტითეზა - „ჩვენ-ისინი“, „თავისი-სხვისი“. ეს სხვაობა განსაკუთრებით იჩენს თავს ისეთი სოციალური ინსტიტუტის შემთხვევაში, როგორიცაა ოჯახი. ქალაქი არსებით გავლენას ახდენს ოჯახების შემადგენლობაზე, ფორმებზე, ფუნქციათა განაწილებაზე. დიდი პატრიარქალური ოჯახები, რაც სოფლისათვისაა დამახასიათებელი [**აჩუგბა, 1990**], ირღვევა. ჩვეულებრივ, ქალაქში საცხოვრებლად გადადის, მისი ნაწილი, მშობლების ოჯახისაგან გამოყოფილი

ახალგაზრდა ოჯახი, რომელიც შედგება ორი თაობისაგან - მშობლებისა და შვილებისაგან. ასეთ ოჯახებში ბავშვების რაოდენობაც მცირდება. მრავალშვილიანი ოჯახები, რაც აჭარის სოფლებისთვისაა დამახასიათებელი, ქალაქად გადასახლების შემდეგ ერთ ან ორშვილიანი ოჯახებით იცვლება. ნაწილობრივ, ეს მოვლენა, ქალის საზოგადოებრივი პოზიციის აქტივიზაციითაც აიხსნება. ქალაქში იცვლება ქალის როლი როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. თუ სოფლად ოჯახში მას მხოლოდ დიასახლისის ფუნქცია აკისრია და ოჯახშიც კი ხშირად არა აქვს მას გადამწყვეტი ხმის უფლება, ქალაქში, სადაც ქალის დასაქმებისათვის მეტი შესაძლებლობებია, ის ხშირად ოჯახის მარჩენალის ფუნქციასაც იძენს და, შესაბამისად, იზრდება მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, მისი უფლებები. სოფლელი ქალი ქალაქად ჩართული აღმოჩნდა ფემინიზაციის პროცესებში, შეიცვალა მისი სოციალური სტატუსი და, ხშირად, გადამწყვეტი ხმაც კი მოიპოვა საოჯახო პრობლემების მოგვარებაში.

სოფლებიდან მიგრირებულები ძნელად ელევიან ტრადიციული კულტურის ელემენტებს. ამიტომაც, დიდხანს ინარჩუნებენ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებს. უფრო მეტიც, ხშირად ახალ გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ და აღადგენენ ხოლმე წინაპართათვის დამახასიათებელ ბევრ რიტუალს (ტრადიციული მრავალრიცხოვანი და ხმაურიანი ქორწილები, ნათლობა, რელიგიური დღესასწაულები, სტუმარ-მასპინძლობა, უფროს-უმცროსობა და სხვა) და ქართველთა მარკერებად მიჩნეული ღირებულებების შენარჩუნებით თითქოს იცავენ, ხაზს უსვამენ, საკუთარ თვითმყოფადობას, თავიანთ ტრადიციულ სამყაროს უპირისპირებენ გარემომცველ სამყაროს. პარალელურად, შეიმჩნევა ზოგადად ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისაკენ სწრაფვაც, რაც გამოიხატება ტრადიციული კულტურის ელემენტების (ეროვნული ტანსაცმელი, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების და ა.შ.) ყოფაში აქტიურად გამოყენების ტენდენციაში.

ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ღირებულების ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს

სამოქალაქო დღესასწაულები და სახალხო ზეიმები. ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნოკულტურათა და სხვადასხვა კონფესიების ურთიერთადაპტაციისათვის, რადგან ასეთი თანამედროვე დღესასწაულები (მაგალითად, ბათუმობა) საერთო-სახალხოა, არ განეკუთვნება ერთ რომელიმე რელიგიას, მათში თანაბრად მონაწილეობს ყველა კონფესიური ჯგუფი, რაც, ერთი მხრივ, იწვევს საზოგადოების გამთლიანებას, ადამიანთა სოციოკულტურულ ინტეგრაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთ დღესასწაულებზე თითქოს ხდება წარსულთან ზიარება, ეროვნული ცნობიერების წინა პლანზე წამოწევა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება. რაც თავის მხრივ ტრადიციულ და ინოვაციურ ღირებულებათა ინტეგრაციის ერთ-ერთი მექანიზმია.

ამგვარად, სოფლიდან ქალაქში გადმოსახლებულთა ქალაქურ გარემოში ადაპტირებისას ისინი „ეჯახებიან“ ქალაქური ცხოვრების წესს თავისი სტერეოტიპებით, „სტანდარტებით“, ქცევის ნორმებით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდის ქცევა ქალაქურ გარემოში გარკვეულწილად “ემორჩილება” ამ ფაქტორებს, ეს არ იწვევს მათში ცხოვრების წესის ეროვნული თავისებურებების, ქცევის ტრადიციული პროგრამების სრულ იგნორირებას. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელი გარემოს შეცვლა არ იწვევს ინდივიდის სრულ გარდაქმნას, ზოგიერთ, გარეგნულ ცვლილებას არ მივყავართ შეგნების გარდაქმნამდე და მიუხედავად იმისა, რომ ქალაქურ გარემოში გადმოსახლებულებზე მოქმედებს მთელი რიგი მათთვის უცხო ფაქტორი (მისწრაფება კონტაქტების გაფართოებისაკენ, ცხოვრების მოსაწყობად მტკიცე ეკონომიკური საფუძვლების პოვნისა და შენარჩუნების და ცოდნის გაფართოების აუცილებლობა და სხვ.) და იძულებული არიან შეეგუონ ახალ რეალობას, ამავე დროს, პარალელურად მოქმედებს მისწრაფება, ჩამოიტანონ და შეინარჩუნონ ქალაქში სოფლისთვის დამახასიათებელი ყოფითი კულტურის ელემენტები თავისი ღირებულებითი ორიენტირებით, ტრადიციებით, ნათესაური და მეზობლური კავშირებით **[ლომთათიძე, 2009]**. ამიტომაც, სწორედ სოფლებიდან მიგრირებულთა მეშვეობით, რომლებიც ქალაქელებთან შედარებით მტკიცედ და

ხანგრძლივად ინახავენ ტრადიციულ ღირებულებებს და ამით თითქოს იცავენ ეთნოკულტურის თვითმყოფადობას, თავიანთ მენტალიტეტს და საყოველთაო გლობალიზაციის ნეგატიური გავლენისაგან, ტრადიციული მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალი ელემენტი ნარჩუნდება მოდერნიზაციის პირობებშიც. მეტიც, ამით ისინი ახდენენ უკუზეგავლენას, რის შედეგადაც ხდება ზოგიერთი მივიწყებული ტრადიციის აღდგენა, აღორძინება და ასეთი, მართალია უკვე მოდერნიზებული, გათანამედროვებული, მაგრამ მაინც ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებული ტრადიციების ხელახლა დამკვიდრება ქალაქურ გარემოში. მეორე მხრივ, ტრადიციული ქცევის ნორმები, ეტიკეტი, კულტურული ღირებულებები ქალაქში ექცევიან მოდერნიზაციის გავლენის ქვეშ და ინტეგრირდებიან ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოში.

დასკვნა

აჭარის სოფლებიდან ბათუმში მიგრირებული მოსახლეობა თანდათანობით იმუშავებს არაერთგვაროვან სოციუმში ადაპტაციისათვის აუცილებელ სოციალურ სტრატეგიებს, რაც ქალაქად მულტიკულტურალური საზოგადოების შექმნის და განვითარების ერთ-ერთი პირობაა. ამდენად, სოფლებიდან ქალაქში მიგრირებულთა მეშვეობით ბათუმის ეთნოკულტურა ხდება მოდერნიზებული ტრადიციულობის შენარჩუნებით. რეალურ ცხოვრებაში იქმნება ტრანსკულტურული მოდელი, რომელიც ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების ნაერთს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, 1990;
2. ლომთათიძე თ., რურუა პ., სულიერი კულტურის კვლევა: სტერეოტიპები და განვითარების პერსპექტივები (აჭარის მაგალითზე), ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!" თბილისი, 2008;

3. ლომთათიძე თ., ეთნოკულტურულ ღირებულებათა ტრანს-ფორმაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ბათუმში. კრ. “ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა”, I, ბათუმი, 2009;
4. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), II, ბათუმი, 2009;
5. ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდი, 1958-2018.

Tamila Lomtatidze, Manuchar Loria

Some aspects of traditional values integration into a new reality in post-totalitarian Batumi

Abstract

Globalization, rise of urbanization tendencies, standardization of living, breakage of traditions caused irreversible changes of ethno cultural elements. Due to historical peculiarities, mountainous village of Ajara presented a closed, less changeable, tameness-oriented space. Such barriers were broken in post- totalitarian period. Economic instability and decrease of living standards caused and promoted migration processes amng village population.

The modern political, social-economic and cultural-religious processes put Batumi (which traditionally represented the platform for meeting and cohabitation of different ethno cultures and religious confessions and characterized with diversity and synthesis of religious beliefs and cultural values) to the epicenter of the changes. The ethno confessional picture of Batumi, in line with other factors, was significantly changed by the internal migration processes, increased in Ajara after the Soviet collapse. The paper presents the analysis of the problems and strategies of adaptation of migrated population in new social-cultural conditions.

ციალა ლაგვილავა

„სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ რეპრეზენტაციის ენობრივი საშუალებები (ქართულსა და თურქულ ენებში)

აბსტრაქტი

სიკვდილ-სიცოცხლის ფენომენი მთელ ორგანულ სამყაროს მოიცავს, რაც მის ნომინაციაში განსხვავებასაც იძლევა, კვდომის ობიექტის ბიოლოგიური სტატუსიდან გამომდინარე - საქმე ეხება ადამიანს, ცხოველსა თუ მცენარეს.

ორივე კულტურაში აქტუალურია ამქვეყნიური და იმქვეყნიური სამყაროს ოპოზიცია და მათ შორის კავშირის არსებობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს კავშირი არ არის მონოვექტორულად გაგებული და დასაშვებია ორმხრივი მოძრაობის შესაძლებლობა, რაც ენობრივ ერთეულებშიც ვლინდება.

საკვლევ კულტურებში გამოვლენილმა პრეცედენტულმა ერთეულებმა საშუალება მოგვცა, სამყაროს ხედვის საკითხში კულტურებს შორის კონკრეტული განსხვავებები და ეთნოენობრივ ცნობიერებაში არსებული განსხვავებული აქსიოლოგიაც დაგვეფიქსირებინა.

საკვანძო სიტყვები: სიკვდილ - სიცოცხლის ფენომენი; რეპრეზენტაცია; ენობრივი საშუალებები

შინაარსი

საკვლევ კულტურებში სიკვდილ–სიცოცხლის კონცეპტუალური ველი უნივერსალური ველის ნაციონალურ-კულტურულ მანიფესტაციებს წარმოადგენს, რომლის ინტეგრალური სემებია არსებობა და არარსებობა (არსებობის დასასრული).

არსებობა/არარსებობის პრობლემა დაკავშირებულია მოვლენის ეგზისტენციალურ და პროცესუალურ გაგებასთან. პირველ შემთხვევაში, სიკვდილი და სიცოცხლე წარმოგვიდგება, როგორც არსებობის კვანტორი, ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც მოქმედების კვანტორი, რომლის განხორციელებაც რიგ ფაქტორს უკავშირდება: არის თუ არა დამოკიდებული პიროვნებაზე ობიექტის მიმართება სასიკვდილო აქტის განხორციელების ფორმისადმი და მოქმედების განხორციელების ბუნებრივი თუ ძალადობრივი ხასიათი.

სიკვდილ-სიცოცხლის ფენომენი მთელ ორგანულ სამყაროს მოიცავს, რაც მის ნომინაციაში განსხვავებასაც იძლევა, კვდომის ობიექტის ბიოლოგიური სტატუსიდან გამომდინარე - საქმე ეხება ადამიანს, ცხოველსა თუ მცენარეს.

ორივე კულტურაში აქტუალურია ამქვეყნიური და იმქვეყნიური სამყაროს ოპოზიცია და მათ შორის კავშირის არსებობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს კავშირი არ არის მონოვექტორულად გაგებული და დასაშვებია ორმხრივი მოძრაობის შესაძლებლობა, რაც ენობრივ ერთეულებშიც ვლინდება.

საკვლევ კულტურებში გამოვლენილმა პრეცედენტულმა ერთეულებმა საშუალება მოგვცა, სამყაროს ხედვის საკითხში კულტურებს შორის კონკრეტული განსხვავებები და ეთნოენობრივ ცნობიერებაში არსებული განსხვავებული აქსიოლოგიაც დაგვეფიქსირებინა.

ეთნოსის თვითგამორკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრადიციული მსოფლმხედველობის რეკონსტრუქციას, რომელშიც ასახულია ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობა. სიკვდილისა და სიცოცხლის ფენომენებისადმი ინტერესი დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე.

ცნებები - „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ - რეალური სამყაროს ფენომენები, თავისი დენოტატიური სტატუსით, ანუ მათ მიერ აღნიშნული სინამდვილის ხასიათის მიხედვით, აბსტრაქტულ სუბსტანტიებს წარმოადგენს და ანტონიმურ მიმართებაში იმყოფება. უნდა აღინიშნოს, რომ ანტონიმთა სემანტიკური სიმე-

ტრია სრულიად არ ნიშნავს მათ პრაგმატიკულ თანაბარზომიერებას. თუ კონცეპტებს „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ კოგნიტურ პლანში განვიხილავთ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მათ უკან მდგომი მოვლენები სრულიად განსხვავებულ მიმართებაშია ინდივიდუალურ გამოცდილებასთან. ეს განსხვავება კარგად დაინახა და ჩამოაყალიბა მ. მონტენმა: „რაც შეეხება სიკვდილს, მისი შეგრძნება ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ მას მხოლოდ გონებით ვწვდებით, რადგან სიცოცხლისგან მას მხოლოდ წამი აშორებს“. ნათქვამი კარგად დასტურდება კონცეპტების „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ კომბინატორიკით: „ფიქრი სიკვდილ-სიცოცხლეზე, მაგრამ სიცოცხლეზე - საკუთარზე, სხვისაზე და ზოგადად, სიკვდილზე კი - მხოლოდ სხვისაზე და ზოგადად; აღწერა (დაკვირვებაც კი) სიკვდილ-სიცოცხლისა, მაგრამ სიცოცხლისა - საკუთარის, სხვისი ანდა ზოგადად, სიკვდილისა კი - მხოლოდ სხვისა; გახსენება სიცოცხლისა - საკუთარის ან სხვისა, სიკვდილისა კი - მხოლოდ სხვისა“ [**филос. словарь,2001**].

საკვლევი კონცეპტების ინტერპრეტაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი რეპრეზენტაციის ენობრივ საშუალებებს. კონცეპტუალური მნიშვნელობები სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოიხატება: ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ, პარემიოლოგიურ ერთეულებში. ამასთანავე, საკმაოდ ხშირია კონცეპტის შინაარსის გადმოცემა სამეტყველო ფიგურების (მეტაფორების, მეტონიმიის, სინეკდოქეს, გაპიროვნების) საშუალებით.

არსებობა / არარსებობის პრობლემა საკმაოდ რთული პრობლემაა, რომლის მეცნიერული ინტერპრეტაცია არსებული გაგებისაგან საკმაოდ განსხვავებულია ხალხურ ცნობიერებაში. თუ ნ. ბერდიაევი ეგზისტენციის პრობლემას დროის ფაქტორს უკავშირებს, რომლის დასაბამადაც ის ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის მომენტს მიიჩნევს, დროს, როდესაც ადამიანი მოკვდავად იქცა, ორივე საკვლევ კულტურაში, ისევე, როგორც კულტურათა უმრავლესობაში, სიკვდილი და სიცოცხლე განიხილება, როგორც ერთი დიალექტიკური მთლიანობა, ერთიანი სამყაროს ორი ნაწილი, რომელთა შორის არსებობს გარკვეული კანონზომიერი კავშირი.

მიუხედავად რელიგიათა და იდეოლოგიურ სისტემათა მრავალფეროვნებისა, მხოლოდ ათეიზმი უარყოფს სიკვდილის შემდეგ არსებობის შესაძლებლობას, თუმცა მისი გაგრძელება განსხვავებული კულტურების მიერ არაერთგვაროვნად არის გაგებული. მაგალითად, ინდუიზმის სულთა გრადაციის თეორიის მიხედვით, ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის მიხედვით, მისმა სულმა, შესაძლოა, სხვადასხვა იერარქიული ღირებულების მოვლენაში ჰპოვოს განხორციელება.

აღნიშნული ეთიკური ფაქტორი რელევანტურია ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიისთვისაც, რომლებიც სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ჯენნეთისა და ჯეჰენნემის ოპოზიციებს გამოყოფენ და ადამიანის „პერსპექტიული დისლოკაციის“ ადგილს, ასევე, მისი ამქვეყნიური ცხოვრების შინაარსს უკავშირებენ. საკვლევ კულტურებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ოპოზიციას წარმოადგენს სამყაროს ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ნაწილებად დაყოფა, რაც შესაბამისი ენობრივი მასალით დასტურდება:

- სააქაო, ეს ქვეყანა, ეს სოფელი - dünya, bu dünyaya ait, acun, alem, cihan, evren, felek, kainat, yer yuvarı, yerküre, yerüstü varlığı
- საწუთრო, წუთისოფელი, წარმავალი -ölümlü dünya, fani dünya (bitimli, devamsız, geçeğen, geçeci, gelip geçici, sonlu, süreksiz, zail, eğreti, şimdilik; üç beş günlük dünya; bir zaman için)
- საიქიო - ის ქვეყანა, ის სოფელი -ahret, öbür dünnya, öte dünnya,tahtalı köy, ölüm sonrası hayat , ebedi, bengi, bitimsiz, daimi, kalımlı, müebbet, ölümsüz

როგორც წესი, საიქიო და სააქაო სამყაროთა ნომინაციაშეფასებით ნიუანსებს შეიცავს.

ერთმანეთს უპირისპირდება სამოთხე და ჯოჯოხეთი- cennet-cehennem

ქართულში: მკვდრეთი, სასულეთი, შავეთი. თურქულში: darı beka, darı ahiret, öbür/öte dünya-მუსლ. მარადიული სამყოფელი, საიქიო და, ასევე, kıyamet- მკვდრეთით აღდგომა, მეორედ

მოსვლა.

საიქიო, ხშირ შემთხვევაში, უკეთეს სამყაროსთანაა გაიგივებული.

- მარადიული ძილი - ebedi uykusuna dalmak
- საუკუნო, სამარადისო განსვენება -ebedi istirahat
- თვალების დახუჭვა -dünyaya gözlerini kapamak; gözü yumulması
- სიკვდილი, გარდაცვალება -ölmek, vefat etmek
- აღესრულა, გარდაიცვალა -Allahın rahmetine kavuştu, Mevlasına kavuşmak (Mevlasını bulmak)
- ღმერთმა გაანათლოს/ნათელში ამყოფოს, აცხონოს -Allah cennetlik etsin, nur içinde yatsın
- სიცოცხლესთან გამოთხოვება –hayata veda, candan geçmek
- სულის მიცემა -can vermek
- დააჩქარო საკუთარი სიკვდილი -ölüme meydan okumak; kendi ecelini çağırmak
- იპოვო საკუთარი სიკვდილი, სიკვდილს შეეგებო -(kendi) ölümünü bulmak, ecelini bulmak
- საკუთარი სისხლის წყურვილი - kendi kanına susamak
- ჩაიყვანო ვინმე სამარეში, ააჩქარო ვინმეს სიკვდილი, დაღუპვა -ölümüne sebep olmak, öldürmek, tahtalı köyü boylatmak
- (ვინმესთვის) სამარის გათხრა -(birinin)çukurunu kazmak

მეორე სამყაროში გადანაცვლების იმიტაციას წარმოადგენს ლექსემა:

- თავს მოიმკვდარუნებს (მოიმკვდარუნა, მოუმკვდარუნებია) – ölü taklidi yapmak; kendini ölü göstermek

ორ სამყაროს შორის მოძრაობა ეთნოენობრივ ცნობიერებაში არ არის ერთ მხარეს მიმართული პროცესი – ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში. ენები აფიქსირებენ საპირისპირო მიმართულებასაც, რაც შემდეგ ენობრივ ერთეულებში აისახება:

- გამოაცოცხლო, სიცოცხლე დაუბრუნო –diriltmek, hayat vermek

- მკვდრეთით აღდგომა (ორ სამყაროს შორის მოძრაობა) - dirilmek; katının kapısından dönmek
- გადარჩენა, მოხედვა (გადარჩა, მოიხედა) - kurtulmak
  დროში არსებობის დასასრულსა და სიცოცხლისა და

სიკვდილის გასაყარს უკავშირდება კონსტრუქციები:

- სიკვდილის პირას მიყვანა, გარდასხეულება -ölmek üzere olan; ölüme teşvik edilme
- სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე - ölüm hayat kavşağı
- სიკვდილის პირას, სიკვდილის ზღვარზე, სამარის კართან -ölmesine ramak kalmak
- ცალი ფეხი სამარეში -bir ayağı mezarda olmak
- მიწისკენ პირის ქნა -(gözü) toprağa bakmak
- უკანასკნელი დღეების დათვლა, უკანასკნელ დღეში ყოფნა -sayılı günler kalıyor; günleri saymak
- დღედათვლილი - ölüm(rahat) döşeğinde
- უკანასკნელი დღეებით ცხოვრება -son günleri yaşamak
- აღსასრულის მოახლოება -sona yaklaşmak, bitmek üzere olmak, sonu geliyor, bitiyor

სიკვდილის აგონიის ჯგუფი მრავალფეროვანია:

- ზღვრამდე მიღწევა -hayat sonucuna varmak; son günlerini yaşamak
- ცალი ფეხი სამარეში აქვს - bir ayağı çukurda
- განწირული (სასიკვდილოდ), დღედალეული -ölmeye mahkum
- (სასიკვდილო) აგონია -can çekişme; ölümle cebelleşme(cedelleşme)
- იყო სიკვდილმისჯილი -idama (ölüme) mahkum olmak
- სისხლის უკანასკნელ წვეთამდე - son damla kanına kadar
- უკანასკნელ ამოსუნთქვამდე - son nefese kadar
- ცოცხალ-მკვდარი -yarı ölü yarı diri
- სამარის (მკვდრის) ფერი ადევს / ედება -ölgün rengi, solmuş,

- მოჭამა წუთისოფელი -dünyayı tüketti
- თავისი დრო მოჭამა -ömrünü tüketti
- საფლავის კარამდე -ölünceye kadar, mezara konuncaya kadar, teneşire kadar
- დიდი დღე არ უწერია (ახრიზამანი) - sayılı günler kalıyor
- საიქიოსკენ პირს აქნევინებს, ჟამი დარეკავს -eceli gelmiş
- რისამე აღსასრული დგება -bir şeyin sonunu yaklaşıp meydana gelmektedir
- ბეწვზე ჰკიდია მისი ცხოვრება, დღეს ვეღარ გაათენებს -ölmesine kıl (kadar) kalmıştı, ölmesine ramak kalmıştı, öleyazıyordu
- აღსასრული მოვა -eceli gelir
- უსიცოცხლო, უსულო, სულდალეული, მკვდარი -cansız, hissiz, ölü
- სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა -ölümle yaşam arası
- სიკვდილის საათი -ölüm saati, vefat saati, mevt saati
- სიკვდილის სუდარა, საბურავი -kefen
- სიკვდილის სარეცელი -ölüm döşeği
- მოკვდე ნელი სიკვდილით -yavaş yavaş sindire sindire ölmek
- სულს ლევს, სულს ღაფავს -bir mum gibi sönüp gitmek (yolcudur artık)
- ცალი ფეხი სამარეში -bir ayağı mezarda olmak
- სიკვდილის პირას -ölmek üzere olmak
- სულთამობრძავი -ölümsek
- ბედბოლო -son kaderi
- სასიკვდილოდ გადადებული, სასიკვდილოდ განწირული, განწირული - ölmeğe mahkum
- გათავება (გაათავებს, გათავდება) –bitmek(bitirmek)
- სასიკვდილო განაჩენი -idama, ölüme mahkum etmek
- უკანასკნელი ამოსუნთქვა -son nefes vermek
- სულის მინავლა -solup sönmek
    - უკანასკნელ სულის ამოთქმამდე -son nefes; buğusuz, berrak bir ayna gibidir
- დაჰკრა ბოლო საათმა -son vakti saati, eceli; Azrailin tedbirsiz ve

gafil olarak gelmesi
- სიკვდილის დრო -ölüm saati, son saati

საპირისპირო შინაარსისაა:

- ცას გამოეკერა - dünyaya kazık kaktı

- სული/წუთისოფელი გაუტკბა -gün görmüş

ადამიანს, რომელიც სიკვდილს გადაურჩება, ახასიათებენ შემდეგნაირად:
- მკვდრეთით აღმდგარი -(dirilmek) gitti ve geldi
- სიკვდილს თვალებში ჩახედა -ölüme yüz yüze gelmek; ölümle burun buruna gelmek
- სიკვდილის ბრჭყალებიდან თავის დახსნა -kefeni yırtmak

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ სიტყვა რამდენიმე მიკროველში შეიძლება შედიოდეს. როგორც აღვნიშნეთ, სიკვდილი და სიცოცხლე ურთიერთგანპირობებული ცნებებია და დროში არსებობასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, ეს ორი სამყარო არ არის ერთმანეთისგან გათიშული და შესაძლებელია (ძირითადად, ერთი მიმართულებით) ორ სამყაროს შორის მოძრაობა. განირჩევა მომავალი და მიმავალი (შენ მომავალი ხარ, მე კი მიმავალი; Sen geleceksin, ben ise gideceğim). ამ სამყაროში ადამიანის მოვლინებასთან დაკავშირებით საკვლევ ენებში გვაქვს შემდეგი სემანტემები, რომლებიც დაკავშირებულია მოძრაობასთან. ასეთივე მოძრაობა აისახება სხვა იდიომატურ გამოთქმებშიც, სადაც შეიძლება დაემატოს მოსვენების, მუდმივი (უკანასკნელი) ძილის, ამქვეყნიური ასპარეზის (კარიერის დასასრულის) დატოვების, სულის ამოხდომის და სხვ. თემებიც:
- საიქიოში გადასახლება -Ahrete göç etmek(gitmek,varmak)
- სხვა სამყაროში გადასვლა -öbür dünyaya göç etmek
- წინაპრებთან წარდგომა -ölü ataların huzuruna çıkmak
- ღვთის წყალობის მიღწევა, ღმერთთან წასვლა,

სიკვდილი - Hakka yürümek; Allahın rahmetine kavuşmak; Mevlasını bulmak - ღვთის წინაშე წარდგომა

- ამქვეყნიური, მიწიერი სიცოცხლის დასრულება -bu dünya hayatı dolmak

- მარადიულობაში გადასვლა -ebediye dalıp gitmesi; ölümsüzlüğün tatması

- უკეთეს სამყაროში გადასახლება -öteki dünuyanın huzuru ve sükuneti tatması; öbür dünyaya göçmek

- მიწიერი ყოფის დასრულება, მიწიერი ცხოვრების დატოვება -dünyayı terketmek||bırakmak

- სიკვდილის შემდეგ ადამიანი გადასახლდება, გადაცხოვრდება– öbür dünyaya göçmek; ahreti boylamak, ahrete gitmek

- იმქვეყნად გადასვლა -ahreti (öbür dünyayı) boylamak

- წასვლა ცხოვრებიდან, სიკვდილი -hayattan ayırılmak

- გაეღება სამოთხის კარი - cennet kapısı açılır; cennet tasviri

- სიკვდილის მერე არსებობა, იმქვეყნიური არსებობა - ölümden sonra yaşam/hayatın varlığı; ebedi hayatın varlığı; öldükten sonra dirilişin ispatı; ölümden sonra tekrar dirilme

პერსპექტივა ახალ სამყაროში (სიკვდილის შემდეგ):

- სამოთხის კარი გაეღება; ნათელი დაადგება; განისვენებს - cennetin kapısını cömert açar (göğe açılmak);

– იყო მკვდარი, დამარხული, დასამარებული -ölü, ölmüş, cansız, gömüllü

კონცეპტების - „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“- რეპრეზენტაციის სინქრონული ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს კონცეპტის თანამედროვე სტრუქტურას (ლექსიკონებისა და დისკურსის მასალაზე), შევსებულია დიაქრონული და შედარებითი ექსკურსებით, რომელთა საფუძველს წარმოადგენენ ეტიმოლოგიური ლექსიკონები და ენციკლოპედიური მასალა.

კოლექტიური ენობრივი ცნობიერების კვლევის პრობლემა, რომელიც გამოხატავს ენაში დამკვიდრებულ გარკვეულ კანონზომიერებებს სიტყვებისა და წინადადებების ორგანიზაციაში, ჩვენ განვიხილეთ უნივერსალური კონცეპტების „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ საფუძველზე, რომლებშიც მჟღავნდება ნაციონალური სამყაროს სურათების სპეციფიკურობა. ნებისმიერი ენის კონცეპტოსფეროში კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ კულტურის კონცეპტებს შორის ცენტრალურ ადგილს იკავებს, ვინაიდან მათში შემავალი ცნებები ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეული ადამიანისთვის, ისე კაცობრიობისთვის ზოგადად [**Чумак, 2004: 282-286**].

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლექსიკონი 2001: თურქულ-ქართული ლექსიკონი (ლ. ჩლაიძის რედაქციით), სტამბოლი;
2. მამულია, 2006: მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი;
3. ონიანი, 1996: ონიანი ალ., ქართული იდიომები, თბილისი;
4. ღლონტი, 1984: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი;
5. Баскаков, 1998: Баскаков А.Н. и другие, Большой Турецко-Русский словарь, Москва;
6. Филос. словарь, 2001: Новейший филос. словарь, Москва;
7. Чумак, 2004: Чумак О.С., Корреляция концептов «жизнь» и «смерть» в идиостиле Б.Пастернака (на материале романа «Доктор Живаго»): автореф. канд. филол. наук, Саратов;
8. Hüseyin Uysal, 1992: Uysal H., Deyimler Süzlüğü, İstanbul;
9. Mehmet Ali Ağakay, 1949: Türkçede Mecazlar Sözlüğü, Ankara;
10.Metin Yurtbaşı, 1996: Eş ve Karşıt Anlamlılar Sözlüğü, İstanbul;
11. Mustafa Nihat Özön, 1979: Türkçe Tabirler Sözlüğü, İstanbul;
12. Ö. Aydın Süer, 1999: Rusça-Türkçe Deyimler Sözlüğü, Ankara;
13.Ömer Asım Aksoy, 1988: Atasözleri ve Deyimler Sözlüğü, İstanbul;
14. Özcan Yalım 1998: Türkçe′de Yakın ve Karşıt Anlamlılar Sözlüğü, Ankara.

Tsiala Lagvilava

Linguistic Means for Representation of „Death“ and „Life“ (In Georgian and Turkish Languages)

Abstract

The conceptual field of death-life in the cultures under study is the national-cultural manifestations of the universal field the integral semantemes of which are existence and non-existence (the end of existence).

The phenomenon of death-life encompasses the entire organic world, which also makes a difference in its nomination, depending on the biological status of the object of death – concerning humans, animals or plants.

In interpreting the research concepts, great importance is attached to the linguistic means of its representation. Conceptual meanings are expressed at different linguistic levels: lexical, phraseological and paremiological units. In addition, it is quite common to convey the content of a concept through figures of speech (metaphor, metonymy, synecdoche, personification).

Synchronic analysis of the representation of the concepts – “Life” and “Death”, which shows the modern structure of the concept (on dictionaries and discourse materials), is filled with diachronic and comparative excursions based on etymological dictionaries and encyclopedic material.

ლაშა ბოლქვაძე

ენა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ინსტრუმენტი დიპლომატიურ დისკურსში და მისი თარგმანის თავისებურებანი

აბსტრაქტი

ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და სხვადასხვა დარგის (საერთაშორისო ურთიერთობები, დიპლომატიური კორპუსები, კულუტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკური ინსტიტუტები) ჩამოყალიბება მათი განმტკიცება და განვითარება არის ენის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა. იმ საზაგადოებრივ წყობაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ აქტუალურია გლობალიზაციის საკითხი. განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ყველაზე აქტუალური თემა გახდა, რომელიც განიხილება სამეცნიერო, პოლიტიკურ თუ საქმიან წრეებში. დღესდღეობით ძალზე საგრძნობია გლობალიზაციის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაზე და საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი; ენა დიპლომატიური; დისკუსია.

შინაარსი

„ენა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ინსტრუმენტი დიპლომატიურ დისკურსში და მისი თარგმანის თავისებურებანი“ წარმოდგნელია მასში არსებული კომპონენტები, როგორიცაა რა თავისებურებებით გამოირჩევა და/ან განსხვავდება დიპლომატიური დისკურსი სხვა დისკურსებისაგან, პოლიტიკური ტექსტებისაგან. ასევე მთავარია დიპლომატიურ დისკურსში თარგმნის საკითხები და ზოგადად მთარგმნელობითი საქმიანობაში რა სირთულეებს აწყდება მთარგმნელი მათი თარგმნისას დაროგორი უნდა იყოს ამ სირთულეების დაძლევის გზები. ვინადან გლობალიზაციამ და ქვეყნებსშორის ურთიერთობების განვითარების გზამ საჭირო გახადა საერთაშორისო ურთიერთოების განმტკიცება და გაღმავება რაშიც დიდ როლს თამაშობს მთარგმნელობითი საქმიანობა [**Shapiro, 1982:87**].

ქვეყნებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებისა და სხვადასხვა დარგის (საერთაშორისო ურთიერთობები, დიპლომატიური კორპუსები, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკური ინსტიტუტები) ჩამოყალიბება მათი განმტკიცება და განვითარება არის ენის უმნიშვნელოვანესი როლის ნიადაგზე და ამ ენის ზრდის შედეგია გლობალიზაცია. იმ საზაგადოებრივ წყობაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ აქტუალურია გლობალიზაციის საკითხი. განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ყველაზე აქტუალური თემა გახდა, რომელიც განიხილება სამეცნიერო, პოლიტიკურ თუ საქმიან წრეებში. დღესდღეობით ძალზე საგრძნობია გლობალიზაციის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაზე და საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე[**მშვენიერაძე,2014:45**].

გლობალიზაციის ძირითადი და მახასიათებელი ნიშანი საერთოშორისო სისტემის სტრუქტურის, მისი ხასითის ძირეული ცვლაა. გლობალიზაციამ სახე უცვალა მსოფლიო პოლიტიკის ბუნებასა და დღესაც განაგრძობს მის შეცვლას. თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთი განსაკუთრებული მახასიათებელია გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის წარმოშობა და ქვეყნებ შორის ხიდის გადება. ამ შემთხვეაში ჯაჭვი არის ურთიერთობა, ხოლო ხიდი კი ენა.

გლობალიზაციის სწრაფი განვითარებისა და ინტეგრაციის პროცესმა საგარეო და საშინაო დიპლომატიურ და პოლიტიკური მოვლენებისადმი ინეტერესის გაძლიერებიდან გამომდინარე, დიპლომატები, პოლიტიკოსები სულუფრო მეტ ყურადღებას უთმობენ დიპლომატიურ და პოლიტიკურ დისკურსს, რადგან მათ ძალიან კარგად იციან თუ როგორია ენის როლი და ძალა, რათა გავლენა მოახდინოს სოციუმზე და გარკვეულ მასებზე [**ომიაძე,2006:43**]. გლობალურ სამყაროში საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებამ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებულმა პროგრესმა ქვეყნებს შორის გაზარდა ენობრივად მოწესრიგებული კომუნიკაციის დამყარების მოთხოვნა. ვინაიდან, გლობალულ განვითარების გზამ საჭირო გახადა სხვადასხვა სახელმწიფოს წარმოჩენა და საერთაშორისო ასპარეზე დიპ-

ლომატიურ და პოლიტიკური ინტერესების გამოვლენა ამათუიმ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ცალსახა არის რომ იზრდება სახელმწიფოების, მათი სატუსის, როლისა და პოზიციების უკეთ გაგების მოთხოვნილება, რაც იწვევს თარგმანის საკმაოდ დიდმოთხოვანას. გამომდინარე აქედან დგება დღის წესრიგში დიპლომატიური და პოლიტიკურიდისკურსის განვითარებისთან ერთად თარგმანმცოდნეობის დახვეწვა და მათი უკეთ შესწავლა. რათა სახელმწიფოებს შორის შედგეს კონსესუსი და გარკვეული ტიპის პრობელემებს აარიდონ თავი. ვინაიდან სწორად შერჩეულ ლექსიკას და ტექსტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დისკურსის დროს, რათა პოლიტიკოსის და/ან დიპლომატისა თუ ქვეყნის წარმომადგენელი საზღვრებს გარეთ მათ მიერ წარმოთქმული სიტყვა შეცდომით არ იქნას აღქმული საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ[ომიაძე,2009:67].

დიპლომატიური დისკურსის ენობრივი თავისებურებების შესწავლამ, უამრავი მაგალითების ანალიზმა ცხადყო რომ დიპლომატიურ დისკურს და თარგმნის თავისებურებებს ახასიათებს შემდეგი პრაგმატული და ენობრივი ნიუანსები. სწორედ ამ ნიუანსებზე მათ თვისებრიობაზე და პრობლემებზე დაკვირვებით ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები.

გლობალიზაციასთან ერთად განვითარდა ენები და კულტურები, დაიხვეწა დისკურსის სხვადასხვა სახეები ჟანრები და ტიპები. თითოეულ ტექსტს გააჩნია მრავალფეროვანი ლინგვისტური თვისებები. თითოეული დისკურსის ადგილი, ანუ სოციალური ადგილი მისთვის არსებული ცოდნით ხასიათდება. ისინი ურთიერთდამოკიდებულ ურთიერთობაში იმყოფებიან. დისკურის სახეებიდან დიპლომატიური დისკურსი სხვა დიკურსებისაგან განსხვავებით უფრო დიდი სტატუსი და პასუხისმგებლობა გააჩნია. ვინაიდან წარმატებული, სწორად წარმართული დიპლომატიის გარეშე თითქმის წარმოუდგენელი იყო მშვიდობისა და ნორმალური პოლიტიკური თუ ეკონომიკური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება ნებისმიერ ეპოქაში და ასეა ახლაც. დიპლომატია განსაკუთრებით მნიშვნ-

ელოვანი და ერთ-ერთი უძლიერესი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუ-სტი ქვეყნისთვის არის. გამომდინარე აქედან დიპლომატიური დისკურში თარგმნის როლს უდიდესი ყურადღება ექცევა ქვეყნის შიგნით და ქეყნის გარეთ.სხვადასხვა პოლიტიკური და დიპლომატიური დისკურსის თარგმნამ გამოავლინა შემდეგი თავისებურებები თარგმნელობითი ტრანსფორმაციის დონეზე. უამრავი ემპერიული მასალების ანალიზმა გვაჩვენა რომ თანამ-ედროვე დიპლომატიურ და პოლიტიკურ დისკურში შეიმჩნევა ცუდი ტენდეცია, სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში დიპლომატ-იურ დისკურს თარგმნიან არა ფროფესიონალი მთარგმნელები, არამედ ენის მცოდნის სერტიფიკატის მატარებელი. რომლებსაც არ აქვთ სპეციალური მთარგმნელობითი განათლება და რომ-ლებსაც აქვთ ნაკლები ამა თუ მი სფეროს ცოდნა. სწორედ ამი-ტომ ხშირ შემთხვევაში ამით აიხსნება ის თარგმნელობითი შეცდომები და უზუსტოები რომელიც უხვად გვხდება ჩვენ სამწ-უხაროდ სხვადასხვა თარგმანში და განსაკუთრებით დიპლო-მატიურ თარგმნებში.ამიტომ ჩვენი აზრით დიპლომატიური დისკურსი, საერთოდ თანამედროვე თარგმანმცოდნეობა მოით-ხოვს ადეკვატურ თარგმანს. თუმცა დიპლომატიურ დისკურსი ამ მოთხოვნას უფრო მკაცრი ხასიათს ატარებს და სათანადო და სპეციფიკური რეგულაციები ესაჭიოება. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია გაირკვეს მთარგმნელის კომპეტენცია იმის თაობაზე თუ რამდენად კომპეტენტური და მცოდნეა სამიზნე ენის ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და გეოგრაფიის საკით-ხებში. იმიტომ რომ ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობა სწორედ კულტუათშორისი უცოდინარობით არის გამოწვეული.

დასკვნა

ამრიგად, იმისათვის, რომ წარმატებით წარიმართოს დიალ-ოგი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის, საჭიროა არა მარტო ენის სრულყოფილი ცოდნა, არამედ ქვეყნის კულტურულ ენობრივი ბარიერების გადალახვა.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვენდოთ მხოლოდ პროფესიონალ მთარგმნელს რომლესაც უშვალოდ ამ დისკურის თარგმნის გამოცდილება გააჩნია. ჩვენი დასკვნების ჭეშმარიტება მტკიცდება იმ ფაქტითაც რომ სხვადასხვა ქვეყნებში ასეა. მსოფლიოს მთარგმნელობითი პრაკტიკა სხვადასხვა ქვეყნებში კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე რომ მთარგმნელი ამ სფეროში უნდა იყოს ღრმა მცოდნე და კომპენტენტური იმ სფეროსთან რა სფეროსთან დაკავშირებით აკეთებს თარგმანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მშვენიერაძე თამარ, „დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა პოლიტიკურ დისკურსში“. თბილისი, 2014;
2. ომიაძე სალომე, „დისკურსის დეფინიციათა ანალიზი“. თბილისი, 2009;
3. სალომე ომიაძე, „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“, სადოქტორო დისერტაცია, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინტიტუტი, თბილისი,2006
4. Shapiro, M. Language and political understanding: The politics of discursive practices. New Haven, Conn.: Yale University Press. 1982.

Lasha Bolkvadze

Language as an instrument of international relations in diplomatic discourse and the peculiarities of its translation

Abstract

A study of the linguistic peculiarities of diplomatic discourse, the analysis of numerous examples revealed that the peculiarities of diplomatic discourse and translation are characterized by pragmatic and linguistic nuances.From the types of discourse, diplomatic discourse has a greater status and responsibility than other discourses.Whereas without successful, well-paved diplomacy it would have been almost impossible to establish peace and normal political or economic international relations in any epoch, and so it is now. The role of translation in diplomatic discourse is given the greatest attention inside and outside the country. The translation of various political and diplomatic discourses revealed the following features at the level of translational transformation.Diplomatic discourse, generally modern translation studies, requires adequate translation.It is therefore important to find out the competence of the translator, as to how competent and knowledgeable is she, in the history, culture and geography of the target language country.Because in many cases uncertainty is caused by intercultural ignorance.

Thus, in order for the dialogue between the representatives of different countries to be successful, it is necessary not only to have a perfect knowledge of the language, but also to overcome the cultural and linguistic barriers of the country.

The translation practice of the world in different countries once again indicates that the translator in this field must be deeply knowledgeable and competent in the field in which he does translation.

თარგმანი
TRANSLATION

აბდულჰაკ ჰამიდი (1851-1937)

პოემა „საფლავი“ აბდულჰაკ ჰამიდმა გარდაცვლილ მეუღლეს მიუძღვნა. იგი პოეტის პირველი ვრცელი ლირიკული პოემაა, რომელსაც ექსპრესიისა და ემოციური ზეგავლენის ძალით თურქულ ლიტერატურაში ბადალი არ მოეპოვება. ჩვენ ხელთ გვქონდა ამ ვრცელი პოემის (2360 მისრა) მცირე ნაწილი (189 მისრა), რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.[3]

თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ

„საფლავი“

მე მიძნელდება ამ მიწაზე პოვნა ადგილის,
რადგან აღარ მყავს საყვარელი, მეგობარი დავკარგე გულის.
ახლა აქ მყავდა და ხელიდან გამომეცალა თითქოს უეცრად.
ის მარადიულ სამყაროდან მოვიდა ქვეყნად და
მარადიულ სამყაროში წავიდა კვლავაც.
მე წამოვედი, ის ცივ სამარეს მივაბარე და დავტოვე მარტოდ, ეულად.
ბეირუთში დარჩა მხოლოდ საფლავი ცივი - მეგობარის ჩემის გულისა.
სად ვეძებო გულწარმტაცი მიჯნური ჩემი?
ან ვის მოვკითხო სიყვარულის ჩემის ამბავი?
უზენაესო, შენ მაუწყე სად არის იგი;
ვინ მარგუნა მე ხვედრი მძიმე, მამცნე, უფალო.
მეუბნებიან, მეგობარი დაივიწყეო, წავიდა იგი და არასდროს დამიბრუნდება.

---

[3] პოემის რამდენიმე სტროფი, თარგმნილი სერგი ჯიქიას მიერ, დაბეჭდილია კრებულში - „არმაღანი“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977.

ძალმიძს განა, დავიჯერო ეს რეალობა, შემიძლია, შევურიგდე მე ამ სიმართლეს?
აშკარაა ჩემი სწრაფი ფერისცვალება,
უკვე საკუთარ თავსაც ვეღარ ვცნობ.
რასაც კი ვხედავ, საფლავია მხოლოდ ჩემს თვალში
და შიგ მე ვხედავ მხოლოდ სახეს ჩემი საყვარლის.
უძილო ღამე დიდ ტანჯვას და ვაებას იტევს,
დრო ვერ ანელებს ტკივილსა და დარდს,
და ჩემი ხვედრი, მეტად მძიმე, მე ჯერ არ ვიცი,
როდის განუჩენს ამ ჩემს ტანჯვას აღსასრულის ჟამს.
ფატმა, აღსდეგი მაგ საფლავიდან ,
კვლავაც განაგრძე შენ ცხოვრება ჩემს არსებაში.
თუნდ ერთი სიტყვით მიმანიშნე მე საიდუმლო,
სიტყვით, რომლის გაგონებაც მე ძლიერ მინდა.
კვლავ გამიღიმე ვარდის ღიმილით
და მაგ ღიმილით განმიკურნე წყლულები გულის,
შენი მზერით, ნაზითა და ალერსიანით, შენი სიცილით
სრულყავ დღეები ჩემი სიცოცხლის.
საფლავი - ჩვენი ყოფის საიდუმლოს ეს დასასრული,
უზენაესის საიდუმლო შესანიშნავი.
მისი სინათლე ჩვენ სასთუმალს გვიმზადებს ძილის,
აი, ჩვენ ვწევართ და გულს გვაწევს სიმძიმე მიწის.
ბორცვთა შორის ყველა ბორცვზე ამაღლებული;
ო, ეს საშიში ჭეშმარიტება,
კაცთ გონებისთვის შეუცნობი, მიუწვდომელი,
თუმც აშკარაა ამა ქვეყნად მისი დიდება.
სამკაულია განა ფარდის ეს ფანტაზია?
ანდა რომელი ჭეშმარიტი ნიმუში მნახე?
არ დასრულდება სატანჯველი ამა სოფლისა?
ლოცვას აღვავლენთ ჩვენ შენდამი, უზენაესო!
გთხოვ, დაასრულო ეს წამება და შვება მოგვცე,
შენი შექმნილი რეალურის მცნობლად გახადო.
ვირწმუნეთ, რომ ხარ შემოქმედი ჩვენის არსობის
და მხოლოდ შენში ირეკლება ჩვენი წუხილი,

რაკი არსებობ, საიქიოც არსებობს, ალბათ,
მწყალობელი ხარ, მეუფეო, ჩვენ ესეც ვიცით.
ვიცი, შენამდეც მოაღწია ჩემმა ამბავმა,
სიყვარულს ჩემსას რადგანაც შენ ხსნა ვერ მიეცი,
შეგთხოვ, ხელახლა შთაბერო სული.
უსარგებლოა ჩემი ჯაფა, ჩემი ვაება,
შენ ხარ მცნობელი ერთადერთი მხოლოდ ყოველის.
მე კი რას ვაქნევ სიდიადეს ადამიანის.
ლოცვას არ ძალუძს მომიტანოს მე სარგებელი,
მიწამ წაიღო ჩემი ლოცვები.
ხომ დაგინახეთ, რაც ყოფილხარ, უზენაესო.
ეი, ვითომ ხსნას აძლევ ხომ ავადმყოფებს.
ჩემი თავი რომ კაცი მეგონა, შენ დამანახე ყოველი ნაკლი,
არარაობა ვყოფილვარ მე, პირუტყვი,
ვაგლახ! გამაშიშვლე ქვეყნის წინაშე.
სატრფოვ, ასეთი რა მოგივიდა,
ჩემ გვერდით იყავ და ნეტავ ახლა რა დაგემართა?
ცხოვრებაში ხომ ჩემი მოყვარული იყავ.
უმწეო ვარ, ისე ვით არს შენი ცხოვრება,
შენ რომ მოკვდი, სწორედ მითაა ჩემი ვაება.
რაც რომ მოხდა, იმ მშვენიერ ერთ წამში მოხდა
და ფიცი ჩემი, რომ მეც შენს გზას დავადგებოდი,
დრო გადის, მაგრამ დაპირებად დარჩა ის კვლავაც.
ღმერთო, შეგთხოვ, რომ კვლავ მიჩვენო ეს ანგელოზი.
ასეთი თუნდაც რომ მომიწყო გამოცდა ერთხელ:
რომ ამოვიდეს კვლავაც მთვარე,
ნათელი და შენი სხივი მოეფინოს არეს.
განმიცხადე სასურველი ცხოვრება ჩემი,
მარქვი, რა არის მომავალი კაცობრიობის.
ჩემი სული მის სულს შთაბერე ან
მიწას მისას შეურიე, გთხოვ, ჩემი სული.
სამშობლოც ჩემი განმერიდა თითქოს უეცრად,
უცხოობაში დავრჩი მარად, ყარიბად ვიქეც.
თუნდ რომ ერთი დღით არ მომეკრა სატრფოსთვის თვალი,

თვით ერთი წამი განშორების სამძიმო იყო,
აწ განშორების სნეულებას მე ვერ გადვურჩი,
მით მე სული დამისახიჩრდა.
ის შეიგრძნობდა, რა რისხვაა სამარისაგან მოგვრილი ჩემში,
რომ დავენახე საიქიოდან.
ის მეგობარი იყო ჩემი, არ ჰყავდა ტოლი,
მე მომევლინა სულის მკურნალად.
დღეს ის აღარ მყავს ჩემად ნუგეშად
და ეს სამყაროც მეუცხოება.
უცხო ქვეყნად ჩვენი ყოფის დასასრული ესაა ნუთუ.
ნეტავ შენამდის შევმდგარიყავ იმ დიად გზაზე
მარადიულის საუფლოსკენ რომ მიგვიძღვება,
თუ ჩემი ხვედრი ამას მიქადდა.
ღმერთო, მაუწყე, მოვკვდე თუ სხვა ვიღონო მე რამ,
ძალმიძს სიცოცხლე სატრფოსაგან მოშორებულსა?
უბედურებამ, შენ რომელიც თავს დამატეხე,
მე სიყვარულს გადამამტერა.
ნუთუ არ სწყალობ მონას შენსას, უზენაესო?
მაშ ეს სიკვდილი ნაადრევი არ არის განა?
მე ის დავკარგე სამუდამოდ და ვეღარასდროს ვიხილავ კვლავაც.
ეს მოხდა მაშინ, როს მეჯნუნივით სიყვარული მე მისი მწვავდა.
ფატმა, წახვედი შენ უჩემოდ ამა სოფლითგან,
აწ ჩემი გული შენ გარეშე იცოცხლებს განა?
და მე სიცოცხლე ან სიკვდილი ან აგონია მომელის თუკი,
ოღონდ რაიმე შეიცვალოს - მე თანახმა ვარ.
შენა ხარ ვარდი უეკლო,
შენ სიცოცხლე ხარ, ლაღი, სვიანი,
რად მინდა მე ეს ქვეყანა მდელოს გარეშე,
რად მინდა მე ეს ქვეყანა მდელოიანი.
ამოიზარდონ ქმნილებები დედამიწიდან,
თბილმა ნიავმა თვისი ალერსი მოჰფინოს რიყეს,
ტანჯვა მჭირდება, ყველაფერში ცვლილება მინდა,
ციდან კვლავ უკან დაგვიბრუნდეს ლოცვები ჩვენი.
დრითიდღე ჩემი ჯანმრთელობა უარსედება,

გული ათასგვარ სიმწრით აივსო
და თუ ხანდახან ჩემი სახე ღიმილსაც სახავს,
შინაგანად ეს გული ტირის
და დარდი ჩემი ამ ღიმილით არს დაფარული.
მაშინ მე ყველა ბედნიერად, მხიარულად მთვლის,
ეს კიდევ უფრო მიძლიერებს უიმედობას
და კიდევ უფრო მიცხოველებს ამ ჩემს სიყვარულს.
სად დაიკარგა ჩემი ჯაფა და ჩემი შრომა,
შენ ყვავილები გეტყვიან ამას.
ჩემს გულის მსგავსად, საფლავის ქვავ, შიგ დამარხულს
ეს სინათლე თუ ხვდება ნეტავ?
ანდა ვინ ელის იქ ამ ნაყოფს? მარქვით, ჩიტებო.
ო, სულო, გახსენ ცის კამარა?
მაგ კეკლუც სხეულს ძიძგნიან მგლები,
თუ ანგელოზნი პატიჟებენ ცად წასაყვანად?
ეს გაზაფხული შენ ხარ, სატრფოვ,
ეს ზღვაც და მიწაც,
ზოგჯერ ხეებში მქროლი ნიავიც შენა მგონიხარ
და ის ცრემლიც, თვალთაგან რომ ჩამომდის მტირალს,
ხოლო შენს საფლავს როს დავინახავ, მაშინვე ვხვდები:
შენ დარაჯი ხარ ჩემის საფლავის,
ჩემს სიკვდილს რომ ელის დღემუდამ.
კუბო..... საფლავისკენ გზის გამკვალავი,
კუბო..... დაღონებული ქადაგი,
კუბო..... მდუმარე მეტყველი,
კუბო.... განსხეულებული სიცივე,
კუბო.... თავიდან ბოლომდე სიჩუმე,
კუბო.... გამეორებული უბედურება,
კუბო.... ჯიუტი სიცარიელე,
კუბო.... მოსიარულე საფლავი.
ჩვენი სულები მსგავსი იყო, ჩვენ ვმეგობრობდით,
მე ძმა ვიყავი მისი ერთგული,
ეს ძმობა ხომ დიდ სიყვარულს იტევდა წმინდას,
ეს მეგობრობაც იზრდებოდა დღითიდღე ძლიერ.

ბედნიერი და მხიარული ანგელოზი იყო ის ჩემი.
მდგომარეობის შესაბამისი იყო ყოველთვის ჩემი ქმედება.
თუმც ცოლი იყო იგი ჩემი, ქალიშვილივით ვხედავდი მაინც
და დედასავით ვექცეოდი, როს ბავშვი იყო ჯერ კიდევ იგი.
მე გავასრულე ჩემი კვნესა, რომ მკვადთა სულებს
ზედმეტად აღარ დავურღვიო მე მშვიდი ძილი.
გულის სიღრმიდან მოდიოდა ყველა ეს ოხვრა
და ჩემს ყურებსაც არაფერი გაუგიათ ამ ოხვრის მეტი.
ახლა კი ვრჩები სიჩუმეში განმარტოებით,
სულის მეგობარს დასტრიალებს კვლავ ჩემი ფიქრი.

რეცენზია ჯემალ ბერიძის მონოგრაფიაზე - „საქართველო - თურქეთის ურთიერთობები 1992-2012 წლებში (სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ - ეკონომიკური ასპექტები), ბათუმი, 2020.

მონოგრაფიაში კომპლექსურადაა შესწავლილი საქართველო-თურქეთის სოციალ - პოლიტიკური და კულტურულ - ეკონომიკური ურთიერთობები 1992-2012 წლებში. ნაჩვენებია ამ ურთიერთობათა დინამიკა დაწყებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან.

თურქეთის რესპუბლკა და საქართველო მეზობელი, მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა. საუკუნეთა მანძილზე მათი ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან (რომლის სამართალმემკვიდრეცაა დღევანდელი თურქეთი) არასწორხაზოვნად ვითარდებოდა: იყო დაპირისპირებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების, სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების პერიოდები. დღეს უკვე ვითარება შეცვლილია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის 9 აპრილი) თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო აღიარა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და ქვეყნისთვის მძიმე ვითარებაში დახმარების ხელი გამოუწოდა.

თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობა საქართველოსთან გვიჩვენებს თურქეთის უახლოესი პერიოდის საგარეო პოლიტიკის ხედვებს ისეთი საკითხების ირგვლივ, რომლებიც დღემდე აქტუალურია თურქეთის პოლიტიკისთვის. ესენია: ქართულ-თურქ-

ული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები სხვადასხვა პერიოდში; საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ქართულ-თურქულ ურთიერთობა; თურქეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკა და მისი შედეგები საქართველოს უსაფრთხოებაზე, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასა და სხვა საკითხებზე.

ჯემალ ბერიძის მონოგრაფია, მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული და იგი დიდი შენაძენია სტუდენტებისთვის, სპეციალისტებისთვის და დაინტერესებული მკითხველისთვის.

პროფესორი ემზარ მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეცენზია ბექა მაკარაძის მონოგრაფიაზე - „თურქეთ-ამერიკის შეერტებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში“ (2000-2017 წწ.), თბილისი, 2019.

ჩვენი მეზობლისა და სტრატეგიული პარტნიორების - თურქეთისა და ამერიკის შეერტებული შტატების უახლესი ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის სათანადო ცოდნა გამორჩეული მნიშვნელობის მატარებელია. ამ მხრივ მეტად მცირეა ნაშრომები, რომლებიც აღნიშნულ სკითხებს ასახავს. დოქტორანტ მაკარაძის ნაშრომი კი უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია და ავსებს ზემოაღნიშნულ სიცარიელეს.

წიგნი ორი თავის, ათი ქვეთავისა და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე და გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი თურექთ-ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია ცივი ომის შემდგომ პერიოდში. XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის 10-იან წლებში თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობამ საერთაშორისო საზოგადოების სერიოზული ყურადღება მიიპყრო.

ცივი ომის დასრულებიდან დღემდე თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას, ძირითადად, უსაფრთხოებაზე ზრუნვა განსაზღვრავდა. ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. ამის პარალელურად, აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები შეინიშნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. სწორედ უსაფრთხოების პოლიტიკა წარმართავდა თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის. ერთ მხარეს იყო ცივი ომის პერიოდში არსე-

ბული ორი პოლუსიდან ერთ-ერთის ლიდერი - აშშ-ი, მეორე მხარეს კი - თურქეთი, რეგიონში მნიშვნელოვანი, მაგრამ აშშ-ზე ძლიერ დამოკიდებული ქვეყანა.

თურქეთი, აშშ-თან ერთად, ნატოს ბლოკში ყოფნის მიუხედავად, ყოველთვის როდი გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. ანკარის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია, აშშ-თან ურთიერთობის გათვალისწინება, რადგანაც სწორედ ის ახდენდა ყველაზე დიდ გავლენას თურქეთის პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ქვეყნის რეალური და პოტენციური ძალა თანაბარი არ იყო, ცივი ომის წლებში თურქეთი იქცა ნატოსა და დასავლეთის ბლოკის დასაყრდენად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ის ერთ-ერთი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროების გამყოფ გზა გასაყარზე აღმოჩნდა. ალბათ, ამიტომაც, ანუ გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებების გამო, თურქეთი მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებული პირობების მქონე ქვეყნად წარმოჩნდა. აშშ-თან ურთიერთობები, სწორედ, ამ ღერძის ირგვლივ ვითარდებოდა.

საერთო ჯამში, ნაშრომი, მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული. როგორც აღინიშნა უდავოდ ფასეული შენაძენია სტუდენტებისთვის, სპეციალისტებისთვის და დაინტერესებული მკითხველისთვის.

ასოც. პროფესორი მანუჩარ ლორია
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

რეცენზია ემზარ მაკარაძის, ოთარ გოგოლიშვილის და დავით ანდღულაძის ნაშრომზე - „ლაო ჯონჯაუს მოღვაწეობა საქართველოში“ ინგლისურ და ჩინურ ენებზე. გამომცემლობა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2020.

საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (№65. 2019 წლის 9 დეკემბერი) საფუძველზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივ დეპარტამენტში განხორციელდა სამეცნიერო კვლევითი პროექტი: „ლაო ჯონჯაუს მოღვაწეობა საქართველოში“ (ინგლისურ-ჩინური თარგმანები) (ხელმძღვანელი პროფესორი ემზარ მაკარაძე).

პროექტში მონაწილე პერსონალმა: პროფესორმა ემზარ მაკარაძემ; პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა; ასოც. პროფესორმა ნათელა ფარტენაძემ; ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა იულია გორჯელაძემ და დოქტორანტმა დავით ანდღულაძემ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, მოამზადეს და გამოსცეს მონოგრაფია - „ლაო ჯონჯაუს მოღვაწეობა საქართველოში“ ინგლისურ და ჩინურ ენებზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩაის კულტურისა და ციტრუსების გავრცელების ისტორიას. საქართველოს ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ჰავისა და ადგილმდებარეობის გამო აქ გავრცელდა სწორედ ეს სასოფლო-სამეურნეო კულტურები. რომლის შემოტანის, დამკვიდრებისა და გავრცელების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ცნობილმა რუსმა ვაჭარმა კონსტანტინე პოპოვმა და ჩაქვის საუფლისწულო მამულის ხელმძღვანელობამ. კ. პოპოვმა ჩინეთიდან ბათუმში ჩამოიყვანა

ცნობილი ჩაის კულტურის სპეციალისტი ლაო ჯონჯაუ. სწორედ მას მიანდეს ამ კუთხეში ჩაის კულტურის გაშენება. რომელმაც გაამართლა იმედები და უმოკლეს ხანში აქ ისეთი ჩაის კულ-ტურა გააშენა, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მთელ საქართვე-ლოში და უფრო მეტიც, ის კონკურენციას უწევდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ინდურ და თვით ჩინურ ჩაისაც.

ნაშრომი უდავოდ მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულე-ბული და იგი დიდი შენაძენია ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარებისა და საზოგადოების ფართო წრისათვის.

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

ემზარ მაკარაძე - 50

მაქვს პატივი საიუბილეო თარიღი მივულოცო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბატონ **ემზარ მაკარაძეს.**

ბატონი ემზარი მრავალი წელია ეწევა პედაგოგიურ-კვლევით საქმიანობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებული პატივისცემა, ნდობა და სიყვარული დაიმსახურა როგორც სტუდენტების, ასევე ლექტორ-მასწავლებლების მხრიდან. მან თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობით და სანიმუშო პროფესიონალიზმით შეძლო არაერთი მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა სამეცნიერო სფეროში. ამის დასტურია მის მიერ გამოქვეყნებული ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი თუ სტატია, ასევე მონოგრაფია, რომლებიც სტუდენტებისთვის სახელმწიფო ენაზე არსებულ შეუცვლელ სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ. მართალია ბატონი ემზარის ძირითად სამოღვაწეო საქმიანობა ბათუმის უნივერსიტეტს უკავშირდება, თუმცა კვლევის სამეცნიერო არეალი საკმაოდ ფართოა. იგი მუდმივად ღებულობს მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, სადაც საკუთარ გამოცდილებას უზიარებს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ კოლეგებს. იგი არის არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტის ავტორი. მუდმივად ჩართულია სტაჟირებისა და ტრენინგების პროცესში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ემზარ მაკარაძის დამსახურება 2015 წელს ბათუმის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის დეპა-

რტამენტის ჩამოყალიბების საქმეში. აღნიშნული პერიოდიდან იგი ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელია. დეპარტამენტის ჩამოყალიბება მოხდა ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პარალელურად წარმოადგენს ეროვნული იდეალებისადმი სამსახური და სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების პროცესებისადმი ხელშეწყობა. ამიტომაცაა ასეთი აქტიური პროფესორის პოზიცია, რომელსაც იგი დეპარტამენტთან ერთად იჩენს საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო თუ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში. ბატონმა ემზარმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ოსტატურად შეძლო აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების თურქეთისმცოდნეობისა და თურქული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების თავმოყრა და სინთეზი.

ემზარ მაკარაძის ხელმძღვანელობით არაერთ ბაკალავრს, მაგისტრსა და დოქტორანტს წარმატებით განუხორციელებია საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობა. მასთან თანამშრომლობა განათლებას, ერთგულებას, პასუხისმგებლობას, შრომისმოყვარეობას ეფუძნება. ბატონი ემზარი საკუთარი პრინციპებითა და ღირებულებებით ქალაქის ერთ-ერთი აქტიური და ცნობილი სახეა. მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად მისი მეუღლეც და ვაჟიშვილიც პროფესორის მსგავსად სამეცნიერო სფეროში წარმატებით საქმიანობენ.

და ბოლოს, დეპარტამენტის, სტუდენტების, კოლეგების, ახლობლების სახელით ვულოცავთ 50 წლის იუბილეს ბატონ ემზარს! ჯანის სიმრთელეს, წარმატებულ კვლევით-შემოქმედებით საქმიანობას, მხნეობას და უშრეტ ენერგიას ვუსურვებთ ერთიან და ძლიერ ქვეყანაში.

მადონა გოგიტიძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი